


F 412  
F 1954

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



დროშა  
№ 6 ივნისი 1954





ეროვნული  
ბიბლიოთეკა




დილა მშვიდობისა!...

ფოტოებუდი ო.თ. თურქიანი

გარეკანის პირველ გვერდზე: თბილისის ზღვა. ფერადი ფოტო მ. ზარგარიანისა.  
მეოთხე გვერდზე: თბილისის ბოტანიკური ბაღი. ჩანჩქერი. ფერადი ფოტო ი. ზევიანისა.



### ვ. ი. ლენინის ძეგლის საძირკვლის ჩაყრა



სურათებზე: ძეგლის საძირკვლის ჩაყრისადმი მიძღვნილი მიტინგი; გრანიტის ფილა მოედნის იმ ადგილას, სადაც აღმართული იქნება ძეგლი; მთავრობის ტრიბუნა. სიტყვას ამბობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი აშხ. ვ. პ. მუავანაძე.

29 მაისს თბილისში ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე საძირკველი ჩაუყარეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გენიალური დამაარსებლის ვ. ი. ლენინის ძეგლს.

მოედანზე შეიკრიბნენ ქალაქის საწარმოთა ათასობით მუშა და მოსამსახურე, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, სტუდენტები, საბჭოთა არმიის მეომრები.

მიტინგზე ახალი ძალით გამოხატა მშრომელთა პატრიოტული გრძნობები, მათი უსაზღვრო ერთგულება კომუნისტური პარტიისადმი, რომელსაც საბჭოთა ხალხი მიჰყავს ლენინის მიერ ნაჩვენები გზით კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.



საქართველოს კომუნისტური პარტია  
საქართველოს საბჭოთა სსრ  
თბილისი





ფოტო ო.თ. თურქიასი

# აქ იწყება მათი ბიოგრაფია

## ა. მაკიაშვილი

ტანია სუკოვამ საერთო საცხოვრებლის კიბეები ჩამოირბინა, ამხანაგებს დაეწია და სტუდენტები გორკის ქუჩისკენ გაემართნენ. დღეს, როგორც იქნა, დათბა მოსკოვში. გაზაფხულის პირველი თბილი საღამოა. მომავალი ინჟინრები დილიდანვე ისხდნენ და მეცადინეობდნენ, კიდევ რამდენიმე გვერდით გაზარდეს თავიანთი სადილომო შრომები. ახლა კი შეიძლება გასეირნება. ახალი კინოფილმის ნახვა, ან პარკში ჯდომა და სუფთა ჰაერის სუნთქვა.

ტანია სუკოვა რატომღაც სეირნობის მომხრეა, არც პარკში უნდა შესვლა, არც — კინოში. გასაგებია; ტანიას ახალი საზაფხულო პალტო და კაბა აც-

ვია. გოგონები ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად უღიმიან და ტანიასთან ერთად ნელი ნაბიჯით მიჰყვებიან გორკის ქუჩას.

ღამის 12 საათზე ტანია სუკოვა თავის საწერ მაგიდას უჯდა სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში და ღამაში ხელით გამოჰყავდა წერილის სტრიქონები: „მშობლიური აღმზრდელი! — ასე იწყებოდა წერილი — ძალზე გამახარა თქვენმა წერილმა. როგორც ყოველთვის, მხედველობაში მივიღებ თქვენს დარიგებებს და ვეცდები, რომ დიპლომი კარგად დაგიცვა.

თქვენ მწერთ: შემომითვალე რა გჭი-

რდება და დაგეხმარებო, ძვირფასო აღმზრდელი, მე უამისოდაც ისე მადლობელი ვარ თქვენი, რომ სიტყვებს ვერ ვპოულობ ჩემი გრძნობის გამოსახატავად. არა მარტო მე, ჩემს ამხანაგებსაც უხარიათ, რომ მეც მყავს გულთბილი და მზრუნველი მშობელი თქვენი სახით.

გისურვებთ მიღწევებს ყველაზე საპატიო და ყველაზე ძნელი ამოცანის — ჩვენი დიდი სამშობლოს პატრიოტების აღზრდის საქმეში.

სალამი და კეთილი სურვილები გადაეცით ჩემს ყოფილ აღმზრდელ პედაგოგებს.

ვრჩები თქვენი პატივისმცემელი ტანია სუკოვა“.

ტანიამ კონვერტი დახურა და დააწერა „საქართველოს სსრ. ქ. მახარაძე. ნინოშვილის ქ. № 9. საბავშვო სახლის დირექტორს უ. ჭეიშვილს“.

\*\*\*

— თქვენს სახელზე წერილია! — წარმოთქვა საბავშვო სახლის მორიგე პედაგოგმა და დირექტორის კაბინეტში შეაბიჯა. მაგიდასთან მჯდომ ჭალარაშერიულ ქალს თვალები გაუბრწყინდა, ხელი გაიშვირა კარებისკენ, სანამ წერილის მომტანი მაგიდასთან მოაღწევ-

და. „ტანიასგან არი“ — გაიფიქრა გულში, როგორც კი კონვერტს დახედა. გახსნა და სწრაფად ჩაიკითხა. რა სასიამოვნო, ენით აუწერელი განცდაა, რა საამაყო, როდესაც შენი აღზრდილი ობოლი ბავშვი დედასავით მოგმართავს, გეაღიარებს და ცდილობს რითაც შეუძლია გასიამოვნოს. ასეთი შვილი კი რამდენი ჰყავს უ. ჭეიშვილს. ტყუილად კი არ სწერდა უკრაინიდან ლიზა ჩუბიკოვა: „მე მახსოვხარ, მიუხედავად იმისა, რომ 11 წელია საბავშვო სახლიდან წამოვიდნი... ვნანობ, რომ არა მძქვს იმ აღზრდილების მისამართები, რომლებიც ჩემთან ერთად წამოვიდნენ საბავშვო სახლიდან. გთხოვთ გამომიგზავნოთ, შევთანხმდებით და ერთად გესტუმრებით „მრავალშვილიან“ დედას“.

სხვა აღზრდილებიც გაახსენდა იმ დღეს უ. ჭეიშვილს. ისინი სწავლის გასაგრძელებლად წავიდნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში. ზოგმა მუშაობა დაიწყო. ზოგი გათხოვდა, ცოლი შეირთო, ოჯახს მოეკიდა. გუშინწინაც მიიღო მოსკოვიდან წერილი, ტიმირიაზოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სტუდენტი ტოვო უჯმაჯურიძე სწერდა. ამას წინათ კი, საბჭოთა არმიელებმა გამოუგზავნეს ბარათი: „ჩვენ, კომკავშირული არმიელები, მადლობას გიცხადებთ ყოფილი აღზრდელ-




—აი, ახე უნდა გაკეცო,—ასწავლის ვალია ბიკოვა პატარა ვალერის.



ლის, ამჟამად გვარდიის უფროსი სერ-  
ჯანტის ალექსი ჩერნიკოვის აღზრდისა-  
თვის. ასეთი დისციპლინის, პოლიტი-  
კურად მომზადებული უმცროსი ოფიცე-  
რი ჩვენ არა გვყავს. ის სამშობლოსადმი  
უსაზღვრო სიყვარულის მაგალითის  
მომცემია ყველასათვის...“ დაჯდა  
„მრავალშვილიანი“ დედა და მეორე  
დღესვე დეპუტა გაუგზავნა ალექსი ჩერ-  
ნიკოვს; შვებულებში ჩვენთან ჩამოდი,  
ყველაზე ძვირფასი სტუმარი იქნები.  
ნახე როგორ გამშვენებდა ჩვენი სახ-  
ლო. ერთ-ერთმა ყოფილმა აღსაზრდე-  
ლმა „საიდუმლო“ ბარათი გამოგზავნა



საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატი, ნორჩი ნატურალისტი  
კალენიკე ნოზაძე მუშაობს სვეტიცხოველში ოთახში.



1940 წელს მახარაძის საბავშვო სახლს  
ესტუმრა გ. ქუჩიშვილი. აღსაზრდე-  
ლებმა საპატიო პიონერად აირჩიეს სა-  
ყვარელი პოეტი, გ. ქუჩიშვილი კი  
მათ ლექსი უძღვნა.

თავის ამხანაგებს: გთხოვთ გამიგოთ—  
რომელ ნომერ ფეხსაცმელებს ატარებს  
პატივცემული ღირებულო და შემო-  
მიჯალბოთ. ახსენდება ეს ბარათები  
უ. ჭიჭიშვილს და ელიშვიტა. თვალწინ და.  
უდგება ხან ერთის, ხან მეორის სახე.  
ცდილობს წარმოიდგინოს, თუ როგორ  
გამოიყურებოდა ახლა ისინი. ახარებს  
მათი მიღწევები. ამჟამად, რომ ყოფი-  
ლი აღსაზრდელები არ არცხვენენ სა-

ბავშვო სახლის სახელს. მრავალი მათ-  
განი ალბათ ასე იწყებს თავის ბიოგ-  
რაფიას: „ჩემი დაბადების წელი არ ვი-  
ცი, აღვიზარდე ქალაქ მახარაძის საბავ-  
შვო სახლში...“ გაივლის ცოტადენი  
დრო და მათი ბიოგრაფია გამდიდრდე-  
ბა, გაიზრდება, ისინი სხვებისათვისაც  
მისაბამი გახდებიან. ეცდებიან გმი-  
რული შრომით მადლობა გადაუხადონ  
სამშობლოს, პარტიას, საბჭოთა ხელი-  
სუფლებას.

ამათ კი, ამ პატარებს, რომლებიც  
ჯერ კიდევ საბავშვო სახლის აღსაზრ-  
დელებად ითვლებიან დიდი მოვლა და  
მზრუნველობა სჭირდებათ, მათ ერთი  
წუთითაც არ უნდა იგრძნონ უდემმა-  
მობა, უნდა ისწავლონ ბეჯითად. უნდა  
შეეჩვიონ შრომას და დისციპლინას. უნ-  
და აღიზარდონ პატიოსან და სამშობ-  
ლოს ერთგულ მოქალაქეებად, რათა საბ-  
ჭოთა არმიის ნაწილები, უმაღლესი  
სასწავლებლები, დაწესებულებები, მშე-  
ნებლობები კვლავ მადლობელი დარჩი-  
ნენ ასეთი აღამიანების აღზრდისათვის.

როგორც კი მახარაძის საბავშვო სახ-  
ლში შეხვალთ, უპირველეს ყოვლისა,  
ყურადღებას მიიპყრობს არაჩვეულებ-  
რივი სისუფთავე. ჰიგიენა ჯანმრთე-  
ლობის ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა.  
საბავშვო სახლის აბანოში ყოველდღე  
რას აბანავებენ ბავშვებს, უცვლიან თე-  
თრეულს, საბნისა და ბალიშის პირებს.  
სკოლიდან მოსვლის შემდეგ ბავშვები  
საშინაო ტანისამოსს იცვამენ. საგარე-  
ოსა და საშინაოს გარდა მათ სადღე-  
სასწაულო ტანისამოსიც აქვთ. პირადი  
ჰიგიენა, დისციპლინა და რეჟიმი იმის  
საფუძველია, რომ ბავშვმა სხვა საქმე-  
შიც გადაიტანოს ეს თვისებები. აი, ამ-  
ას აქცევენ ყურადღებას აღზრდელები  
და სასურველ შედეგსაც აღწევენ.

მახარაძის საბავშვო სახლში თითქმის  
არც ერთი ჩამორჩენილი მოწაფე არ  
არის. სამეცადინო ოთახებში პედაგოგე-  
ბი ეხმარებიან ბავშვებს მასალის უფ-  
რო იოლად და საფუძვლიანად შეთვი-  
სებაში. თვალსაჩინო ხელსაწყოების

დახმარებით უხსნიან მათ ამა თუ იმ  
საკითხს არითმეტიკიდან, ბიოლოგიი-  
დან, გეოგრაფიიდან. აღსაზრდელთა  
აკადემიური ხარისხის ამაღლებისათვის  
დიდ მუშაობას ეწევიან პიონერთა და  
კომკავშირელთა ორგანიზაციები. სა-  
ბავშვო სახლის ნორჩ ნატურალისტთა  
წრეს დიდი ხნის ტრადიცია აქვს. ამ-  
ჟამად მათი წევრები 1954 წლის საკავ-  
შირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის  
კანდიდატები არიან. ნორჩი ნატურა-  
ლისტიმბა თავიანთ საცდელ ნაკვეთზე  
წელს კვადრატულ-ბუდობრივი წესით  
დათესეს კარტოფილი, დაამზადეს ნე-  
შომპალა, ერთმანეთზე დაამყენეს სხვა-  
დასხვა სახის მცენარეულობა. ბავშვები  
დიდ დახმარებას უწევენ კოლმეურნეო-  
ბებს ჩაის მოსავლის აღებაში. სახლის  
ყოფილმა აღსაზრდელებმა მედეა ბებ-  
ნაძემ, ტატიანა სუკოვამ, ლილი პატა-  
რაევამ და სხვ. მთავრობის ჯილდოც კი  
მიიღეს.

საბავშვო სახლში ჩამოყალიბებულია  
ისტორიის, ლიტერატურის, გეოგრაფი-  
ის, ჭრა-კერვის, მხატვართა, მოქანდა-  
კეთა და სხვა წრეები, მუშაობს ფეხსაც-  
მელების შემკეთებელი სახელოსნო.  
შთაბეჭდილებათა წიგნი სავესეა აღ-

ფრთვანებულ მნახველთა სტრიქონე-  
ბით. მახარაძის საბავშვო სახლი დაუთ-  
ვალეობით რუმინელ, ბულგარელ,  
უნგრელ ახალგაზრდათა დელეგაციებს.  
ერთ-ერთი ღია ბარათი, რომელზეც  
დარტყმულია ბეჭედი — „საერთაშორი-  
სო“, უნგრეთიდან მიიღეს აღსაზრდე-  
ლებმა. წერილში უბრალოდ წერია:  
„ამხანაგური სალაში ბუდაპეშტიდან“  
მაგრამ ამ უბრალოებაში ჩანს ის დიდი  
ინტერესი და განუშორებელი შთაბეჭ-  
დილება, რაც საბავშვო სახლმა დასტო-  
ვა უნგრელ ახალგაზრდებზე.

სასწავლო წელი დამთავრდა. ბავშ-  
ვები დროებით დაეშვიდობნენ თავიანთ  
სახლს და ბახმაროს გაემგზავრნენ. მათ  
იქ, თუ შეიძლება ითქვას, საკუთარი  
აგარაკი აქვთ — 40 ოთახიანი დასას-  
ვენებელი სახლი. ერთად ტარებენ ზა-  
ფხულის დღეებს ლენინგრადადელი ვა-  
ლენტინა ილინა და თალიკო ფრანგუ-  
ლაშვილი, მოლდაველი ნინა ფაილიმა-  
ნოვა და ბერძენი ნიკოლოზ გულაქსი-  
ზოვი.

ქალაქ მახარაძეს საბავშვო სახლი  
1921 წელს დაარსდა. 1941 წლამდე  
აღსაზრდელთა რაოდენობა 100-მდე  
მერყეობდა. დიდი სამამულო ომის  
წლებში ევაკუირებულ ბავშვების ჩა-  
მოსვლასთან დაკავშირებით კონტიგენ-  
ტი 150-მდე გაიზარდა.

ახლა კი ეს რიცხვი თანდათანობით  
კლებულობს. ი. ნოვაკოვსკაიამ იპოვნა  
თავისი შვილი სვეტლანა და თან წაიყ-  
ვანა. ასე ხვდებიან ერთმანეთს ომის  
მკაცრ წლებში განსორბული მშობლები  
და შვილები. მახარაძის საბავშვო სახლ-  
ში თითქმის ყოველ კვირას მოდის წე-  
რილები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა  
მხრიდან. წერენ მშობლები, მშობელთა  
ნათესავეები, უნდათ გაიგონ იქ არის თუ  
არა მათი იურა, ვალია, მუჰამედი.

ყოველ წელს საბავშვო სახლის რამ-  
დენიმე აღსაზრდელი ამთავრებს საშუა-  
ლო სკოლის კურსს და სწავლის გასაგრ-  
ძელებლად მიემგზავრება უმაღლეს სას-  
წავლებელში, ემშვიდობება თავის აღმ-  
ზრდელს, უმცროს ამხანაგებს და თი-  
თქმის დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყ-  
ებს.



—აი, ასე უნდა გეჭიროს კოვზი, —  
„ასწავლის“ ნინა თალიკოს.



# განკურნების

## ისეთრიები

ქალაქ გორისკენ მ. მავალ შარავაზე პატარა ბიჭუნები მიტყაპუნობდნენ. უკვე დაღლილიყვნენ, მაგრამ მაინც ჩქარობდნენ. ერთ მათგანს გულზე მიესხებინა თეთრი მტრედი, მთელი გზის განმავლობაში ზედ დაჰყურებდა და ჩუმად ტიროდა. ამობურცული, ვაფუკი მკერდი მტრედს სისხლით შეღებოდა, ყელთან კი ცხვირსახოცი შემოეხვია მზრუნველ პატრონს.

მეორე ბიჭუნა პირველზე უფრო მხნე და გამოცდილი ჩანდა.

— გაჩუმდი ახლა, ნუღარ სრუტუნებ, ხომ გეუბნები აუცილებლად მოარჩინენ-მეთქი შენს მტრედსა, რომ არ ვიცოდე, კიდევ პო. კოლმეურნეობის ძროხა რომ გადაიჩენა ფლატეზე, ხომ გახსოვს? მაგ საავადმყოფოში მოარჩინეს, ხბო რომ ფისში ჩავარდა და დაიწვა, იმასაც მანდ უმკურნალებს, კამეჩს რომ რქა ულბება, ისიც გორში უნდა ჩამოიყვანონ დღესა.

— მტრედებს კი არჩინენ განა? — სლუკუნით წარმოთქვა პატარამ.

— შინაურ ფრინველებს — ქათმებს და ბატებს — არჩინენ, მტრედებსაც მოარჩინენ, — დაამიდა მეორემ.

პატარებმა მალე მიადწიეს ქალაქ გორს. მიიკითხნენ მოიკითხეს და ვეტ-სამკურნალოს კარებს მიადგნენ. სამკურნალოს გამგემ რაიონის მთავარმა ვეტ-ექიმმა ლევან ბებიაშვილმა ხელში შეათვალიერა ავადმყოფი ფრინველი, ჭრილობა გაუსინჯა და აცრემლებულ ბიჭუნას ჩახედა:

— რა დამართა?! — ქორმა დაგლიჯა, — ძლივს წარმოთქვა ბიჭუნამ და ისეთი თვალბრუნებით აპხედა ექიმს, თითქოს ეუბნებოდა: ოღონდ ახლა მოარჩინეთ, ექიმო, და მერე მეც ფრთხილად მოვუვლიო.

ცოტახნის შემდეგ მტრედს უკვე ვაკერილი ჰქონდა დაგლეჯილი ჩიჩაყვი. პატარა ბიჭუნას კი ახლა სინარულის ცრემლები სდიოდა. თუმცა მადლობის გადახდაც ვერ მოახერხა, რადგან ექიმი სხვა ცხოველების მოსავლელად წასულყო.

აგერ საოპერაციო დაზავებ დააყენეს ცხენი და მტკივანი ფეხი ბანდით შეუხვიეს. მერე ექიმი დიდხანს სინჯავდა ხბოს, რომელიც მომვლელის გადმოცემით უმადოდ იყო და ხშირად ახველებდა. გასინჯეს და ფილტვების კატარული ანთება აღმოაჩნდა. პირუტყვის მაშინვე დაუწყეს სულფიდიანი და პენიცილინი მკურნალობა. აგერ, ვიდაცამ შემოიყვანა მონადირე ძაღლი სეტერის ჯიშისა. ძაღლს ყური ჰქონდა დაზიანებული, ექიმმა მაკრატლით ბალანს შემოაჭრა და სტრეპტოციტის მალამო წაუსვა. პატარა ბიჭუნები ინტერესით შეჰყურებდნენ ამ სურათს და თანდათან სჯეროდათ, რომ მათი მტრედი აუცილებლად მოარჩებოდა.

15 წელია, რაც გორის რაიონის ვეტ-სამკურნალო არსებობს. ამ ხნის განმავლობაში სამკურნალოს გამოცდილმა ვეტ-ექიმებმა, ვეტ-ტექნიკებმა და ფერმლებმა მრავალი პირუტყვი განკურნეს, მრავალი მეწველი ძროხა, ცხვარი, ღორი და მუშა-საქონელი შე-

— თქვენს დეკლუს ფილტვების კატარალური ანთება აქვს, — ეუბნება ვეტ-ექიმი ლ. ბებიაშვილი პირუტყვის მომვლელს.

უნარჩუნეს საკოლმეურნეო დოვლათს. არა მარტო მოზრდილი საქონლის განკურნებაში. არამედ ნამატის შენარჩუნებაშიც მიუძღვით წილი ვეტ-ექიმებს. პირუტყვის მძიმე მშობიარობის შემთხვევაში ისინი საკუთარი მანქანით სასწრაფოდ მიდიან სოფლად და ეხმარებიან თავიანთ „პაციენტებს“. მარტო 1954 წლის 1 კვარტალში სამკურნალოში გატარებული იქნა 72 მსხვილფეხა საქონელი, 19 ღორი, 7 ცხენი და სხვ. აქედან სტაციონარში „დააწვინეს“ 16 სული პირუტყვი.

სამკურნალოში მოყვანილ ყოველ ცხოველს, დამოუკიდებლად მისი ავადმყოფობის ხასიათისა, უღებენ ბრუცილოზის, ტუბერკულოზის, ქოთაოსა და სხვა ავადმყოფობათა ანალიზებს. ანალიზებს ატარებს ვეტ-სამკურნალოს შენობის პირდაპირ მოთავსებული სარაიონთაშორისო ვეტერინარული ლაბორატორია.

ვეტ-სამკურნალოს გამოცდილი სპეციალისტები მარტო ადგილობრივი „პაციენტების“ მკურნალობით არ იფარგლებიან. ამას წინათ გორში სავატროლოდ ჩავიდა მოსკოვის მოძრავე ცირკი. როდესაც ცირკის მუშაკებმა გაიგეს ვეტ-სამკურნალოს არსებობის ამბავი, ფრიად გაეხარდათ და თავიანთი ავადმყოფი მაიმუნები მოიყვანეს სამკურნალოდ. რამდენიმე დღის შემდეგ კი მოულოდნელად გარდაიცვალა ბებერი, 21 წლის ავაზა. ვერავინ გაიგო მისი სიკვდილის მიზეზი. ვეტ-სამკურნალოში ცხოველი გასკრეს და თირკმელში მოზრდილი კენჭები აღმოაჩნდა.

ცხოველთა საერთო განკურნების პროცენტულობა ვეტ-სამკურნალოში გასულ წელს 93,7-ს უდრიდა. წლებანდელა მაჩვენებლები კი უფრო გაიზარდა.

ვეტ-სამკურნალოს მუშაკები მთელ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას ახმარენ სასარგებლო პირუტყვთა განკურნებას. გადაიკითხავთ ცხოველთა ავადმყოფობის ისტორიებს და დარწმუნდებით, თუ რა

დიდი სარგებლობა მოაქვს ვეტ-სამკურნალოს სოფლის მეურნეობისათვის.


აი, ამონაწერი ერთი ავადმყოფობის ისტორიიდან: „ძროხა — ირმა“. ფერი — წაბლა. ლაზარეთში მოსვლის დრო — 17 მარტი. ანემენევი — ძროხამ უკან მარჯვენა ცურის ცერიდან რძე აღარ მისცა, გამაგრებულია. წველა მტკივნეულია. რძეს იძლევა შედეგებულს, მცირე რაოდენობით.

ჩატარებულ იქნა პენიცილინი მკურნალობა. ცხოველი განიკურნა და გაეწერა 8 აპრილს“.

ასეთი შტამთხვევები კი მრავალია. ასე რომ გორის ვეტ-სამკურნალოში უფრო განკურნების ისტორიები იწერება, ვიდრე — ავადმყოფობისა.

გორის ვეტ-სამკურნალო 1954 წლის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატია. იგი გამოფენაზე წარსდგება თემით: „ამბულატორული და სტაციონარული მკურნალობის ეფექტიურობა რაიონის სამკურნალო მასალების მიხედვით“.

მ. მ.



↑ მალე ყურს მოურჩინენ და ისევე სანადიროდ წაიყვანენ ბასარას.

← „ვინ არის შემდეგი?“



# გავერთ გაყოფენის ღიკსეუჯი მონაწილენი

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მ. ალაიშვილი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქ. სახ. სამ. გამოფენის მომზადების ჯგუფის უფროსი

მოსკოვის ჩრდილოეთით, იაროსლავსკის გზის მახლობლად, 211 ჰექტარ ფართობზე გაშენებულია შესანიშნავი ქალაქი. ამ ტერიტორიაზე 76 პავილიონი და 200-ზე მეტი კაპიტალური შენობაა აგებული. აქ მიმდინარე წლის 1 აგვისტოს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით იხსნება მუდმივ მომქმედი საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

გამოფენის ტერიტორიასთან მახლობლებისთანავე მსხველს თვალს მოსტაცებს ნუშისა და კოლმეურნე ქალის უზარმაზარი ქანდაკება, რომლებსაც მაღლა აუმაართავთ ოქროსფერი თავთავების ძნა.

გამოფენის შესავლიდანვე მოჩანს მთავარი პავილიონი, რომლისკენაც მიიმართება დეკორაციული ხეებით და ყვავილებით გამწვანებული ფართო გზა. მთავარი პავილიონი საუცხოო მონუმენტური შენობაა, რომლის სიმაღლე 97 მეტრია. ამ პავილიონის ექსპოზიციები ასახვენ ჩვენი ქვეყნის სოციალიზმის მშენებლობის ისტორიულ გზას და საბჭოთა ხალხის დიად მიღწევებს.

გამოფენის მთავარი პავილიონის შემდეგ დიდ საკოლმეურნეო მოედნის ირგვლივ განლაგებულია მოკავშირე რესპუბლიკებისა და დარგობრივი პავილიონები, გაშენებულია მიჩურინული ზაღები და სანერგეები, მოწყობილია ხელოვნური ტბები და საგუბრები, გამოფენის ტერიტორიაზე გაკეთებულია დიდი შადრევნები და სხვა.

მუდმივ მომქმედ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, სხვა მომქმედ რესპუბლიკებთან ერთად, ჩვენი რესპუბლიკაც ლეზულობს მონაწილეობას.

საქართველოს პავილიონი თავისი არქიტექტურული გაფორმებით და სილამაზით არ ჩამორჩება სხვა რესპუბლიკების პავილიონებს. პავილიონის მაღალ სვეტების ქვეშ მარმარილოს თაღებიდან იჩუჩუხებს ანკარა წყლის ნაკადი.

პავილიონის პირველი დარბაზი — პოლიტიკური დარბაზია. აქ ნაჩვენებია იქნება ქართველი მხატვრების მიერ შესრულებული პანოები, რომლებზედაც ასახულია ვ. ი. ლენინის და ი. ბ. სტალინის როლი ქართველი ხალხის განთავისუფლების საქმეში ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან. ნაჩვენებია იქნება დიორამები „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“, „საქართველოს დედაქალაქი თბილისი“, „სამგორი და კოლხიდა“, რომლებიც მსხველთ ნათელ წარმოდგენას მისცემენ ჩვენი რესპუბლიკის მშენებლობაზე და ქართველი ხალხის კეთილდღეობაზე.

პოლიტიკური დარბაზის უკანა კედელი მთლიანად მინისაა. აქედან მოჩანს მწვანით მოსილი დიდი ორანჟერეია, სადაც გაშენებულია მსხმოიარე ციტრუსები, სუბტროპიკული და დეკორაციული მცენარეები: ლიმონი, ფორთოხალი, მანდარინი, გრეიფრუტი, ციტრონი და სხვა.

პავილიონის მარცხენა და მარჯვენა დარბაზების კედლები მორთული იქნება პანოებით და ქართული არქიტექტურით გაფორმებული სტენდებით. პანოებზე ასახული იქნება: რთველი, ხილისა და ციტრუსების კრეფა, ჩაის კრეფა და მეცხვარეობა. სტენდებზე ფართოდ იქნება ნაჩვენები საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებაში მიღწეული მაღალი წარმატებანი, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მიერ მიღწეული წარმატებანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაუმჯობესებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების საქმეში, ახალი ტექნიკის გამოყენება სოფლის მეურნეობაში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მზარდი როლი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების საქმეში. ნაჩვენებია იქნება მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, მოწინავე ადამიანების გამოცდილებანი და მუშაობის მეთოდები.

გამოფენა ასახავს ხილის, ყურძნის, ციტრუსების, ნარცვლეულის, ბოსტნეულის, მეცხოველეობის ნაწარმის სიუხვეს ჩვენს რესპუბლიკაში.

პავილიონის ირგვლივ ღია გრუნტში გაშენებულია მსხმოიარე ხეხილის ბაღი, ვენახი და ხელოვნურად მოწყობილ გორაკზე — ჩაის პლანტაცია. პავილიონის მარჯვნივ, წინა პლანზე, დაირგება ფინიკის ჯიშის უზარმაზარი პალმა, რომლის

ზაღალი თავისი სიდიდით და სილამაზით საბჭოთა კავშირში არ მოიპოვება. შერჩეულია გასაგზავნად პავილიონის ირგვლივ ხეივნების და სანერგეების გასაშენებლად 3000 ცალამდე ტექნიკური, სუბტროპიკული და დეკორაციული მცენარე.

სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წ. სექტემბრისა და მიმდინარე წლის თებერვალ-მარტის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში თავისებურსა და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომელიც ნერგავს სოფლის მეურნეობის მუშაკთა შორის პრაქტიკულ ცოდნას, სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების გაზიარებას და ხელს უწყობს სოციალისტურ მიწათმოქმედების ყველა დარგის შემდგომ აღმავლობისათვის დასახული ამოცანების შესრულებას. ამიტომ გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვება მეტად საპატიო საქმეა სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისათვის. საჭიროა რაც შეიძლება მეტი მოწინავე კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, მანქანა-ტრაქტორთა სადგური, მეტი მოწინავე მუშაკი გამოვავლინოთ გამოფენის მონაწილეობის კანდიდატებად, არც ერთი მოწინავე არ უნდა დარჩეს გამოფენის კანდიდატობის გარეშე, თუ მათ მოეპოვებათ გამოფენის მაჩვენებლები.

გამოფენის ფართო ჩვენების მონაწილეობის კანდიდატებად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დამატყცა და წარადგინა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარ კომიტეტში დასამტყცებლად 23 მოწინავე კოლმეურნეობა და მეცხოველეობის ფერმა, 1 მანქანა-ტრაქტორთა სადგური, 7 საბჭოთა მეურნეობა, 16 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, 1 რაიონი, 18 სხვადასხვა ორგანიზაცია და დაწესებულება და 213 მოწინავე მუშაკი. გაცხოველებით მიმდინარეობს მუშაობა გამოფენის რიგითი კანდიდატების გამოვლინებაზე.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი კომიტეტის დადგენილებით, გამოფენის მონაწილენი, რომლებიც საუკეთესო მაჩვენებლებს მიადწევენ და განსაკუთრებით გამოიჩენენ თავს მოსავლიანობის გაზრდის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების და სხვა საქმიანობაში, დაჯილდოებული იქნებიან დიპლომებით, ოქროს და ვერცხლის მედლებით, გარდა ამისა მიიღებენ პრემიას — სატვირთო და მსუბუქ ავტომანქანებს, ელექტრო-აგრევატებს, ქარძალის დანადგარებს, კინო დანადგარებს, რადიო დანადგარებს, საკოლმეურნეო ბიბლიოთეკებს, მოტოციკლებს, ველოსიპედებს, საკერავ მანქანებს, მაჯისა და ჯიბის საათებს. ყველა მონაწილე აგრევე მიიღებს გამოფენის მედალს და მოწიგობას.

სოფლის მეურნეობის მუშაკები ვალდებული არიან ენერგიის დაუზოგავად იბრძოლონ გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად, მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩაატარონ 1954 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები და მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ უხვი მოსავლის მიღების საქმეს.

ყველაფერი უნდა გააკეთოთ იმისათვის, რომ ღირსეულად მოგეშადოთ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის, საუკეთესოდ და მაღალ დონეზე ვაჩვენოთ გამოფენაზე საქართველოს რესპუბლიკის მიღწევები და გამოცდილებანი.

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს სსრ პავილიონი.

ფოტოზე: საქართველოს სსრ პავილიონის სუბტროპიკული ორანჟერეის სანერგე ხედი.

ფოტო ბ. შახტანბაძისა





# სექტემბროს მზის ჯეჟ



თენგიზ გოგოლაძე

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მხატვარი ჯ. ხუნდაძე

I


მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ჭიშკართან დიდი გზა გადოდა. ამ გზაზე მანქანების განუწყვეტელი მოძრაობა იყო.

სადგურის მოხუცი დარაჯი გზისპირას იდგა და გზას გაკუყურებდა. მის წინ ტომარებით დატვირთულმა საბარგო მანქანამ ჩაიქროლა. მოხუცი დარაჯს ისე მოეჩვენა, თითქოს მანქანიდან ერთი ტომარა დაგორდა და ზედ მის ფეხებთან დაეცა ზღართანით. მოხუცი შეკრთა... ტომარა კი არა, ტრაქტორისტი შეგირდი ბიჭი, მიტო იყო, კატის სიმარლით რომ დაღდა ფეხზე და მოხუცს გაუღიმა. ნავთობში ამოგანგლულ მიტოს ცხავით სუფთა თვალელები ჰქონდა.

— ერთი ამას უყურე! — შეუთქა შეშინებულმა მოხუცმა, — ერთხელაც იქნება ცხვირს წაიმტვრევ, შე ჭინკავ!

მაგრამ ბიჭს ახლა მოხუცისთვის არ ეცალა, როგორც მარდად გადმოსტა მანქანის ძარიდან, ისეთი სიმარლით გაქუსლა სადგურის გარაუხსკენ. ჯერ იქ მიიბრინა, მერე სამკედლოში შეიხედა. უფროსი აგრონომის, ინჟინრის, ან სარემონტო ბრიგადიდან ვინმეს ნახვა უნდოდა, რათა დაუყოვნებლივ გაღებოდა ის, რაც ტრაქტორისტმა ფილმ დააბარა.

აგერ სამი საათია ფილოს ტრაქტორი დგას და არ იძვრის. ტრაქტორისტი ბევრს ეცალა, ბევრი უჩხერკედელავა, მაგრამ მანქანა მხოლოდ ხროტინებს და ძალა არ შესწევს რომ დაიძვრას და თორმეტკბილანა გუთნით მიწა ამოაბრუნოს, ეტყობოდა სარემონტო ბრიგადის დაუხმ-



— ფეხი გაიწმინდე და ისე შედი...

მიტო მორიდებით ადგებ ღირქტორის კაბინეტის კარს და შედის, სანამ მაგიდას მიუახლოვდებოდა, მან გაიარა იატაკის რბილ საფენზე, მიტოს ისე მოეჩვენა თითქოს ტერფებით ღრმად ეფლობოდა...

ძვირფასი ავეჯით დამშვენებულ კაბინეტში ყველაფერი ბზინავს, ფანჯრებზე, მზის სხივებში, ბრწყინავს ხავერდის ფარდები. კაბინეტში ზის მამაკაცი თეთრ კიტელში გამოწყობილი, ხორცსახსე, ჯანმრთელი ადამიანის ფერი უღაღანებს სახეზე და ოდნავ წარბშეკრულია, რითაც, ალბათ, სურს გამოსნოს თავისი თანამდებობრივი უპირატესობა.

როგორ არ უნდოდა მიტოს ამ კაცთან მოხვლა! მისი დანახვაც კი არ ებიტნავება, არამც თუ მასთან საუბარი. ფილოს დავალებას ასრულებს, თუ საჭირო გახდეს ღირქტორთანაც მიდიო, თორემ რა ეშმაკი შემოიყვანდა აქ...

— რა გინდა, ბიჭო? — შემოხედა ღირქტორმა.

მიტომ დაუყოვნებლივ მოახსენა რაც უნდოდა.

— რა ვქნა, ბრიგადა სხვაგან მყავს გაგზავნილი, მე ხომ არ წამოვალ სარემონტოდ... წადი, საწყობში ნახე რა ნაწილი გინდათ... როგორმე თვითონვე უნდა შეარემონტოთ... ათად ხომ არ გავიჭრები!

მიტოს არ ებიტნავა ეს პასუხი და ინდოურივით გაიფხორა. ამხელა გზა გამოიარა, და ამისთვის? იქ კი, მინდორზე ფილო დგას გასარემონტებელ მანქანასთან და ელოდება...

— რას დგენარ? აგერ პირდაღებულები და დოკლამები რომ ხართ, იმიტომ აფუჭებთ მანქანებს...

— ნაწილები არ არისო, აბა საიდან წავიღო, — ჩაიბურტყუნა მიტომ.

— მე გამოგიყვანე, დამელოდე, — დაცინვით, თანაც შეტევით უთხრა ღირქტორმა, — წადი ახლავე, დროს ნუ კარგავ და თქვენს გაფუჭებულ საქმეს თქვენვე მიხედეთ! ეშმაკმა წაიღოს თქვენი თავი!.. მერე კეტი ჩემ კისერზე უნდა გატყდეს თქვენისთანა... წადი, წადი!

თვალეები დაუბრიალა ღირქტორმა, წარბები კიდე უფრო შეკრა, მკაცრზე უმკაცრესი გამოჩნდა.

მიტო გაბრუნდა. ბოლმა შემოაწვა. რამდენიმე ხნის შემდეგ მინდორში კოლმეურნეობის საბარგო მანქანით დაბრუნდა და ზანტი ნაბიჯით გასწია სახნავზე. მინდორის ბოლოში, იქ სადაც ფშატების ცოცხალი ღობე იწყებოდა, — იდგა ტრაქტორი. მიტო ხედავდა ფილოს, რომელიც ხელს უქნევდა ჩქარა წამოდიო, რაღაცას უყვიროდა, მაგრამ მიტოს არაფერი ესმოდა, იქით მქროლავ ნიავს თან მიჰქონდა ფილოს ხმა.

— ფეხი გამოადგი, რა ზანტად მოდიხარ! — უყვირა ფილომ, როცა მიტო მიუახლოვდა.

— მოვდივარ თორემ, თან მთელი ბატალიონი მომყავს! შენც გამაგზავნე რა-

რებლად ვერაფერს გახდებოდა ფილო. რომელიღაც ნაცნობს დააბარა, შეეხვეწა მისულიყო ემტეხში... მაგრამ გავიდა ერთი საათი, ორი, სამი... მზე აგერ შუბისწვერს გადასცდა და ემტეხიდან მამული მანქანა მაინც არ ჩანდა... ფილომ თავისი შეგირდი გაგზავნა, თან გულის მოსახებლად გაუგებარ მისამართით გემრიელად შეიკურთხა... აბა იმაზე ცუდი რა უნდა იყოს, როცა გახურებულ მუშაობას მოწყობენ კაცი!

მიტომ იმარჯვა. პირველივე შემხვედრ მანქანას ჭინკასავით მოველო ძარაზე... აქაქანებული დარბოდა, მაგრამ ემტეხში, უფროსებიდან, ისეთი ვერავინ ნახა, რომ თავისი გაჭირვება შეეჩვილა. ბენზინის საწყობის გამგისაგან გაიგო, სარემონტო ბრიგადა დილიდანვეა გასული ემტეხიდან და ვინ იცის როდის დაბრუნდება.

— კარგმა რემონტმა იცის... დღე არ გავა, რომ სადმე არ გავვიჩერდეს მანქანა... მერედა იმდენი ნაწილებიც არ არის, რომ ყველას უშველო... ხელები გაშალა საწყობის გამგემ. მიტო მას აღარ უგდებდა ყურს. კანტორაში შეიბრინა, ვერც იქ ნახა ვინც ეწადა და ბოლოს იმ ოთახში მოხვდა, სადაც მემანქანე ქალი ზის და იქვე არის მუშაობიანი კარი წარწერით: „ღირქტორი“.

— აქ არის? — ეკითხება მიტო მემანქანე ქალს.

— აქ არის.

— მარტოა? შეიძლება შევიდე?

და... ვითომ არ იცო ჩვენი ემტეხის ამბავი! — უხალისოდ ჩაიბურტყუნა მიტომ, კოკას მისწვდა, მოიყუდა და სულ რუკრუკით გამოსცალა.

— რაო, ვერავინ ნახე?

— შენთვის ვის ეცალა... ტატემ მითხრა, რემონტზე დილიდანვე დარბიანო. განა მარტო ჩვენი ტრაქტორი მოშლილი!

— მაშ რა ვქნათ, მითხარი ერთი...

— აბა მე რა ვიცი, რა ვქნათ. შენ უკეთ არ იცი?! მითხარი და წავიდე, თუ მტყვი, კიდე წავალ და ისევ ხელცარიელი დავბრუნდები. აფსუს, რა კარგა ცხნავდით! — თითქოს გულზე ცეცხლის მოკიდება აკლდა ფილოს, მიტომ უარესად გაახელა ამ სიტყვებით...

— ღირქტორთან იყავი?

— მერე რა... გინდა აი იმ ხისთვის მოგიხსენებია, გინდ მისთვის, — სულ ერთია. ისე დამიტია, ისე გამომლანძლა, თქვე ასეთ-ისეთებო, თქვენი გაფუჭებული საქმე მე უნდა გამოვასწოროო, წადი აქედან დაიკარგე და როგორც გინდათ ისე შეაკეთეთ ტრაქტორიო...

ფილომ თავი ვერ შეიკავა და დღეს უკვე მეორედ გულიანად შეიკურთხა. იგი ყოველთვის თავდაპირველი იყო ხოლმე მიტოსთან, რომ წუნკალი სიტყვა რამ არ წამოსცდენოდა, მაგრამ აღარც მიტო ეკითხებოდა, აღარც სხვა რამ, — ალალ ბიჭს საქმე უცდებოდა და ეს ყველაზე უფრო უკლავდა გულს.



ბევრი რამ აწუხებდა ფილოს. ფილოს უნახავს მანქანა-ტრაქტორთა საწარმოო სადგური, სადაც მუშაობის საათობრივი გრაფიკა შემოღებული, სადაც ერთი წუთი უქმად არ იყარგება, სადაც ჯანსაღი მანქანების მთელი მოქმედებას ემტევის სის დისციპლინის რადიკალი საშუალებით აწარმოებს. ასეთ ემტევისში ყველაფერი დანიშნულია არა მარტო რაც შეიძლება მეტი დანახარება გაუწიონ კოლმეურნეობებს, რომ მოსავალი გაზარდონ, რომ ქვეყანაზე კარგი ცხოვრება იყოს.

აქ კი, ამ ემტევისში, სადაც ფილო მუშაობდა, ხეირიანი მხოლოდ დირექტორის კაბინეტი იყო, შიგ კი უხეირო კაცი იჯდა. ფილო კრებაზე გამოსულა, სხვებთან ერთად აქვე იყო. დააწყებდა შინ მისდგომოდა დირექტორს.

უკვე დადამდა. მთვარე დაჰყურებდა სოფელს, წინ გაეგლო ფეხმარდალ მიმავალ ფილოს ჩრდილი.

დირექტორის სახლს რომ მიატანა, სიმღერა და ხორხოცი შემოესმა. ფილომ დანახა დირექტორის სახლის აივანზე გაშლილი სუფრა და გულმა ისეთი ძალით მოუჯახუნა მკერდს, თითქოს შიგნიდან დიდრონ უროებს ურტყამენო.

ფილო ღობიდან უყურებდა მოქეიფებს. აგერ პარტიზურის მდივანი, მთავარი ინჟინერი... ფილოს ესმის სადღერძელოები, ესმის ერთმანეთისადმი მიმართული საქება-სადიდებელი სიტყვები... ახი იქნება დასკვივლოს ფილომ, გადავირის სუფრაზე, სულ ნაცარტუტად აქციოს ყველაფერი... უჩვეულო ძალაც იგრძნო შხარ-მკლავში... მაგრამ ხელი ჩაიქნია, ღობეს გასცდა და შინისკენ წავიდა. ის ღამე თერთალ გაათენა. მასთან ერთად სახლის კიბეზე მთვარიანში დიდხანს იჯდა მითო.

— მაგათ შევაქმევე გულს! — ბოღმით ამბობდა ფილო, — წავალ, ქვეყანაზე სამუშაოს მეტი რა არა:ს!..

— მერე მე, მე ვილა მასწავლის? — როგორ გგონია, შენი გულისთვის გავჩერდები ასეთ ემტევისში? გული მოუკვდა მითოს. ცრემლმორთულია გახედა მთვარეს. დუმდა, რადგან სათქმელი არ ჰქონდა. ხალ გგონია უზარმაზარი მინდვრის მოსახლეობა ცალად გაუშვა ტრაქტორი, მერედა იმ სიზოტრეზე, არც კავშირა დამყარებული... ნათი როცა შემოეღვევა ხოლმე ტრაქტორს, მითოს სულის ამოხდომამდე სირბილი უნდებდა ემტევისიდან მინდვრამდე, მინდვრიდან ემტევისამდე, აბა ეს რანაირი მუშაობაა! დღეს ხომ... არაფერი ეთქმობა მითოს. ადგა, დაემშვიდობა თავის მასწავლებელს და შინ წავიდა. გზაში ფიქრობდა, ფილოს შემდეგ ვის მიხარებოდა, ვისთან ისწავლა ტრაქტორის მართვა... სანამ ფილოს მიხარებოდა ორ მასწავლებელს გაეცა, ვერავის ისე ვერ შეეგუა მითო, როგორც ფილოს. შარშან იყო, შემოდგომით ერთ შუახანს ტრაქტორისტს მიეხარა. იმ ტრაქტორისტმა სული ამოაძრო მითოს... ფილოს რომ მიეხარა პირველივე დღეს დარწმუნდა მითო, რომ მასთან ბევრი რამის სწავლა შეიძლება.

მასწავლებელმა და შეგიარდმა ერთმანეთს გული გადაუშალეს და სულ მალე შეიგვიფენ... ახლა კი ფილო ემტევიდან უნდა წავიდეს, არც მითო გავჩერდება, ის ხომ შტატში არ არის ჩარიცხული, როცა უნდა მანინ წავა და სადაც უნდა იქით გასწევს... მაგრამ როგორ უყვარს ტრაქტორისტობა! იქნებ ფილოსთან კიდევ გამოჩინდეს ვინმე... რაღა დღეს მოიშალა ის ოხერი მანქანა! მდილია მითო და თან ნორჩი გულით დარდი მიჰქონდა.

მეორე დღეს ფილომ განცხადება მაგიდაზე დაულო დირექტორს. განცხადებაში ეწერა:

„იმ დროს, როდესაც ემტევისში ჩავარდნილია საქმე, იმ დროს, როდესაც მე ტრაქტორი გამოფუჭდა უხეირო რემონტის გამო — ჩვენი სადგურის ხელმძღვანელები ქეიფსა და დროსტარებაში არიან... მე არ მინდა ასეთ ემტევისში მუშაობა, გამანათავისუფლოთ!“

ასეთი უცნაური განცხადება დირექტორმა პირველად წაიკითხა თავის სიცოცხლეში.

— ეს რა განცხადებაა! იქნებ გაზეთში დაბეჭდო! — შეუთქა მან თავზე წამოდგარ ფილოს.

— თუ საჭირო იქნება... საჭირო კი არის მაგრამ... მე ალარაფერი მეკათხება, რაც გინდათ ის ბქენით, მე კი აქედან გამიშვით. სადაც ჩემ შრომას დააფასებენ იქ ვიმუშავებ—აბა რასა გავს, ეს რა მუშაობაა!—ხმას აუწია ფილომ.

—მე შენ გასწავლის წადი ახლავე მინდორში, თორემ პასუხისგებაში მიგცემ, —თავის მხრივ უფრო ხმამაღლა იყვირა დირექტორმა და ფილოს ცხვირ-წინ დაუტრიალა განცხადება.

— მაგას ნუ მიფრიალებ... ზედ რეზოლუცია დაადე ის ყველაფერსა ჯობს, — დაემშვიდებით მიუგო ფილომ, — პასუხისგებაზე ნუ მივა საქმე, თორემ შენ უფრო მეტი დანაშაული მიგიძღვის. მე რომ მოსამართლე ვიქნ... რომელ მინდორში წავიდე, სად წავიდე? ვერ გაიგე, რომ ის ტრაქტორი ადგილიდან არ იძვრის! ხარებს ხომ არ ჩავუბამ!

იქვე, კაბინეტის მუშაობიან კარს იქით იდგა მითო და ფილოს ელოდა.

— რაო, რა გითხრა? — ამ კითხვით შეეგება ფილოს, როცა მან დირექტორის კარი გამოიჯახუნა.

— გამანათავისუფლა... აბა მაგას გავუჩერდები სწორედ!

ფილო და მითო ემტევიდან რომ გავიდნენ ერთ ხანს მდუმარედ მიდიოდნენ. ფილო სოფლის ზემო უბანში ცხოვრობდა, მითო კი—ქვემო უბანში. მათი გზები დიდ წყაროსთან იყრებოდა.

— ხვალ ტრაქტორს ჩავაბარებ და

მორჩა, — ნახევარხმით უთხრა ფილომ მითოს, — კარგად იყავი, მითო, — შიოს-თან მიდი, ის გასწავლის, რაც ჩემთან დაგაკლდა.

ფილომ ხელი ჩამოართვა თავის შეგირდს და აღმართს აუყუვა. მითო ერთ ადგილზე დიდხანს იდგა და უყურებდა დინჯად მიმავალ მხარბეკანეირ ვაჟკაცს.

ფილო ქალაქში წავიდა. ჯერ წინსვლა მუშაობდა რომელიღაც სახელოსნოში, შემდეგ ისევ ტრაქტორს დაუბრუნდა, მაგრამ რა ტრაქტორს? კბილანა ხორბლების მაგივრად ბრტყელი, წისკვილის დოლაბებივით ბორბლები რომ აქვს და გახურებული ასფალტის გასატყეპანად რომ იყენებენ.

ერთხელ ფილო თავის ტრაქტორით ქალაქის ერთ-ერთი ქუჩის შესაკეთებლად გაგზავნეს. როგორც იქნა მიხარებია მანქანა იმ ადგილამდე. მუშები უკვე მისულობენ და ძველ ასფალტს ყრიდნენ, რომ ახალი დაეკოთ. მანქანით ცხელი ხორხოშემა ასფალტი მოიტანეს და ძველის ადგილზე დაყარეს, გაშალეს, მერე ფილოს დაუძახეს გაისეირნე და გამოისეირნე შენი ტრაქტორითო. მანქანა შედგა გახურებულ ასფალტზე, ცოცა მანძილი რომ გაიარა, უკან დაბრუნდა, მერე ისევ წინ გაიარა. ფილოს ხვთქივით ოფლი ჩამოსდიოდა. ასფალტის ბული პირისახეს უხრუჟავდა. კარგა ხანს დალიოდა ტრაქტორი წინ და უკან, იტყვენობოდა გზა და იტყვენობოდა ფილოს სიცოცხლით სავესე გულიც... აგონდებოდა მინდორ-ველები, აბიზინებული ოქროსფერი ყანები, სოფლის სურნელი, მინდორ-მინდორ გადარბენილი მაცოცხლებელი ნიავი, გლეხი კაცის მადლიანი სიმღერა...

იმ დღეს შინ დალიოლ-დაქანცული მივიდა. ასე ძალიან მაშინაც კი არ მოქანცულა, როცა რამდენიმე ათეული ჰექტარი მოუხნავს და მოუთესავს. გზაზე ახი მეტრიც კი არ იქნებოდა ასფალტის სიგრძე.

ხანდახან დღე-დღეს ისე მისდევდა, რომ სამუშაო არ იყო... ერთ დღეს სადღეც ოთხიოდე მეტრის სიგრძეზე შეარემონტეს ქუჩა და ამ ერთობიდან ასფალტის დასაგებად ტრაქტორი ოთხიოდე საათის განმავლობაში არახრახა ფილომ. ეს იყო და ეს, შემდეგ კიდევ რამდენიმე დღე უქმად იყო ფილო. ერთ საღამოს მითოსგან წერილი მიიღო. „...მე უკვე ტრაქტორზე ვზვიარ, — ოწერებოდა მითო, — კიდევ რამდენიმე კაცი წავიდა ჩვენთან, როგორ მინდა რომ დაბრუნდენ, ისევ ჩვენთან იყო, მაგრამ ვიცი არ დაბრუნდები. შენ ბევრჯერ გითქვამს კარგ კაცთან მუშაობას არაფერი ჯობსო. სისხლი გაგვიშრო დირექტორმა, ვინც ემტევისში დარჩა დღე და ღამ არ ასვენებს. გეგმას ვერ ვასრულებთ, კოლმეურნეობები ჩივიან, ზოგან ღამის ძველი გუთნებიც გამოიტანონ. შენ როგორ ხარ? უკეთესად? ...“

ფილოს მწარედ ჩაეციოდა. „უკეთესად როგორ ვიქნები, — წერდა საბასუხო ბარათში უმცროს მეგობარს, — ხვნას შეგვეულო — ახლა ასფალტს ვტყენი. მინდა დავბრუნდე, მაგრამ სადაც მუშაობას ფასი არა აქვს, სადაც ავი თვალი გიყურებს, იქ რა მინდა!“

აფსუს რა დღეები მ დის! — ფიქრობდა ფილო, — შარშან ამ დროს ბელტს ბელტზე ვაწვენდი!

მართლაც რა დღეები მიდიოდა! აგვისტოში მინდვრად გასული ტრაქტორისტი სამი თვე სულ მინდორში იყო. ღია ცის ქვეშ შრომობდა, ღია ცის ქვეშ იძინა. ხანდახან, ღამით, როცა მცველი მუშაობდა, ფილო ნახანვთან მგვანეზე გაშლიდა ქვეშსაკებს, მიდებდა თავს და კურდღლის ძილში დღუდუნით ჩაესმოდა ტრაქტორის ხმა...

ღილით ადრე, იქვე მინდორში გასტეხდა პურს, ჯან-ლონეს მოიკრებდა და ღამით მომუშავე ამხანაგს შეცვლიდა. მერე მთელი დღე ათობდა მიწის სურნელი. ახლა?

ფილო უკვე ექვსი თვის წამოსული იყო მანქანა-ტრაქტორთა სადგურიდან და ეს დრო ექვს ათეულ წლად ეჩვენებოდა. ძნელი ასატანა საყვარელ საქმეს მოწყვეტილი კაცი მეორე საქმეს მიაყენო.

გულდაკოდილ ფილოს მალე გამოუჩინდა მკურნალი.

სექტემბრის ერთ შიან დღეს, როცა ფილო უქმად დაყენებულ სატყეპ მანქანას რაღაცას უჩხერკედელავებდა, ერთმა ამხანაგმა გაწეტი მიაწოდა. ამ კაცის სათვის ბევრჯერ შეუჩივლია თავისი დარდი ფილოს. ტრაქტორისტმა ხელემა ჩვარზე შეიწმინდა, შემდეგ თავაუღებლივ წაიკითხა მთელი გაზეთი.

— ახლა კი გულზე მომეშვა, — ჩაილაპარაკა თავისთვის ფილომ და გაზეთის მომტანს გაუღიმა, — ამ დადგენილების შემდეგ ჩვენი ემტევისის დირექტორს და მისთანებს კისხის მოუგრებენ! იცოცხლე სულ პანტაპუნტით გაყარონ ეს ხურდა ხალხი! მანქანებიც ბლომად იქნება...

რამდენიმე დღის შემდეგ ფილო მატარებლით გაემგზავრა მშობლიურ მხარეში. სადგურიდან სოფლამდე ნუთი-ექვსი კილომეტრი უნდა გაველო. საბარგო მანქანით გაემგზავრა. ძარაზე შემხტარი პირისახეს პარისის მძღვერ ნაკვდს უშეწერდა. მანქანა სწრაფად მიქროდა მინდვრებზე გადაქიმულ გზაზე. ფილო ხარბად იყურებოდა ირგვლივ. უცებ თვალი მოჰკრა: შორს ორი ტრაქტორი მიწას სწავდა. ვეღარ მოითმინა, მოფერს მანქანა გააჩერებინა, გადმოხტა.


— რა დაემართა, ფილო, ამ შუა გზაზე რა გინდა? — ჰკითხა შოფერმა.

— ხედავ? — ხელი გაიშვირა ფილომ ტრაქტორებისკენ, ნაცნობს დემშვიდობა და იქით გასწია საითქნაც გული უძახდა.


მალე მიადგა ტრაქტორებს, ხედავდა როგორ ბრუნავდა მიწა, გუთნის კბილებიდან როგორ გადმოდიოდა დიდრონი ბელტები. სისხლის ძარღვები დაებება ფილოს. ტრაქტორისაკენ გაიქცა. საქმეზე შემომჯდარი ყმაწვილკაცის ყისმათი შეხარბებოდა. წამოეწია, მძობილო, დაუძახა შრომაში გართულს. ჯერ გუთნისდემამ მოხედა, მერე იმ ყმაწვილკაცმა. ეს ხომ მითო იყო.

— ფილო! — აღტაცებით დაიძახა, მან, ტრაქტორი უმალ დაამუხრუჭა, გადმოხტა, თავის ძველ მეგობარსა და მასწავლებელს ყელზე მოექლო.

— დაბრუნდი? — დაგბრუნდი.







ფოტო ო. თ. თურქიასი

ტრაქტორისტები ისვენებდნენ, როდესაც მათთან კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. სარიშვილი მივიდა. ახლა სწორედ კარგი დროა, ახალი დავალების მისაცემად.

**ეროვნული  
ნიშნითაჲ**

ნაგომრის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წლიური შემოსავალი საშუალოდ 6 მლნ. მანეთს უდრის. არა თუ კოლმეურნეობა, აქ ბრიგადაც (№ 7) კი მილიონერია. საკუთარი საჭიროებისათვის კოლმეურნეობას განუყოფელი ფონდიდან 1,5 მლნ მანეთის დახარჯვა შეუძლია წელიწადში. კოლმეურნე ვასილ მამალაძის ოჯახმა გასულ წელს 1700 შრომადღე გამოიმუშავა და ფულად 50 ათასამდე მანეთი მიიღო, ქვინა მალულარიამ კი მარტო პრემია-წანამატის სახით—7500 მანეთი. სოციალისტური შრომის გმირები შურა წიქარიძე, ნინო ნაჭყებია, გალინა მყავანაძე, ქეთო წიტიშვილი, ნინო გაგუა და კოლმეურნეობის სხვა წევრები ენერჯის არ იშურებენ, რომ წილს ჩაის უფრო დიდი მოსავალი აიღონ, უფრო მეტად გაამდიდრონ და განამტკიცონ კოლმეურნეობა, უფრო მეტად გაიუმჯობესონ საკუთარი ცხოვრება.

და აბრეშუმის მოყვანით არ გამოვიდებიან ნაგომრელები, კოლმეურნეებს მესაქონლეობისა და მეფრინველეობის ფერმებიც აუშენებიათ.

სწორედ ამ ფერმებთან გააჩერა „ზიმი“ შალვა სარიშვილი.

მესაქონლეობის ფერმაში 313 სული საქონელია. აქედან 30 ძროხა ბაგურ კვებაზე გადაყვანილი. საკუთარმა გამოცდილებამ დაუმტკიცა ნაგომრელებს ბაგური კვების უპირატესობა. 1954 წლის I კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს, წლიური გეგმის შესრულებას კი ივნისისთვის აპირებენ. ერთ ძროხაზე 1200 ლიტრ რძეს ვარაუდობენ.

ფერმა მთლიანად მექანიზებულია. ელექტროსაწველი მანქანები, საკვების გამამდიდრებელი აგრეგატი, ჩალის საკუწავი და სხვ. დიდად უწყობენ ხელს ფერმის მაღალ წარმადობას. საქონლისთვის სასმელი წყლის მიწოდებაც კი ავტომატურად ხდება.

— ასე, ასე — ბუტბუტებდა თავისთვის ზვანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე კოტე გაბუნია და გულდასმით ათვალერებდა ფერმის თვითეულ კუთხეს, დიდხანს ჩერდებოდა და გულში რაღაცას ასკვნიდა. ცხადია, რაც კარგი ნახა ყველაფერს გადაიტანს თავის ფერმაში. ასე მოითხოვს მეზობელ სოფელთა მეგობრობის ტრადიცია. ალბათ შალვა სარიშვილიც ესტუმრება ზვანში, იქაც მოიძებნება მეურნეობის კარგად მოწყობილი ესა თუ ის უბანი. გამოცდილებას გაუზიარებენ ერთმანეთს, ურჩევენ, დაეხმარებიან, გარდამავალი დროში კი, ვინ იცის ვის დარჩება.

# სოფლის პასკორები

სოფელ ნაგომრის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შალვა სარიშვილი თავის კაბინეტში იჯდა და ჩვენს შეკითხვებს ელოდებოდა, როდესაც კარები დაუკითხავად შემოაღო მაღალმა, წითურმა კაცმა და ხელგაშლილი გამოეშურა მისკენ.

— ოო, კოტეს გაუმარჯოს — წამოიძახა შალვა სარიშვილმა და იმწუთშივე ჩვენ მოგვმართა: — გაიცანით, ზვანის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე კოტე გაბუნია გახლავთ.

ამ ორი თავმჯდომარის შეხვედრით დაიწყო ჩვენი კორესპონდენტული სამუშაოებიც.

— მინდა შენი ფერმა დავათვალიერო, შალვა, ამისთვის ჩამოვედი. მეუბნებიან შენსა ჯობიაო და თუ ასეა, არ მაწყენს ნახვა, — ჩავიწერე უბის წიგნაკში კოტე გაბუნიას პირველივე სიტყვები.

— სიამოვნებით, აგერ, ამხანაგებსაც აინტერესებთ, — ლპასუხა შალვამ და ჩვენცენ მიუთითა.

მაგრამ სანამ გარეთ გავიდოდით ყურადღება მივაქციე კედელზე მიმაგრებულ გრძელტარხან დროშას.

— გარდამავალი დროშა? — გკითხე შალვა სარიშვილს.

- დიახ.
- უკანასკნელად ვის ჰქონდა?
- დედაბუუს კოლმეურნეო-

## ა. პარღოსანიძე

ბას, თავისი ხელით მოიტანა თავმჯდომარემ. ასე თქვა: „დროებით ვტოვებთ, ერთ თვეში წავიღებთ და გთხოვთ მანამდე კარგად შემინახოთ“, მაგრამ თითქმის ერთი წელიწადი გავიდა და... — აღარ დაამთავრა მასპინძელმა და კოტე გაბუნიას გადახედა.

— არ გამოდავებიან და იმიტომ დარჩათ, — გაიხუმრა მეორე თავმჯდომარემ და თვალელები ისე ეშმაკურად მოჭუტათ თითქოს ამბობდა: „ვენახოთ, იქნებ შენც შენი ხელით მოგიხდეს ამ დროშის წამოღებაო“.

„უზოში ახალთახალი „ზიმი“ იღვა — ნაგომრის კოლმეურნეობის საკუთრება. შოფერი არსად ჩანდა. მაგრამ ამ შემთხვევას არ დავუბრკოლებივართ. შალვა სარიშვილი თვითონვე მიუჯდა საჭეს და მანქანა აამუშავა. უკან მოვიტოვეთ საშუალო სკოლის ორსართულიანი შენობა, საფოსტო განყოფილება, სოფლის კოოპერატივი, აბანო, საბავშვო ბაგა და ხარაჩოებით შემოსალტული რამდენიმე შენობა.

სოფელი მთლიანად ელექტროფიცირებულია. ძიმითპისის ენერჯია ნაგომარისა და ძიმითის კოლმეურნეობებს თავისუფლად ჰყოფნით. ნაგომრის ყოველი კოლმეურნის ოჯახში ნახავთ რადიოდანადგარს. სოფლის რა-

დიოკვანძი საკუთარ გადაცემებსაც აწყობს გლეხებისთვის. მიკროფონის წინ ხშირად გამოდის ქალაქ მახარაძის მტკის აგრონომი გერონტი სიხარულიძე.

მისი საუბრების თემებია: „ჩაის მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებანი“, „კვადრატულ-ბუდობრივი თესვის წესიერად ჩატარება უხვი მოსავლის საწინდარია“, „სოციალისტური შრომის გმირის დარეჯან ტაკიძის გამოცდილების დანერგვა კოლმეურნეობაში“ და სხვ. რადიო-საუბრებს ატარებენ აგრეთვე სოფლის საექიმო ბუნქტის გამგე ამბროსი მიქელაძე, მოწინავე ბრიგადირები, მასწავლებლები, კოლმეურნეობის თავმჯდომარე და სხვ.


მამლის გამაფრთხილებელი ყვირილი იმის ნიშანია, რომ „სადილობის“ დრო დადგა (სოფელ ნაგომრის მეფრინველეობის ფერმა).





# ს ა რ უ მ ა რ ი

ანდრო ლომიძე



მ ო თ ხ რ ო ბ ა

შუადღე, ცხელა. ფიცრული, კრამიტი გადახურული ხახლის კიბეზე, სურათი დაფარულ, ბებერი ვაშლის ხის ჩეროში ზის თამაჩორა ბიჭი.

იქვე ბროწეულის ძირას წევს წითური ძალი ბანდურა. თუმცა თვალები მილულული აქვს, ფხიზლობს, ბროწეულზე ავარდნილ ნაცრისფერ, თეთრ-მკერდიან კატას დარაჯობს. კატა დასცქერის თავის დაუძინებელ მტერს და ჩამოსვლას არ აპირებს. აქაიქ ხეს უანგისფერი ფოთოლი რომ მოწყდება და გაიშარიშურებს, ბანდურა კატას შეხედავს წამით და ისევ ხუჭავს თვალებს.

სიწყნარა ხეხილით დაბურულ ვრცელ ეზოში. ხმას არ იღებენ ღობის ჩრდილში თავმოყრილი ქათმები და ინდაურები. მამალ ინდაურს ზურგი ჩრდილისათვის შეუფარებია, ხოლო თავი მზის ცხუნვარე სხივებისათვის შეუშვებია. სიცხისაგან გაბრუებულს ნისკარტი დაუღია, არ იცის თავი საით წაიღოს, თუმცა საკმარისია, რომ მცირე მანძილით დაიხიოს რომ მზის მხურვალეობას ასცდეს.

ხანგამოშვებით, სადღაც, გაიქიკიკებს ჩიტი. იზაბელას ფოთლებს სპილენძისფერი შეპპარვია, შავ, სავსე მტევნებს თუთიას, ტყემლის, მსხლის, ვაშლის, კომშის, ქლიავის, ატმის, ტოტები დაუხრია. ფუტკარი და ბუხი ესევა ყურძენს, ისმის გაბმული ზუზუნის ფუტკრისა, როგორც სიკეთის, სათნობის დაუცხრომელი სიმღერა.

ტრიფოლიატის ღობესთან ჩამწკრივებულ, მზის შუქში გახვეულ ალვის ხეთა კენწეროვებზე შერჩენილი მწვანე ფოთლები მინის ნამსხვრევებით ბზინავენ.

ორბი დასტრიალებს ტყიანი მთის ფერღობზე შეფენილ სოფელს. ფრთის ბოლოები გაშლილ მარაოს მიუგავს.

ბიჭს ანაზად იაპონურმა ხურმამ მოსტაცა თვალი. მწიფე ნაყოფს, ზოგან მწვანე, ზოგან სისხლისფერ ფოთლებს ნადვლიანად გაუღიმა, თავის ენაზე უნებურად აღმოხდა: დედა...

სახლში მყოფმა დარიკომ ყური მოჰკრა ბიჭის ხმას, თავს წამოადგა, ჰკითხა:

— დამიხანე?

ბიჭმა რამდენიმე წუთს დარიკოს უყურა დიდრონ, უუჟუნა თვალბეჭით. და უეცრად, პირველად, მთელი არსებით იგრძნო, რომ უყვარდა ეს გულიხსმიერი, ლამაზი ადამიანი. იგი წამოხტა და ქალს კისერზე ჩამოეკიდა.

დარიკო უკოცნიდა თვალბეჭს და თან ჩურჩულებდა:

— აბა, რა გატირებს, ჩემო კარგო, დამშვიდდი.

— მე არ ვტირი.

— ნუ ტირი, თორემ, მეც ვტირებ.

როცა ბიჭმა ხელი უშვა და კიბიდან მიწაზე გადახტა, დარიკო უცებ გაჩუმდა, შერცხვა. ბიჭი კი არა, თურმე თავად ტიროდა.

\* \*

შეჭადარავებულმა, გრძელლულვაშიანმა გვიგამ მწვანედ შეღებილი ჭიშკარი შეაღო, ჭილის ფართოფარფლიანი ქუდი მოიძრო და დინჯად გასწია სახლისაკენ. გარეთ, სამზარეულოსთან დარიკო ბიჭის ბლუზას რეცხავდა.

— სად არის? — გვიგამ თვალი მიმოავლო იქაურობას.

— ხეზეა, ყურძენს ჭამს.

გვიგის გაეღიმა, მერე თავი ასწია და დაუძახა:

— შვილო!

— მოვდივარ, — შემოესმა ხიდან.

ბიჭი ჩამოვიდა, გვიგისთან მიიბრინა.

— ხურმა მოკრიფე?

— მოკრიფე, კალათა ავაკცე.

— შედი სახლში, ახალი ტანისამოსი

ჩაიცვი. მატარებელი ჩქარა ჩამოდგება, დროა გავწიოთ.

ბიჭი თეთრი ბლუზითა და შარვლით გამოეწყო. გვიგამ მარჯვენა ხელით აისროლა კალათა და მხარზე შეიღდა. გზას გაუდგინა.

აღმართზე გაუქირდა გვიგის, ოფლს ასხამდა, ქშინავდა.

— მოგეხმარები, მამა.

— ჩქარა დაილევა აღმართი. როცა დავბერდები, მაშინ მომეხმარე.

თავქვე დაეშვნენ.

— სიბერის დროს თუ მიატოვებ შენს საწყალ მაიკოს?

— რათა ხარ საწყალი?

გვიგამ გულიანად გადაიხარხარა.

— ჩვენი მტერი იყო საწყალი, მაგრამ გამიგე — რას გეუბნები: როცა დავბერდები, დავჩაჩანკდები, მაშინ თუ იქნები შენს მაიკოსთან?

— ასეთ რამეს რატომ ამბობ? — იწყინა ბიჭმა.

რკინიგზის ბაქნისაკენ მიმავალი ხალხი ესალმებოდა გვიგის.

გვიგამ ბილეთი უყიდა ბიჭს, მერე საკომლმურნეო ფერძის გამგეს — ახალგაზრდა ქერა კაცს გამოელაპარაკა.

მატარებელი რომ შეჩერდა, გვიგამ და ბიჭი უკანა ვაგონში ავიდნენ. გვიგამ კალათა ფანჯარასთან დადო ბათუმში მედიკო დაგზავდებო — უთხრა ბიჭს, თავზე ალერსიანად გადაუსვა ხელი და ვაგონი დასტოვა.

მატარებელი დაიძრა. ბიჭი ღია ფანჯარასთან დადგა. ქულმოხდილი მკვრივად შეკრული გვიგამ ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა შარაზე, რომლის ორთავე მხარეზე ალვის ხეები და ქაღერები იყო აღმართული. მარჯვენა ხელს ჩვეულებისამებრ ღონივრად იქნევდა. მარცხენა კი — სამამულლო ომში დაზიანებული — ჩვარივით ეკიდა. ხან მზის შუქი, ხანაც ხეების ჩრდილი ეფინებოდა ოდნავ გამელოტებულ, მზით დამწვარ თავზე, ვანიერ ბეჭებზე. გვიგამ ხეებს რომ მიეფარა, ბიჭი ფიქრებს მიეცა. ბათუმამდე მცირე გზაა, იქ მისი და მედიკო შეეგებება. მედიკომ წელს დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტი და მასწავლებლად მოეწყო ბათუმში. ბიჭს შეპპირდა: შენ თუ იაპონურ ხურმას ჩამომიტან, ორთვილიან ველოსიპედს გაცივდიო. რამდენი ხანია ოცნებობს ველოსიპედზე! სამთვლიანი არ გამოადგება, უკვე დიდა ბიჭი, მესამე კლასშია.

\* \*

ბიჭს მხარზე ხელი მოუთათუნა და გვერდით ჩაუარა სუფთად, თეთრად ჩაცმულმა შავგვრემანმა, დაბალმა კაცმა. იგი ქართველს არ გავდა. ბიჭმა ცნობისმოყვარეობით გაადევნა თვალი.

— ამ ვაგონში ჩინელი სტუმრებია, — გაიგონა ბიჭმა. იმ კუბესთან, რომელშიაც დაბალი ჩინელი შევიდა, მგზავრები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ. ბიჭმა შეინება კუბეში. სტუმრები საუბრობდნენ. ბიჭი რატომღაც დაიძახა, შემთხვევით ვიღაცას გაჰკრა მხარი.

\* \*

— ბიჭო მოსვენე, კინაღამ შემიხვრე მუცელი, — უსაყვედურა მსუქანმა შუახნის მგზავრმა.

ბიჭს ყურადღება არ მიუქცევია.

კუბეს კუთხეში ჩინელი ქალი იჯდა, მის მუხლზე თავი ედო მძინარე გოგონას, გოგონამ გაიღვიძა, დედას შეხვინა, წაჰოჯდა, ფანჯრისაკენ იბრუნა სახე და წამოიყვინა:

— აი, ჩვენი ჩაი, როგორ ჩქარა მოვსულვართ სამშობლოში.

ამ სიტყვებზე რამდენიმე სტუმარმა გაიცინა, ხოლო დედამ უთხრა შვილს:

— მართალი ხარ, შვილო, აქაც ჩვენი სამშობლოა, მაგრამ ჩინეთი მაინც შორსაა.

ბიჭი ღელავდა, კუბეს არ შორდებოდა.

— ეს ბიჭი საოცრად გავს თქვენი ერის წარმომადგენელს, — მიმართა კორეულ ენაზე ჩინელმა ქალმა მის წინ მჯდომ გამხდარ, სათვლიან, მელოტ კაცს.

— წარმოიდგინეთ, რომ მართლაც ჰგავს, — უსასუხა კორეელმა და ბიჭს დააშტერდა.

ბიჭს მთელი ტანი აუცახცახდა, ორივე ხელი ასწია. თითქოს ვინმეს უნდა მოეხვიოსო, თვალბეჭის ხამხამსა და ტუჩების ცმაცუნს მოჰყვია. მერე მოტრიალდა, თავისი კალათა შეათრია კუბეში და მშობლიურ ენაზე, ხმის კანკალით შესთავაზა ხურმა.

სტუმრებმა შეწყვიტეს ლაპარაკი და ბიჭს მიაჩერდნენ. განსაკუთრებით გაცვიფრდა ერთი, ჩინელი ქალის წინ რომ იჯდა. იგი კორეელი იყო. ყველა დუმდა, მხოლოდ გოგონა ეუღურტულეზოდა დედას. დედის ყურადღება რომ ვერ მიიპყრო, მიხვდა: ამის მიზეზი ეს ვიღაც უცხო ბიჭი იყო. ამიტომ მას დაუბეჭვია.

— ვინ გასწავლა ჩვენი ენა? — შეკავებული მღელვარებით ჰკითხა კორეელმა.

— მე... კორეელი ვარ... ლი ხან გო.

— მშობლები აქა გყავს?

— მე... მე... წინათ სხვა ქვეყანაში, კორეაში ვცხოვრობდი, ასეთი ხურმა გვექონდა, მიირთვით, მიირთვით. მე... სხვა მშობლები მყავდა. ამერიკელმა მფრინავმა მომიკლა მამა და დედა. მე ჩავებუტე მოკლულ დედიკოს და ბევრი ვტირებ. მერე ძია სტალინის გემმა წამომიყვანა, ახლა გვიგამ და დარიკომ მიშვილეს. ისინი კარგებია, მაგრამ მე მინდა ჩემი დედიკო...

ამ დროს კუბეში თავი შემოპყო ქაღარა კონდუქტორმა და თავაზიანად მოახსენა:

— ჩაქვში შევდივართ უკვე, აქ მატარებელი დიდხანს არ ჩერდება გთხოვთ მოემზადდით.

სტუმრები წამოიშალნენ, ბიჭს დაემშვიდობნენ. კორეელმა სტუმარმა ოქროს საათი მისცა ბიჭს და დაუბარა:

— შენს ახალ მამას ჩემგან გადაეცი სამახსოვროდ. — წყლიან თვალბეჭით ერთხანს სევდიანად უუუარა. მატარებელი რომ გაჩერდა, შუბლზე აკოცა, ზურგი უჩვენა და სწრაფად წავიდა.

— ვაგონში სტუმრები იყვნენ, ჩინელები და ერთი კორეელი. კორეელმა ძიამ საათი აჩუქა გვიგის — ჩემგან ჰქონდეს სამახსოვროდო, — ბიჭმა საათი უჩვენა მედიკოს.

მედიკოს თვალი მოსჭრა გვიგის საათის სიწვენიერემ, უცნაურმა ციფერბლატმა. გადააბრუნა და მოიხიბლა. ოსტატს ოქროზე შთავონებით გამოესახა სტალინის, მათ ძე დუნისა და კიმ ირსენის პორტრეტები.





# ახალგაზრდა მწერლები



ნოდარ შამანაძე

## ზაქაროვისკაბი

ერთხანს რომ დარია, კვლავ მერე ადარია, ჯერ სითბომ სიცივეს ხელი ვერ დარია, იები არა ჩანს, ენძელაც არ არის, ბიჭები კი უკვე მინდვრებში არიან. ზოგს მკერდზე უბრწყინავს ნიშანი ტანკისტის, და გოლიათივით მხარ-ბეჭი გაშლია, ზოგმა კი ფრონტი და ტანკი არც იცის, შეხედავ, იფიქრებ — ჯერ ისეგ ბავშვია, თავს დასტრიალებენ ტანშიმომე ტრაქტორებს და როგორც მოტორი, ძვერს მათი გულები, მინდვრები დიდ სუფთა ქალაქებს მაგონებს და მოჩანს დაწერილ ფურცლებად ხსუნლები. მინდვრები გაშლილან ვით შავი თავშალი, დევნივით ბიჭები გასულან მინდვრადა, სახე აქვთ შავ-შავი, უღვაშიც შავ-შავი და ქვეყნის წინაშე არიან პირნათლად.

ოთარ ჩილაძე

## პიკაპი ყვავილები

ოთორი ალუბლები ბაღებს აფუთებენ, კვირტები თრთიან, როგორც საფუთქლები. ფუტკრები წოვენ ყვავილს თაფლიანს. მე ბაღში ვზივარ და... ბავშვები დარბიან. მთვლემარე კაცებით სუნთქავენ ბუჩქები.

მოვიდა გოგონა —

თაფლისფერ თვალებით... ატმისფერ ტუჩებით...

გაშალა წიგნი, (ნიაგი უშლიდა) დაეცა ყვავილი შრიალა ნუშიდან.

დარბოდენ ბავშვები. — ეახლდენ შშობლები...

უცებ, გაგვიღია.

და უცებ ვიგრძენით, რომ ვართ ახლობლები.

და მერე ერთად ვისხედით ბაღში, დაფიქრულ სკამზე... ვისხედით დინდხანს...

...ქარი ფურცლავდა წიგნს, როგორც ბავშვი, რომელმაც არ იცის კითხვა.

## განსქაიან შაკა ბაღები

მისიციცხლის ხმაზე შრიალებს მუდამ ხე ლამაზი და რტოდათაფლული. თვალს და ხელს შუა მწიფდება თუთა, თვალს და ხელს შუა გადის ზაფხული. და ყანა იტყვის ჩურჩულით: — დროა... ამდენ ლოდინით... დაგწყდა ფეხები... ქარს მომეკლებს სიმღერა მოაქვს და ვასცქერიან შარას ბეღლები.

შოთა ნიშნაიანიძე

## დილით ყანისკენ

დილით ყანისკენ მივჩქარებდი და მდღეგარეობით წინ ვიციქრებდი. ქვერქვებავდელი ლობის სარები მოჩანან, როგორც წინდის ჩხირები.

ყანაში შედის გზა ოკრო-ბოკრო და როცა ყანა ქანაობს ქარში, ჩაიკარგება ბილიკი, როგორც შემოპარული ჭაღარა თამაში.

ყანა ლაღანებს... და ჩემს თვალებში ფეთქავს სინათლე ლურჯ სიმინდებს. მომესურვება ყანის ალურსი და ქრქოლა მივლის ტუჩის მიღებით.

ამ ლურჯი ფერით თვალი ისვენებს, სიო, ბინდივით მელამუნება. პეშეს რომ მიკარებებს ყანის სისველე გუმადლი გლვებს და დედაბუნებას...

გიორგი გუბლია

## სოფელი დაპყრული...

წყაროსთან დავჯექი და ვისვენებ, მოგარდნილ სურნელით გავბრუნვდი, სოფელი, შენთან ვარ ისევე, დაებრუნდი.

დაებრუნდი, ეს მუხა ტანჯმუსი, ირმითი ბაბუას წლის არი; მე მუხავ, გახსოვარ ცხენჯახით? მისანი?

ავფრინდი მე შენი ბუღიდან, შენს მკერდზე ვსტოდი და დავრბოდი; ზალახზე დავაგდე ქული და დავგორდინე მტინი ინსულან თქვენი

გვდავარ და ვისვენებ ყველაფერს: ვარდობას, ატმობას, გაშლობას, და ხეზე ამოჭრილ ჩემს სახელს მიკითხავს ჩემივე ბავშვობა.

თარგმანი აფხაზურიდან ზ. ბოლშვაძისა

გიორგი შაბურდინი

## მეცა მთაგვი

ასეთი წვიმა აპრილმა იცის, თქორიც მთებშია ასეთი წვიმა, ტბორში ჩამდგარი კენესოდა სივრცე წვიმადა და წვიმადა, მთებში დამოილით ატყდენ სიონი, შორი ფლატენი ეხომ დაღარა, ქარმა მოტეხა კაკასიონი და თითქოს წყალში ჩაწვა ჭაღარა. ქარმა აშალა ყველა აფრები მას გამარჯვება სწამდა ეგება, მერე ხარხარით და გამაფრებით მთებში ნიაღვარს შემოეგება. ვიჭური როკვით ველი გათელა წვიმადა და წვიმადა დაუსრულებლივ... მაგარამ შეცრად სხივთა ნათელმა ცეცხლით გააქვეთა მრუმე ღრუბელი, გააქვეთა, დაჭრა ღრუბელი კრებულად და აციმციმდა მთებში აული

ნოდარ გურჯიძე

## მზიცი

გვანლა პატარა ლამაზი ბიჭი, თვალგებრა და ლოყებფუნჩულა, ჩვენს დანახავზე შეირბა ფიჭვი და ნაძვს რალაცა გადუჩურჩულა.

ზღვა ჩვენს წინ ათას ფერად აჭრელდა, ტალღამ სხვა ტალღა გაიყოლია და მე შეენიშნე როგორ გაგვჭორა ფრთამოფარფატე თუთრმა თოლიამ.

ჩვენ მივდოდით, მკონდა ხალისი, — ხალისი მთელი ქვეყნიერების და მე გავიგე, როგორ გაისმა ჩვენი ნათქვამი — ბედნიერები!

ნუთუ არ გახსოვს, — ლურჯ ზღვის ჩქერები მზემ ოქროსფერით როგორ დაიპყრო, მაშინ ვერავის დაეჯერებდით, რომ ბიჭი ჩვენი შვილი არ იყო.

გახსოვს? ჩვენ კენჭებს ვათამაშებდით, ზღვასთან ფირუხისფერად რომ ეყარა, მე შევიყვარე ის ზღვაც, ბავშვებიც, მე შევიყვარე მთელი ქვეყანა...

...მე ისეგ ვნახავ, სოხუმს, ზღვისპირეთს, რომ ვიგრძნო ტალღის შმაგი თარეში, ფიჭვიც, თოლიაც, ზღვაც გაიკვირვებს რომ მნახის შვილის და შენს გარეშე.

მე მინდა ერთად, ერთად, სულ ერთად, გენახოს იმ ფიჭვმა, ზღვამ და თოლიამ — ჭორის გარეშე, მართლა რომ ეთქვათ, — ნახე რა კარგი შვილი ჰყოლიათ!

მსუბუქ ნისლეტში აბოლებული განათებული ვით სასწაული, აულის ბავეს მოწყდა სიმღერა სისხლში რომ უჩქევს ჭაღარა ქედებს, დიდი ცხოვრების გზად რომ მივლავს რომ მერე კრემლის კედელთან შესდგას, ლაყვარლებს ლოყა შეუყრის ზღვა, და ჩანჩქერივით ჩქევდა ოცნებით სიმღერა სწრაფი, როგორც ირმის გზა, უკან რომ რჩება მწვანე ზორცვები, სიმღერა, ქართა ჩქერი დიადი, და გაზაფხულის გამეორება, გაბრწყინებული, ვით განთიადი, მარადიული, როგორც ცხოვრება.

თარგმანი ნაზი კილასოვიანი





ეროვნული  
ბიბლიოთეკა



ა. ციხაკურიძე — წიკვილთან.

ვ. შერბილოვი. — მღელვარე ზღვა.








ვ. ვასნეცოვი. — რაინდი გზაჯვარედინზე.

(ტრეტიაკოვის გალერეიდან)

XVII სუკ. იტალიელი მხატვარი. — ნიმფა გაურბის პანს. (ერმიტაჟიდან)







ა. დიურერი. — სამსონი ჰკლავს ლომს.

გრავეურა ხეზე.  
(ერმიტაჟიდან)

საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი დღითი დღე მდიდრდება ახალი ექსპონატებით. ამას წინათ მუზეუმმა მოსკოვიდან და ლენინგრადიდან საჩუქრად მიიღო ხელოვნების რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაწარმოები. ვბეჭდავთ ზოგიერთი მათგანის რეპროდუქციას.

ბრინჯაოს შანდალი ეგვიპტელი ქალის ფიგურით.  
საფრანგეთი. XIX საუკ. დასაწყისი. (ერმიტაჟიდან)







მ. ხეიტია. — შემოდგომა.

ჩანართის I და IV გვ.: ექსპონატები ხაქაროველს შხატვრების 1953 წ. ნამუშევართა რესპუბლიკური გამოფენიდან.



# შ ც ნ ა შ რ ი

მხატვარი ალ. ბანძელაძე

## 3. კოკოლაქო

## (80-იანი წლების ნარკვევი)

ისევ დუმილი.

— სამსახური რაა. შენ ჭკვიანად, წესიერად იყავ და სხვა არა გინდა რა. მე, მით უმეტეს, ჩქარა შენ წახვალა მიყვები. გავწყველი ვარ, ვადა მითავებდა. უფროსი ცი ამას მიუზნებდა: დარჩი, ვაგარილოვ, სოფელში რა უნდა გააკეთო? აქ კარგი თვალით გიყურებენ...

— დარჩებით?

— არა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, შინაც რა მინდა... გლხნურ ჯავახსა და შრომას მე ვადავინგივი... იქაურ საქმელსაც. თანაც, მოგვხსენებათ, იმათ მოქცევა... გაუთვლილობა...

— მაშ რაშია საქმე?

— ვაგარილოვი ჩაფიქრდა, მერე მითხრა: — აი, ბატონო, თუ თავს არ შეგაწყენთ, ერთ ამბავს ვამბობთ... მე თვითონ შემემთხვა და... მიახმეთ...

## II

ჯარში სამსახური მე 1874 წელს დავიწყე, გავწვივითანავე პირდაპირ ესკადრონში მოვხვდი. თავს არ ვსოგავდი სამსახურში, შემძლია ვთქვა მეცადინეობას არ ვაკლებდი, უფრო მეტად, როგორც მოგვხსენებათ ჩვენი ამბავი, გაწვევებით მეზავნიდნენ ხოლმე, ხან პარადზე, ხან თეატრში. წერაკითხვა კარგი ვიცოდი, ზოდად არც უფროსები მტოვებდნენ უყურადღებოდ. მაიორი ჩვენებური კაცი იყო, ამ ჩემს სიბიჯითის რომ ხედავდა, ერთხელაც გამომიძახა და მიუზნებდა: „ვაგარილოვი, მე შენ უსტერ-ოფიცრობაზე წარგადგენ... მივიღინებავი თუ ყოფილხარ ჯერ? — არა, თქვენმა მალაქეთილშობილებამ-მეთქი. ზოდად, ამას იქით ხელქვეითად გაგაყოლებდნენ ვინმეს, საქმეს ვაიცი, თუ შენ გეხატებ, — მძელი არაა...“ — მესმის-მეთქი, თქვენმა მალაქეთილშობილებამ, თავს არ დავსოვავ-მეთქი, მოვასხენე.

მივღინებავი თუ, მართლაც, არც ერთხელ არ ვიყავ ნაშყოფი, — აი, მაშინადაც, თქვენსთან ხალხს რომ აყოლებდნენ თან. თუმცა ეს, კაცმა რომ თქვას, ძნელი საქმე არაა, მაგრამ ინსტრუქციები უნდა იცოდეთ, თან გერგილიანობის გამოჩინაც გჭირია. მაშ ასე...

ვახედა ერთი კვირა ამ ამბის შემდეგ, ერთ დღეს მდღეურმა მითხრა უფროსი გიბარებსო, ჩემთან ერთად უსტერ-ოფიცრობას უნდა წავიყვანო, თქვენ მივღინებავი უნდა წახვიდეთ. აი თანაშემწედი ეს გეყოლებოდა, — თხრობა ჩემზე უსტერ-ოფიცრობა. — ჯერ იქ ნაშყოფი არაა, გამოუცდილია. აბა, თქვენ იცით, ბიჭებო, თვალთ გეჭირათ, ყოჩაღად იყავით, — ცინიდან ერთი ყმაწვილი ქალი უნდა წაიყვანოთ, პოლიტიკური დამნაშავეა, ვგარად მორღოვია. აი ინსტრუქცია წაიღეთ, ხვალ ფულს მიიღებთ და გზას გაუღებთო!

უსტერ-ოფიცრობი ივანოვი უფროსად მოდიოდა, მე ხელქვეითად მივყვებოდი, — როგორც მე მახლავს ახლა მეორე ხანდაზმობი. უფროსს სასაზნო ჩანთა ახარია, ფულს ხელზე აძლევდნენ, საჭირო ქაღალდები იძახა აქვს; ის აწერს ხელს, ხარჯსაც ის აწერდნენ, დამხმარებს კი იმიტომ ატანენ, ან სადმე გაგზავნა დასჭირდეს, ან ბარჯს მიუხედავს, ერთი სიტყვით, მივხმაროს და ხელი შეუწყოს.

მაშ ასე. დილით ჯერ კიდევ გათენებულად არ იყო, უფროსის თათბიდან რომ გამოვიდით, ვხედავ, ამ ჩემს ივანოვს უკვე არ მოუსწრია სადღაც გადაკვრა! მართალი გიხარიათ, ყოვლად შეუფერებელი კაცი ვახლდეთ, — ახლა ჩამოქვეითებული კიდევ... თუ უფროსის თვალწინ იყო, მაშინ, მოგეცათ ლხენა, იმას ეჭირა თავი, სხვებს შარსაც დებდა, რა არის, თავი გამოეჩინა და სამსახურში წინ წაიწიათ, მაგრამ როგორც კი მოშორდებოდა, აუჩრევდა და იმაც წამს არაყს მიეტანებოდა.

მივედი ცინებში, როგორც წესი და რიგია, ვადა-ვეციო ქაღალდი, ვდავგარო და ვუყვით ბატონის გამოყვანას. სული მიმდის ვაგიგო, ვინაა ის ყმაწვილი ქალი, რომელიც უნდა წავიყვანოთ და ისიც ასე შორს მარშულობით. მაშინაც ამ გზით მოვდიოდით, ოღონდაც ის ქალაქში იყო საცხოვრებლად ვან-წესებული, მარაში კი არა. ზოდა, მეც მინდა ვაგიგო, ნეტავ რა პოლიტიკური დამნაშავეა ასეთი? პირველად ვიყავი და ალბათ იმიტომ.

ასე ველოდეთ იქ თითქმის ერთი საათი, სანამ იმას ბარჯს შეუკრავდნენ, — თუმცა რა ბარჯი, ერთი პატარა ბოხნა იქნებოდა, — შუგ კაბები და კიდევ სხვა რამერეშები, — თქვენც მოგვხსენებათ, — ცოტა კიდევ წიგნები იყო, მეტი არაფერი: ხელმოკლე ოჯახის შვილია ალბათ, — ვიფიქრე ჩემთვის. ბოლოს გამოიყვანეს ისიც. შევხედე, სულ ყმაწვილი ქალი, თითქმის ბალდი. ქერა თმა ერთ ნაწილად უკან გადაუღვია, ლოყები ვარდისფერად უღვინდა. მერე კი ვხანა-უფერი არ ელო, მთელი გზა ჩათოქვითი იყო. იმ ერთი შეხედვისთანავე სიბრალულით ამევსო გული...

ვიფიქრე, უფროსები, ცხადია... არ შეცდებიან... უბრალოდ არავის დახვინან... ალბათ მოაღინებენ რამე პოლიტიკური ხასიათის... მაგრამ მაინც... შემებრალო, ისე შემებრალო, რომ ვერ ვიცი!

ჩაიცვა ქალმა ბალდი, კალოშები... მისი ბარგიც გვაჩვენეს, — წესია ასეთი: ინსტრუქციით ვალდებული ვართ, ბარგი გავუხსნავოთ. „ფული რამდენი მოგაქვთ?“ — ესეც ვკითხე. მანერე და ოცი კაპიკი აღმოჩნდა თან, — ივანოვმა ის ფული ჩამოართვა და მერე უთხრა: ახლა კი თქვენ უნდა გაგჩხრკოთო.

გაცივხლდა მაგრამ რა გაცივხლდა. თვალში აენთო, სახეზე სულ ალმური მოეკადა, თხელი ტუჩები სიბრაზით აუკანადა... რომ შემოგხედდა, არ დაიკვირებო, — ისე შემკერთო იმისმა თვალმბა, ახლოს მიხვლა ვერ ვაგებდი. ივანოვი კი, რასაკვირველია, მთვრალი იყო და რას მოერიდებოდა. „ეს ჩემი ვალა, ინსტრუქცია მავალბესო!...“ — გაიძახის და იმისკენ იწვივს.

უფერია ქალმა, მაგრამ რა უფერია, — იმის ყვირილზე ივანოვმაც შიშით უკან დაიხია. შევხედე ქალს, ფერი სულ წაუვლია, თვალში ჩაუშავდა, ერთი სიტყვით, ვაფადა და ვაანხლდა. სულ ფეხებს ვიბაკუენება, თან სხაპასუხობით გვაყრდნა სიტყვებს, თუმცა, მართალი გიხარიათ, კარგად არც კი დამიგია ყური, რას ამბობდა... შეშინდა ზედამხედველიც, მაშინვე წყალი მოუბრუნინა. „დამშვიდდით, გეთაყვათ, თქვენ თავი მაინც შეიბრალოთო!“ — იხვეწებოდა. მაგრამ არც იმას დასდო პატივი, — თქვე მარბროსებო, თქვე მონებო!“ და სხვა მისთანა კადნიერი სიტყვები გვიძახა. რაც ვინდათ თქვით, ბატონო, და ასეთი მოქცევა უფროსების მიმართ დიანაც მოსაწონი არაა. დახე ერთი ამ გველის წიწილას-მეთქი, ვიფიქრე გულში... ახსნაურის ნაშვირ!

ასე რომ აღარ გავიხრკივას. ზედამხედველმა ქალი სხვა თანაში გაიყვანა, თან ზედამხედველი ქალი გაიყოლია. დღეხანს არ დაუყოვნებიათ იქ, მაშინათვე უკან გამოიყვანეს. თან არაფერი აქვსო, — გვეუბნებდა. ის კი შესცქერის და თითქმის დასციინოსო. გამოხედვა მაინც გაბოროტებული აქვს. ივანოვი კი, ცხადია, არას დაგვიღვს: „აი კანონში არა სწერია, იმ ინსტრუქცია მაქვსო!...“ მაინც ამას ბურტყუნებს. მაგრამ ზედამხედველმა ყური არ ათხოვა იმის ბურტყუნს. მთვრალი იყო და აბა მთვრალს ვინ რას დაუჯერებდა!

გზას ვაფუტავდი. ქალაქში რომ ვგვარობ, — ქალი კარტის სარკმელს არ მოშორებია, სულ იყურებოდა, თითქო ქალაქს ეთხოვება ან არადა ნაცნობების დახვება უნდაო. ივანოვმა კი აიღო და სარკმელზე ფარდა ჩამოუშვა. ქალი კუთხეში მიიკუნა, — ჩვენსკენ აღარ გამოუხედვს. მაგრამ ცოცხალი ვაფუტავდი, გულმა არ მომიშინა: ვარდა მოტახე ვადავწვიო, ვითომც განხედვა მე მინდოდა, — ისე კი, რომ იმასაც დაენახა, ოღონდ ქალმა არც გამოიხედვა, ვაჯავრებული იჯდა თავისთვის კუთხეში და სულ ტუჩებს იკვნებდა სიბრაზით... ასე მეგონა, იმდენს იგზავს, სისხლს დაიდნს-მეთქი.

მატარებელი წავედით. კარგი დარი გამოვდა, იმ დღეს, — შემოდგომით იყო ეს ამბავი, სექტემბერი იდგა. მზეც კი ანათებს, ეს არის, რომ შემოდგომის ცივი ქარი ჰჭრის. ქალმა ვაგონში ფანჯარა გააღო, იმ ცივ ქარში თავი გადააპყრო და ისე წის, ინსტრუქციით არც ეს შეიძლება, მაგრამ ამ ჩემმა ივანოვმა, რა წას ვაგონში შემოვიდა, მაშინათვე ხერხინა ამოუშინე; მე კიდევ თქმას ვერ ვუხედავ. ვითმინე, ვითმინე, მერე მივედი და ძლივს შევხედე: — ქალიშვილი, ფანჯარა დახურეთ-მეთქი. — ვითომც არ გაუგონიათ, ხმა არ გამცა. ცოტა ხანს კიდევ ვაგჩრდი და მერე ისევ ვეუბნებო: — წაიხილეთ ეს ინსტრუქცია!

— სიცხევა, ქალიშვილი, გაცივდებით. ივანოვი შემობრუნდა ქალი, დამაშურა და იდრონი თვალთ, — თითქო რაღაც გაუთვლილი... მიცქირა, მიცქირა და მერე — თავი დამანებეთო! — მითხრა და ისევ ფანჯარაში გადაეყურა. მეც რაღას ვიზამდი, ხელი ჩავიქნიე და მოვუხრდი.

შევატყვე, თითქო ცოტა დამშვიდა. დახურავს ფანჯარას, პალტოში გახვევა, თბება. აქი ვთქვი, ცივი ქარი იყო, ძლივში ატანდა! მერე ისევ ფანჯარას მიუხედდა, ისევ ქარს მიუშვებს სახეს, — ეტყობა ცინებში ნაჯდომს ახლა ვეღარ გაეძლო თვალი. გამხიარულდა კიდევ; აქეთ-იქით აცვივებდა თვალს, თავისთვის იღიმება. ისეთი კარგი სახანავი იყო იმ დროს, სინდისს გევიცებოთ, თვალს ვერ მოწვევებდა კაცი.

ჩემი მოსახურე გაჩუმდა და ჩაფიქრდა. მერე თითქო ოღნავ დარცხნული კილოთი ვანავრძობ: — ცხადია, მიუჩვევილი ვიყავ და იმიტომ მომივიდა ასე... მერე და მერე, ბერის გულია და წაყვარ რომ მომიხდა, მივეჩვიე. მაშინაც პირდაპირ საოცარ ამბად მერვენებოდა, ვერ გამეგო, სად მივყავს ასეთი

— სადღური მალე იქნება, მეტლმე?

— ჯერ კიდევ კაი ხანი უნდა, — ქარბუქამდე მაინც ვერ მივასწრებთ, — ვერა ხედავ, როგორ აბრია ამინდი, სივარა ამოიჭრა.

ქარბუქამდე ეტყობა მართლაც ვერ მივასწრებთ მისვლას. ბინდისას უფრო იმატა სიცივიმ. თოვლს სრავსარუში გააქვს კაბეჭევი, ჩამოხურულ ნაძვარში ზამთრის ცივი ქარი — სივარა ზუზუნებს, ნაძვის ტოტები გადაუწყდენიათ ვიწრო გზაზე და კუშტად ირხებიან ამ ადრთან საღამოს ჩამოშვებულ ბინდში.

მცევა და თავსაც უხერხულად ვგრძნობ. ვიწრო კაბეჭევი, მეც ვიწროდ ვწვივარ, თან ჩემ გამყოფთა ხმლები და რევოლვერები წარამარა ფეხებში მედებდა და ესეც მაწუხებს. ზანჯალას რაღაც გაუთავებელი, ერთფეროვანი სიმღერა გაუბამს და უკვე ამღერებულ ქარიშხალს ხმას უწყობს.

იღბლად, ავტო მოგუგუნე ნაძვარის პირას სადგურის ობოლი შუქი გამოკრთა. ჩემი გამყოფი ორი უნდადამი ძალზე გახურებულ, ბნელ, გაქვარტლულ ქოხში თოვლს იბერტყავენ, ჩხარუნობს მთელი არსენალი მათი იარაღისა. ქოხი დარბილია, ულასათო. დიასახლისი სანათურში მხრჩოლაკ კვარს ამაგრებს.

საქმელი ხომ არაფერი გაქვს, დიასახლისო?

— არაფერი არ ვაგაჩინია...

— თევზიც არაა? მდინარე ახლოს ჩავიდით.

— კი იყო თევზი, მაგრამ წყამა გააქრა.

— მაშ კარტოფილი გექნება...

— ო, დედაც და შვილი! მოიყინა წრეულს კარტოფილი, სულ მოიყინა...

რაღას ვიზამდით, — ჩვენდა ვასაძრად სამოვარი მოიძებნა. დავლიეთ ჩაი, ვავთობი, დიასახლისმა ხოკერით პური და სახეი გამოვკვინა, ვარეთ კი ფრთებს შლიდა ქარბუქი, ნამქერს აყრიდა სარკმელზე, კვარის შუქიც ხანგამომვებით კრთოდა და ირხებოდა.

— რალა დროს წახვალა, აქ დარჩით და ისაა! — გვეუბნებდა დიასახლისი.

— რას ვიზამთ, — დავრჩებით. არც თქვენა გაქვთ, ბატონო, საშური. ხომ ნახეთ, აქეთ რა ქვეყანაა! ზოდად ამას იქით — დამიჯერეთ, — უარესია, — მეუბნებოდა ერთი გამყოფი.

ქოხში ხმაური მიწყდა. დიასახლისმაც ვადაღო თითხტარო, კვარი ჩააქრა და დაწვა. გამიფებულ სიჩუმესა და წყველად მხოლოდ მოვარდნილი ქარის მძაფრი ზუზუნის არღვევდა.

მე არ მეძინა. ქარიშხლის ზუზუნში ერთმეორეზე მძიმე ფიქრები მატარებლბდა თავში.

— ვატყობ, არ გეძინებთ, ბატონო? — მეუბნებოდა ისევ ის გამყოფი, უფროსი უნდადამი, საკმაოდ სიმპათიური, სასიამოვნო, თითქმის მოინტელიგენტო სახის კაცი. ის მარჯვდა, თავისი საქმის მცოდნე, და ამიტომ არც უნდადებო. გზაში არც უმიზნულად შეუვიწროებდნენ და არც ფორმალბა გამოუჩენია.

— ზო, არ მეძინებთ.

რამდენიმე ხანს სიჩუმე ჩამოვარდა, თუმცა მესმის, რომ არც ჩემს მეზობელს სძინავს, — ვგრძნობ, არც მას ეკარება ძილი, მასაც რაღაც ფიქრები უტრიალებდა თავში. მეორე გამყოფი, ახალგაზრდა „ხელქვეით“ სძინავს ჯანსაღი, ძალზე დადლილი კაცის ძილით. ხანდახან ძილიმ რაღაცს წამოაბოღებს.

— მივყენ თქვენი ამბავი, — მესმის ისევ უსტერის მშვიდი ხმა: — ყმაწვილები ხართ, ასე ვთქვათ, კეთილშობილი, განათლებული ხალხი, — თქვენი ცხოვრება კი როგორ მიგვაყვით...

— მაინც როგორ?

— ემ, ბატონო! ვანა არ გვესმის!... დიანაც გვესმის, რომ არც პატარაობითვანე ხართ ამას ნაჩვევი და არც შემდეგში იქნებოდით ასე ნაცხოვრები.

— ამას კი ტყუილად ამბობთ... საკმაო დრო გვექონდა, ვადავჩვევოდით...

— ვითომ გიხარიათ? — ამბობს დაქვეებული კილოთი.

— თქვენ კი გიხარიათ? — დღეობდნენ ორივე.

— დუმილი. ვაგარილოვი (ასე ვუწოდებდით ჩემს მოსახურეს), ჩანს, რაღაცაზე ფიქრობს.

— არა, ბატონო, არ ვიხარია. დამიჯერეთ: ზოგჯერ ისეთ გუნებაზე დადებები კაცი, — პირდაპირ ამ ქვეყნის ყურება აღარ გინდა... არ ვიცი კი რისი ვან, — მაგრამ ხანდახან გულზე დანახავით ისე დამეხლბა, — საშველი არაა.


— სამსახურია ძნელი თუ? — მკვდრე აუღმარებოდა.

— სამსახური იქით იყო... ცხადია, ვასართობი არაა, თან უფროსებიც, უნდა ითქვას, მკაცრი ვაყვას, მხოლოდ მაინც ამისაგან არ უნდა იყოს...

— მაშ რა მიზეზია?

— ვინ იცის?...





ძალზე გული მატკინა იმისმა სიტყვებმა... გავჯავრდი... ქალმა კი ისევ ამომხედა და მიუხედა:

— ტყუილად გგონიათ მაგრე, — მიუხედა, — ძალიან კარგად ვიცი, რასაც ნიშნავს ეს, მაგრამ საავადმყოფოში მაინც არ დავწევი. მალეობა მომიხსენებია! თუკი სიკვდილი მიწერია, ის მიჩვენებია იქ, ჩემიანებში მოვკვდი, თავისუფლებაში მაინც ამომხედება სული. ხოლო თუ მოვრჩი, მაინც ისევ თავისუფალი ვიქნები და არა თქვენი ციხის საავადმყოფოში. თქვენ ხომ არ გგონიათ, — მიუხედა, — გაცივდი და გაცივებაზე გავხდი ავად? როგორ არა!

— იქ ნათესავები გყავთ? — ვკითხე, რაკი მითხრა, ჩემიანებში მინდა მოვკვდეო.

— არა, — მიუხედა, — არც ნათესავები მყავს და არც ნაცნობები. ებ ქალაქი უცხოა ჩემთვის, მაგრამ, ალბათ, ჩემისთანა ვადასახლებულნი, ამხანაგები, იქაც იქნებიან. — გამიკვირდა მისი ნათქვამი, უცხო ხალხს რომ თავისიანებს ეძახდა. ფული მაგას არა აქვს, ვიფიქრე ჩემთვის, ასე უფულოს ვინ აქმევს და ვინ ასმევს, თანაც უცნობს?.. მაგრამ გავმოკითხე ალარ დაუწყემ,

რადგან შევატყვე, ჩემი კითხვები არ ესიამოვნა და წარბი შეიკრა.

კარგი-მეთქი, ვიფიქრე... ვერც იყოს! ჯერ გაკირვება არ გინახავს. გამოვიდა სიმწარეს და მერე გაიგებ, რაც არის უცხო მხარე.

სალამოს ცა მოიღრუბლა, ქარი ამოიჭრა, ცოტა ხანს მერე წვიმაც უნდა დაერთო. ჯერ ისედაც ლაფი იდგა გზაზე, ახლა სულ ტალახად აიზილა! მე მთლად ამომხედავარ ლაფით ზურგი, იმასაც საკმაოდ მოხვდა. ერთი სიტყვით, იმისდა საუბედუროდ, საძაგელი ამინდი დაიჭირა. ჩვენი კიბიტკა ჩარდახიანი იყო, მე კიდევ ზემოდან ბრუნენტი გადავაფარე, მაგრამ გაგვიგონიათ, წვიმა ყუცილი მხრიდან ჩამოიღოდა, პირდაპირ სახეში ურტყამდა. გაიყინა საბრალო, ვხედავ: მთელი ტანი უცაცხაბებს, სახე გაუფიქრდა, ალარც განძრევის თავი აქვს, გონდაკარგული ივინჯის. შემეშინდა კიდევ ვნახე: ცულდადა საქმე... ალაროვს რა ენადვლება, მთვრალია და ხვრინავს... ალარ ვიცოდი რა წყალში ჩავვარდნილიყავ, მით უმეტეს პირველად ვიყავ.

იაროსლოვში სწორედ სალამოს ჩავედით. ივანოვი რის ვაი-ვაგლანით გამოვადვიე, საღაღურზე ჩამოვედით, იქ სამოვარი დავადგმევინე. ამ ქალაქიდან გემები დაიშალა, იმითაც შეგვეძლო წასვლა, მაგრამ ინსტრუქციით ტუსადის გემით წაყვანა სასტიკად აკრძალული გვაქვს. თუმცა ჩვენთვის მართლაც ხელსაყრელი იყო, ხარჯი საკლები მოგვივიდოდა, მაგრამ გვეშინოდა. მოგვხსენებთ, ნავისხად-გომში პოლიციელები დგანან, თუნდაც ეს არა, ჩვენ ძმას, აქაურ უნდარმასაც მუდამ შეუძლია შარი მოგვდოს. ერთიც ვნახოთ, ეს ჩვენი ქალი გვეუბნება: „იცოდეთ, ამას იქით ფეხს არ გამოვადგამ, როგორც გინდათ მოახერხებთ და გემით წამიყვანეთ“. ივანოვი, ახალ გამოფხიხლებულზე, ცულ გუნებაზე იყო და შეუწყრა: „თქვენი საქმე არ არის, საითაც წაგიყვანენ, იქ წახვალთ!“ ქალმა ივანოვს არაფერი უთხრა და მე მომიბრუნდა:

— ხომ გაიგეთ, — მიუხედა, — რაცა ვთქვი: არ მოვდივარ და მორჩა.

მაშინ ივანოვი განვე გავისმე. — „როგორმე უნდა მოვახერხოთ და გემით წაგიყვანათ. თქვენთვისაც აჯობებს: ხარჯი ცოტა იქნება და ფულიც გადაგრჩება“. ამაზე კი დამთანხმდა ჩემი უფროსი, მაგრამ მითი მაინც შეიშალა. — „აქ პოლიციეტი არის და ვაითუ რამე ფათერაკს გადავეყაროთ. წადი, შენ მოახსენე, — მე ვერ წამოვალ, — მიუხედა, — რადგან შეუძლია ვარ!“ პოლიციეტი იქვე ახლოს ცხოვრობდა. „არა, — ვეუბნები, — ერთად წავიდეთ, ქალიც თან წაგიყვანათ!“ ვიცოდი იმის ამბავი, ის მაშინვე ძილად მიეგდებოდა და მეშინოდა ხათბალაში არ გავრეულყავი. ერთიც ვნახოთ, ვაიპარა ქალი, ან თავს რამე აუტყა, — მაშინ ხომ პასუხს მომთხოვენ. მოდა, წავიდეთ პოლიციეტიან. ის თვითონ გამოვიდა ჩვენთან. „რაზე გარჯილხართ?“ — გვეკითხება. ქალმა ახსნა დაუწყეო, მაგრამ იმასაც თავდასწავ უხერხოდ გაუბა ლაპარაკი. იმის მაგივ-

რად, რომ ეთხოვა, შეხვეწნოდა, ასეა და ასე საქმე, მაღლი მოისხით, ნება მოგვეცითო, — არა, თავისებურად მოაკოლა: „რა უფლების ძალითო“, და კიდევ ამდაგვარი კადნიერი სიტყვები მიპყარა, როგორც პოლიციურებს გიყვართ ხოლმე. მოდა, კარგად იცით, უფროსებს ასეთი რამეები არ მოსწონთ იმავ მოჩილიება უყვართ. მაგრამ პოლიციეტიკმა მაინც მოუსმინა და მერე ურდოლიანად უუბნებდა: „არაფრით არ შემძლია, კანონი ამის ნებას არ მამლევს... არ შეიძლება“ შეხვედი ქალს, ისევ აიღწეა სახეზე, თვალები ნაკვერჩხლებით გაუხდა. „კანონი!“ — ეს უთხრა და თავისებური ბრაზიანი, ხმაშალილი სიცილი მოაყოლა. „დაახ, სწორედ კანონი გახლავთ!“ — გაუმეორა პოლიციეტიკმა.

მართალი გთხროთ, მაშინ მე ცოტათი თავს გავედი და ვეუბნები: „მართალია, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, კანონი ნებას არ გვამლევს, მაგრამ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ქალი ხომ ვადა გახლავთ!“ ეს რომ ვთქვი, პოლიციეტიკმა ერთი მკაცრად გადმოხედა. „რა გვარისა ხარ?“ მკითხა, და მერე ისევ იმას მიუბრუნდა: „თქვენ კი, ქალიშვილო, თუ ავად ბრძანდებით, მაშინ იქნებ ინებოთ და ციხის საავადმყოფოში დაწვეთ?“ ქალმა სიტყვაც ალარ უთხრა, ზურგი შექცია და გამოვრიალდა. ჩვენც უკან გამოვეყვით. არ მონდობა საავადმყოფოში წასვლა, თუმცა კაცმა რომ თქვას, მართალიც იყო: თუკი იქ, ადგომლევე, არ დარჩა, ამ უცხო მხარეში, ისიც უფულოდ, რაზე უნდა დარჩენილიყო. ჩვენც რა გზა გვექონდა. ივანოვმა მევე დამიწყო ჩხუბი: „სულ შენი ბრალია, შენისთანა სულელის გადამიდეს ახლა ორთვეს პასუხს მოგვთხოვენო“. ამ ცხელ გულზე დამის გათევაც ალარ ისურვა, მაშინვე ცხენები შეაბეგინა, ასე რომ იმდამთვე მოგვიხდა წასვლა. მივედი ქალთან: — „წამობრძანდით, — ვეუბნებით, — ქალიშვილო, ცხენები მზადაა უკვე!“ ის ამ დროს დივანზე იყო მიწოლილი, ის იყო ცოტა გაუთბა ძვლები. წამოგვიხტა ზეზე, წინ დავიდგა, წელში გაიბრთა, ჯიქურად დაგვიწყო ცქერა, მართალი გთხროთ, შემაშინა კიდევ იმისმა თვალმემა. „ხომ, თქვე წყულებორო“, — და მოჰყვა და მოჰყვა თავისებურად გაუგებარს. ხომ თითქოს რუსულად ლაპარაკობდა, მაგრამ მე იმისი სიტყვებისა არა მესმოდა. „კარგი, ახლა თქვენს ხელში ვარ, შეგიძლიათ სული ამომპროთ, რაც გინდათ, ისა ჰქენით. მოვდივარ!“ — გვეუბნება ბრაზით, მაგრამ საცოდავი სანახავი იყო ის წუთს. აღდებულნი სამოვარი ისევ მაგიდაზე იდგა, ჯერ ჩაიც არ დაეღია. მე და ივანოვმა ჩვენთვის ჩაიგავიშადეთ, იმასაც დაუხსნი. თერთი პურიც გვექონდა თან. ისიც მოვუჭერი, „მიირთვით, — ვეუბნები, — გზას ვადგევართ, ცოტათი მაინც გაგათბობთ!“ ის ამ დროს კალაშებს იცვამდა, ეს რომ ვუთხარი ჩაცმას თავი ანება, ჩემსკენ მობრუნდა, მიყურა ცოტა ხანს, მერე მხრები აიჩეჩა და თქვა:

— ეს ვინ ყოფილა! მგონი, სრულ ჰკუაზე არ უნდა იყო. მეტი საქმე არა მაქვს სწორად, თქვენს ჩაის დავლევ! — ოხ, ძალიან მეწყინა მაშინ ეს სიტყვები: ახლაც რომ მომაგონდება, სისხლი თავში ამივარდებდა. აი თქვენი ხომ არ უკადრისობთ ჩვენთან პურის გატეხას. ერთიც მოგვყავდა, რუბანოვი, შტაბ-ოფიცრის შვილი იყო, მაგრამ არც ის თაკილობდა ამას. მან კი იუკადრისა. მერევე მაგიდაზე გააწოხინა თავისთვის სუფრა, სამოვარიც საგანგებოდ დაადგმევინა და მოგვხსენებდა: ერთთორად ვებრ და უფუდა ჩაიცა და შექარც. ფული კი რა ჰქონდა, რაღაც მანეთი და ოცი კაპიკი.

III

ჩემი მოსაუბრე დადუმდა, მცირე ხანს ქონში სიჩუმე იდგა. ისმოდა მხოლოდ უმცროსი უნდარმის წყნარი ფშვინვა და გარეთ კიდევ ქარბუქის ზუილი.

— ხომ არ გძინავთ? — მკითხა გავრეგონებმა.

— არა, არა, ვანაგრძობთ ვეთყავა, გისმენთ.

—...ეშ, ბევრი ტანჯვა მანახა მაშინ მე იმ ქალმა, — განაგრძო პატარა ხანს უკან. — თქვენც მოგვხსენებთ დამით მგზავრობის ამბავი, თან ვადაუღებელი წვიმა, ერთი სიტყვით, საშინელი დარი... ტყემი შეხვიდოდი, იქაც ერთი გმინვა და გაუფიქრებოდა. ამ ბნელაში იმას რას დავიხანავდი, თვალში თითს ვერ მიიტანდა კაცი, მაგრამ არ დაიფერებოთ, — მაინც დღესავით სულ თვალწინ მედდა იმისი გაჯავრებული სახე და თვალმემა, აკანკალე-ბული და გათოშოლი ალბათ მაინც საათყენად იყურება ამ ბნელაში, თითქო სულ თავის ფეჭრებს დასტრიალებსო. საღაღურთან როგორც კი გამოვედით, მაშინათვე ჩემი ტყაპუკი მოვასხი. ჩაიცივით ტყაპუკი, ცოტათი მაინც გაგათბობთ-მეთქი. უკანვე გამოვდივარ, თქვენა და თქვენ თვითონ ჩაიცივით, გათხრა. ტყაპუკი მართლაც ჩემი იყო, მაგრამ უცდი მოვისასზე და ვეუბნები: ჩემი არაა, სახაზინოა, წესით ტუსადებს ეკუთვნის-მეთქი. მხოლოდ მაშინ ჩაიცივა...

მაგრამ არც ტყაპუკმა უშველა რამე: დილის შუქზე რომ შეხვედი, ადამიანის ფერი არ ედო. საღაღურიდან წამოხვლისას ივანოვის უბრძანა, კოფოზე

ბაღლი... გამოგიტყდებით, ბატონო, და ნუ დამძრახავთ, ისიც გავიფიქრე, მოდი, უფროსს ვთხოვ, შეხვეხეწები და ცოლად წამოვიყვან-მეთქი... მე იმ სისულელეებს ხელად დავავიწყებ მით უმეტეს სამხატურის კაცი ვარ... ეშ, ყმაწვილი ვიყავ, მოგვხსენებთ ყმაწვილის ჰკუა-გონება... ახლა კი ვიცი, რა სულელიც ყყოფილვარ... მღვდელსაც გავიწეო მაშინ აღსარების დროს და იმან მითხრა: — „აი სწორედ მაგას მერე იყო, რომ წახდი კაცი. მაგას, ვინ იცის, ღმერთიც არა სწამსო“...

კოსტრომიდან ტროიკით წავედით. ივანოვი ის გზა სულ მთვრალი იყო: დიძინებს, ძილში გამოიფხიხლებს, ისევ ჩაისხამს მუცელში. ვაგონიდან სულ ბანცალ-ბანცალით ჩამოვიდა ძირს. ეშ, ცულდადაა საქმე, ვიფიქრე, ემანდ ამ ლოთმა სახაზინო ფული არ დაკარგოს. მაგრამ ტროიკაში ჩაჯდა თუ არა, დაწვა და მაშინვე ხვრინვა ამოუშვა. ქალი გვერდით მიუჯდა, — ძალზე უხერხულად მოეწყო, ივანოვს ისე გადახვდა, თითქოს ერთი ბილწი რამე დაინახაო, და, რომ რამენიარად არ მიჰკარებოდა, მთლად მოიქუნტა, კუთხეში მიიკუნტა, მე კიდევ კოფოზე მოვთავსდი. გზაში ისეთმა სიფერამ დაქროლა, მე გამიყინა ძვალ-ბილი, იმას რაღას უზამდა. ხეელა აუტყდა, ცხვირსახოცი მიიტანა პირთან, იმ ცხვირსახოცზე სისხლს მოვკარი თვალი. ამის დანახვაზე ისე გავხდი თითქოს გულში ვიღაცამ მიჩხვლიტაო.

— ეშ, ვეუბნები, — ქალიშვილო, ასე როგორ იქნება! ავად ბრძანდებით და ამ სიშორე გზაზე რამ წამოვიყვანათ, ისიც შემოდგომაზე, ამ სიციფეში!... განა ასე შეიძლება!

ქალმა ქვემოლან ამომხედა, მიყურა ცოტა ხანს, შევატყვე, ისევ მოერია სიბრაზე.

— შეტავ სულელი ხომ არა ხართ? — მიუხედა, — ვითომ არ იცით რომ ჩემის ნებით არა ვარ წამოსული? რა ჰქვიანი ვინმეა, — ამბობს: — თვითონ მივყავარ და თანაც საცა არ ეკითხებიან, იქ ერჩებო, ვითომ სიბრაღის იჩენენ!

— გეტყვით უფროსისათვის, — ვეუბნები, — საავადმყოფოში მაინც დაწვებოდით, ეს არ აჯობებდა ამ სიციფეში მგზავრობას. განა პატარა გზა გიღვეთ წინ!

— მაინც სად მივყავართ? — ჩვენ, ხომ იცით, სასტიკად აკრძალული გვაქვს, რომ პატარებს ვუთხროთ, სადაც გვაქვს ნაბრძანები იმათი წაყვანა. შემატყო გამიჭირდა პასუხი, პირი იბრუნა. — არ მინდა, არა, — მიუხედა, — ეს ისე ვთქვი... ნუ მეტყვით ნურაფერს და ნურც თქვენ ერჩებოთ.

აქ კი ალარ მომითმინა გულმა. — აი, — ვეუბნები, — ამა და ამ ადგილას უნდა მიგიყვანოთ, ხომ ხედავთ, რა შორსაა! — ამ ჩემს სიტყვებზე პირი მოკუმბა, წარბი შეიკრა, მაგრამ მაინც არა თქვა რა. მაშინ თავი გავაქნიე... — ასე გახლავთ საქმე, — ვეუბნები, — ქალიშვილო. ყმაწვილი ბრძანდებით და ამიტომაც ჯერ კიდევ არ გავიგებთ, რას ნიშნავს ეს!



ასულიყო. ივანოვი რას იზამდა, ცოტა იბუზღუნა, მაგრამ უარის თქმა ვერ გაუბედა, მით უფრო უკვე გამოფხიზლებული იყო. მე ქალის გვერდით დავჯექი.

სამი დღე ისე ვიარეთ, დამე არსად გავითვითვია გზაში. ინსტრუქციებში პირველივე გვიწერია: დამის გასათვალ არსად შეჩერდეთ, ხოლო „ძალზე მოქანცვის“ შემთხვევებში მართლ იმ ქალაქებში გაჩერდით, სადაც ყარაული დგასო. ამ მხარეში კი რა ქალაქები შეხვდებოდა კაცს, თქვენც კარგად იცით! როგორც იქნა ძლივს მივაღწიეთ დანაშაულად აღგებულს. იმ ქალაქის დანახვამ თითქო დიდი რამ ტვირთი მომშორდა. იმასაც ვიტყვი, რომ ბოლო დროს თითქმის ხელეშე მეწვა და ისე მოვდიოდით. ვხედავ, უგრძობლად წევს, ეტლი რომ ოდროსი ვხედავ, უგრძობლად წევს, სწავალი თავს სულ ფიცარზე შეჯახვარდებოდა, საწყალი თავს სულ ფიცარზე ახლდა. ამიტომ მარჯვენა ხელზე გადავიწვივე, ამით მაინც გავუადვილებ-მეთქი გზას. თავდაპირველად ხელი მკრა: „მომშორდით!“ — მეუბნებოდა, — არ მომიკაროთ!“ — მერე კი ხმა არ ამოუღია, იქნებ უფროდ იყო და იმითომ... თვალბედას უტყულებს უთუთოები სულ ჩაუშავდა, მაგრამ სახე გაულომაზდა, ისეთი გავაჯერებელი აღარ ჰქონდა. ხანდახან კიდევ გაიცინებდა ძილში, სახეზე ნათელი გადაკრავდა, ჩამე ვერებოდა, ალბათ სიბოროტო მტერ ეგრძნო. ეტყობა, კარგ სიზმარს ხედავდა საწყალი. როდესაც ქალაქს მივუახლოვდით, მაშინდა მოვიდა გონს და წამოიწია... გამოიღარა, მშვენიერად მოაწიათა, — ქალსაც გულნა გამოუკეთდა, გამიხარულდა... მაგრამ იმ ქალაქში აღარ დატოვეს, იმაზე შორს გაგზავნეს, იმისი წაყვანა ისევ ჩვენ მოგვიხდა, რადგან იქაური უნდარმები ყველანი წასულ-წამოსულები დავიხვედნენ. ის იყო წასვლა დავაპირეთ ხალხს შეგროვდა პოლიციაში, ყმაწვილმა ქალებმა, სტუდენტებმა მოიყარეს თავი, ეტყობა ისინიც გადასახლებულები იყვნენ... როგორც კარგ ნაცნობს ისე ელაპარაკებოდა, ხელს ართმევდნენ, ამბავს ეკითხებოდა. ფულიც მოუტანეს, თბილი თევზიკის შალიც გამოატანეს გზაზე... გამოაცილეს...

დანარჩენი გზა მხიარული მოდიოდა. ოღონდ ძალზე ახველებდა. ჩვენთვის კი ზედაც არ შემოუხედავს.

ჩავედით იმ სამარო ქალაქში, სადაც უწევდა ცხოვრება. მივიყვანეთ, ჩავაბარეთ ხელწერილით. იქ მაშინვე ერთი გვარი იკითხა, ესა და ეს კაცი აქ თუ ცხოვრობსო. აქ ცხოვრობსო, უთხრეს, ამასობაში ბოქაულიც მოვიდა. ჰკითხა, „სად აპირებთ ბინაზე დადგომას?“ — „ეგ არ ვიცი, — ეუბნება, — მაგრამ ჯერჯერობით რიანანთან წავალ“. თავი გააქნია ბოქაულმა, ქალმა კი იხელი დაავლო თავის ბარგს და წავიდა, ჩვენთვის მშვიდობაც არ უთქვამს...

IV

მოსაუბრემ თხრობა შეწყვიტა, მომაყურა, მეძინა თუ არა.

— შაშ ამის შემდეგ აღარ გინახავთ?  
— ეგ, ნახვით კი ვნახე. მაგრამ ნეტამც არ მენახა...  
...არ გასულა დიდი ხანი ამის შემდეგ, რომ ისევ ვნახე. ის იყო მივლინებიდან დაგებრუნდით, — მაშინვე ისევ იმ მხარეში გავაგზავნეს. ერთი სტუდენტი წავიყვანეთ, გვარად ზაგრაიუსკი. მხიარული ყმაწვილი გახლდა, სიმღერა კი იცოდა და მსმელიც კი იყო. ის კიდევ იმავე შორს გაგზავნეს. ჰოდა, იმ ქალაქში რომ გავიარეთ, სადაც ქალი დავტოვეთ, გულმა არ მომიხვეწა, მომიხდა გამეგო, როგორ მოეწყო და ვიკითხე: აქ არის-მეთქი ჩვენი ქალიშვილი? მითხრეს, აქ არისო, მაგრამ ძალიან უცნაური ვინმე კაია: როგორც ჩამოვიდა, მაშინათვე ერთ გადასახლებულს მიაშურა და იმის მერე თვალთ აღარავის უნახავს, — ახლაც იმასთან არისო. ზოგი ამბობს, ავადა არის და იმითომ, ზოგიც ვაიძახის, მგონი საყვარლადაც უწისო. მოგვხსენებთ ხალხის ენის ამბავი... მე კი იმის ნათქვამი გამახსენდა: — „ჩემიანებში მინდა მოვკვდეო“. ერთი სიტყვით, ძალიან მომიხდა, ამბის გაცემა, მომიხდა რომელია, გულმა გამიწია და ეს იყო. წავალ, ვნახავ, ჩემგან ავი იმას არ უნახავს, ცული იმისგან არც მე ჩამჩენია გულში, ავადგები და წავალ-მეთქი...

წავედი, — გზა მალღიანმა ხალხმა მასწავლა; ქალაქის ბოლოს იყო მათი სახლი, ერთი პატარა ქობი, დაბალკარიანი. შევედი შიგნით, ვხედავ: ოთახი ნათელია, იქაურობა დაგვილ-დასუფთავებული, კუთხეში ერთი ლოგინი დგას და ზედ ფარდაა ჩამოფარებული. წიგნები ბლომადაა, ზოგი მაგიდაზე აწყვია, ზოგიც თაროზე... გვერდით პაწაწინებულა სახელოსნო აკრავს და იმ სახელოსნოში სკამლოგინზე მეთრე ლოგინია გაშლილი.

მე როცა შევედი, — ქალი საწოლზე იჯდა ფეხმოკეცილი, შალი ჰქონდა შემოხვეული, — რაღაცას კერავდა. გადასახლებული კი... გვარად ბატონი რიანანცევი... იქვე სკამზე ზის და წიგნს უკითხავს. სათვალეები უკეთია, ზედ ეტყობა, რომ სერიოზული კაცია. ქალი თან ჰკერავს, თანაც იმას ყურს უგდებს. კარის გარახუნებაზე ქალმა მოიხედა, მე რომ

დამინახა, წამოიწია, ხელი სტაცა რიანანცევს და ადგილზე გაშეშა. თვალები გაუფართოვდა და ჩაუშავდა, კაცს შეაშინებდა იმის ცქერა... დიდად შეცვლილი არ იყო, ოღონდ ახლა უფრო ფერდაკარგული მიჩვენდა. რიანანცევს ისე მაგრად ჩააფრინდა ხელში, რომ იმასაც შეეშინდა, მივარდა: — „რა იყო, რა მოგივლით? დამშვიდდით!“ მე იმას არ დავუნახივარ. მერე გაუშვა ხელი ქალმა, წამოდგომა დააპირა. „მშვიდობით, — ეუბნება: — ეტყობა, ამა ჩემთვის მშვიდი სიკვდილიც ენახებათ!“ მაშინ მობრუნდა რიანანცევი და, დამინახა თუ არა, ფეხზე წამოხტა. ასე მეგონა, ესაა მეცემ... ნამდვილად გამათავებს-მეთქი... მით უფრო, რომ ბრგე კაცი იყო, ჯანაინა...

თურმე, ჰგონებიათ, რომ ქალის წასაყვანად ვიყავი მოსული... მერე იმ კაცმა შემაშინა, რომ მე აქეთ ცოცხალ-მკვდარი ვდგავარ, თანაც მარტო ვარ. ამიტომ ქალს მიუბრუნდა, ხელი მოჰკიდა. — „დაწყნარდითო, — ეუბნება. მერე მე მომიტრიალდა: — „აქ რა დაგჭირვებიათ, კავალერო... რისთვის გარჯილხართ?“

მე აუხსენი, რომ არაფერიც არ მინდა, ჩემის ნებით მოვედი-მეთქი. ეს ქალი რომ მომყავდა, გზაში ავად იყო, მინდოდა გამეგო მისი ამბავი და ახლა იმად შემოვიარე-მეთქი... შევატყვე, ჩემმა სიტყვებმა კაცს გული მოუღებო, მაგრამ ქალი ისევ ცხარობდა და ჯავრობდა. ნეტავ რამე მაინც დამეგონებინოს? ივანოვი რომ ერთი დაურიდებელი ტლანქი კაცი იყო, მართალია, მაგრამ მე რომ ვესარჩლებოდი გზაში...

გამოიკითხა რიანანცევი, რაშიც იყო საქმე, და სიცილით ეუბნება ქალს: „აი ხომ ნახეთ? აქი გუბუნებო-ლით“. მე ასე მივხვედი, რომ მანამდეც ჰქონდათ ჩემზე ლაპარაკი... ეტყობა, ეამბნა თავისი მოგზაურობის ამბავი.

— მამაკით, — ვეუბნები — თუ რომ შეგაშინებო... იქნება უფროდ დროს მოვედი, ან სხვა რამ გაწყენით კიდევ... მე წავალ ახლა. მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ვატყობ, კარგს არას იტყვით ჩემზე და ცუდად მაინც ნუ მომიგონებთ.

აღა რიანანცევი, სახეში შემომხედა და ხელი გამომიწოდა:

— იცით რა, — მეუბნება, — როცა დაბრუნდებით, თუ თავისუფალი დრო გექნეთ, შემოიარეთ ჩვენსა. გვიყურა ქალმა და თავისებურად, უსიამოვნოდ ჩიიცინა.

— ვერ გამიგია, — ამბობს, — მაინც რატომ უნდა შემოიაროს? ან ნეტავ რას ეპატიუბთ? — რიანანცევი კი ეუბნება: — რა უშავს მერე! თუკი ისევ სურვილი ექნება, შემოიაროს... შემოიარეთ, შემოიარეთ, არაფერია!

კიდევ სხვა რამ თქვეს, მაგრამ, მართალი ვითხრობ, მე ბევრი ვერაფერი გავიგე. თქვენ ხომ ხანდახან ისეთი ლაპარაკი იცით ერთმანეთში, კაცი ვერაფერს გავიგებო... საინტერესო კი იყო, რომ დავრჩენილიყავ, ყური დამეგდო... მაგრამ მომერია, აქ არაფერი იფიქრონ-მეთქი, და წამოვედი.

ჰოდა, როგორც კი ჩავიყვანე ბატონი ზაგრაიუსკი ადგილზე, მაშინათვე წამოვედი. ვნახოთ, ბოქაულმა ივანოვს დაუძახა და ეუბნება: „განკარგულები მინდებამდე აქ უნდა დარჩეთ; ტელეგრაფმა მივიღეთ, ფოსტით ქალაქებს უნდა დავლოლოთ“. ჩვენც, რასაკვირველია, დავრჩით.

აღარ მომიტინა გულმა და ისევ იმასა წავე-

დი: — მივალ, სახლის პატრონებს მაინც ვკითხავ-მეთქი იმის ამბავს. მართლაც წავედი. მეუბნება სახლის პატრონი: „ცუდად არის, მეშინია არ მოკვდეს, ვაითუ პასუხისგებაში მიმცენ მერე, — ვიცი, ეგენი მღვდელს არ მოყვანენ და იმადო“. ამ ლაპარაკში რომ ვართ, ამ დროს რიანანცევიც გაუფრთხილდა გულს. დამინახა თუ არა, სალამი მომცა და მეუბნება: „რსევ მოხვედ? კარგი, შემოდი ჩვენსა“. მეც უსუსკარეფით შევედი, რიანანცევი უკან მომდგოდა. შემომხედა ქალმა, იკითხა: „ისევ მოვიდა ეს ახირებული კაცი?... ნეტავ თქვენ ხომ არ დაუძახეთ?“ — „არა, მე არ დამიხანია, თვითონ მოვიდა“. — უთხრა. მე ვეღარ მოვიტინე და ვეუბნებ:

— რა არის, ქალიშვილო, — ვეუბნები, — ავრ რატომ ვართ გაგულისებული ჩემზე, მტერი ხომ არა ვარ თქვენ?

— სწორედაც მტერი ხართ, — მეუბნება, — განა არ იცით? რასაკვირველია, მტერი ხართ! — ხმა მისუსტებია, ლოყები სიცხისაგან ეწვის, სახეც ისე მინახებია... თვალის მოწყვეტა არ მინდოდა. ეგ, — ვფიქრობ, — ამას სასიცოცხლო პირი არ უჩანს, ისე არ მოკვდეს, არ მამატოს-მეთქი და შენდობა ვთხოვე. „თუ ავი რამ დამიშავებია, შემიხედ ღვთის გულისათვის-მეთქი“. მოგვხსენებთ, როგორიცაა ჩვენში ქრისტიანული წესი... ვნახოთ, ჩემს სიტყვებზე ისევ წაყიდა ბრახი...

„გამატით! როგორ არა! არასოდეს არ გაპატი-





ებთ, ტყუალად იმედს ნუ იქონიებთ! მალე მოვკვდები... და იცოდეთ: ისე მოვკვდები, არ გაპატივებთ!

ჩემმა მოსაუბრემ ისევ შეწყვიტა სიტყვა და ჩაფიქრდა. მერე ხმას დაუწია და უფრო გულსისხმიერად განაგრძო:

— იმათ ისევ ლაპარაკი მოუვიდათ ერთმანეთში. თქვენ განათლებული კაცი ბრძანდებით, იმათი ენა გეცოდინებათ ალბათ, გეტყვით ამიტომ, რა სიტყვებიც ჩამოიჩინა გონებაში. სიტყვები კი დამამახსოვრდა, მაგრამ აზრი არ ვიცი. რაიზანცევი ეუბნება:

— ხომ ხედავთ: თქვენთან ახლა უანდარში არ მოხულა... უანდარში ჩამოგიყვანათ თქვენ, ის სხვა-საც წაიყვანს, ამას ინსტრუქცია უკარნახებს და ისიც ასრულდება. მაგრამ ეგ აქ განა ინსტრუქციამ მოიყვანა? აბა თქვენ თვითონა თქვით, — მეუბნება, — ბატონო კავალერი, არ ვიცი როგორ გიწოდოდათ...

სტეპანს მეძახიან-მეთქი, ვეუბნები.

— მაშის სახელი?

— პეტროვიჩის მიწოდებენ.

— ჰოდა, სტეპან პეტროვიჩი, განა თქვენ აქ რამ მოგიყვანათ? ადამიანობამ, ხომ? მართალს ვამბობ თუ არა?

— რასაკვირველია, ადამიანობამ — ვეუბნები, — ეგ თქვენ სწორი ბრძანეთ. ინსტრუქციით ჩვენ იმის უფლება არა გვაქვს, უსაქმოდ შემოვივაროთ თქვენთან. ეს უფროსებმა რომ შემიტყვნენ, — არ მომიწოდებენ.

— ხომ ხედავთ? — უთხრა რაიზანცევმა და ქალს ხელზე მოკიდა ხელი. ქალმა ხელი გამოსტაცა.

— არაფერსაც არ ვხედავ, — უთხრა, — ეგ თქვენ გინდათ, დაინახოთ ის, რაც არ არის. მე და ის კი (მაშასადამე მე) უბრალო ხალხი ვართ და ვიცი, რომ მტერი მაინც მტრად დარჩება ბოლომდე, ანტიმონია აქ რა გასამართია. მაგათი საქმეა — ჩვენზე თვალი ექიროს, ჩვენი — ფხიზლად ვიყავით. ხომ ხედავთ, აგერ დგას და ყურს გვივადებს, ვაი, რომ არ ესმის, რასაც ჩვენ ვამბობთ, თორემ დასწერდა და სადაც საქირა გაგზავნიდა...

მომიბრუნდა მაშინ რაიზანცევი, თვალი თვალში გამიყარა, გამჭირახი თვალები ჰქონდა იმას, მაგრამ სიკეთით სავსე. „ხომ გაიგონეთ? — მეუბნება, — რას იტყვით ამაზე?... თუმცა თქმაც არ გინდათ: მე ვფიქრობ, რომ გეწყინათ“.

ეს, რომ ვთქვათ, მართალია... ინსტრუქციაში ისე გვიწერია, თუ ვინცობა მთავრობის საწინააღმდეგო რამ გავიგეთ, ღვიძლი მამაც რომ იყოს, უნდა გავამხილოთ, რაკი ფიცი გვაქვს დადებული... მაგრამ რადგან მე საიმისოდ არ ვიყავ მისული, ამიტომაც მეწყინა მაშინ და გულში მწარედ მომხვდა. გამოგტრიალდი იმავ წამს კარისკენ, მაგრამ რაიზანცევმა შემეყენა.

— მოიცა, — მეუბნება, — სტეპან პეტროვიჩი, ჯერ ნუ წახვალ. — მერე ქალს მიუბრუნდა: — არ ვარგა ასე... თუ გინდათ, ნუ აპატიებთ, ნურც შეურიგდებით, ამაზე არა ღირს ლაპარაკი. ეგებ არც თვითონ ეპატიებია, კარგად რომ გარკვეულიყო რაშია საქმე... მაგრამ მტერიც ადამიანია... თქვენ კი სწორედ ეს არ გსურთ გაიგოთ. სექ-ტან-ტკა ხართ, — ეუბნება, — აი რა!

— დაე ეგ ვიყო, — ეუბნება ქალი, — მაგრამ თქვენ კი გულგრილი კაცი ბრძანდებით, თქვენ, — ეუბნება, — წიგნების კითხვის მეტი სხვა არაფერი გადარდებო...  
ამის გაგონებაზე, საოცარი კი იყო, და ისე წამოხტა რაიზანცევი, თითქო ქალმა სილა ვაარტყაო. შევატყვე, ქალს შეეშინდა კიდევ.

— მე ვარ გულგრილი? — ეუბნება რაიზანცევი: — არა, თქვენ თვითონ იცით, რომ მართალი არა ხართ.  
— შესაძლოა, — ეუბნება ქალი, მაგრამ განა თქვენ მართალი მითხარით?

— არა, მართალი ვთქვი: — ეუბნება, — სწორედ ნამდვილი ბოიარინია მოროზოვა ბრძანდებით...  
ჩაფიქრდა ქალი იმის სიტყვებზე და მერე ხელი გაუწოდა: რაიზანცევმა ხელი კი დაუჭირა, მაგრამ ქალი მაინც სახეში უტყებდა, უყურა ერთ ხანს და მერე ეუბნება: „თქვენ მგონი, მართალი ხართ!“ მე ლენჩივით ვდგავარ, შევიტყერი, გულზე კი რაღაც შემომავლა და ამიკვნესა. მერე ჩემსკენ მობრუნდა ქალი, მეც შემომხედა, წინააღმდეგ ბრავი აღარ ეტყობოდა სახეზე და ხელი გამომიწოდა. „აი, — მეუბნება, — რას გეტყვით: ჩვენ მტრები დავრჩებით ბოლომდე... მაგრამ, ღმერთმა შეგინდოთ, ხომ ხედავთ, ხელს გაძღვეთ, — გისურვებთ ოდესმე კაცი დადგეთ, — ნამდვილი კაცი, იმ ინსტრუქციის გარეშე... ახლა კი დავიღალე“, — უთხრა მერე რაიზანცევს.

მეც გამოვედი. რაიზანცევი უკან გამომყვა, ეწო-ში რომ დავედეთო, ვხედავ, თვალზე თითქო ცრემლი უბრწყინავს.  
— აი რა, — მეუბნება, — სტეპან პეტროვიჩი. დიდხანს დარჩებით კიდევ აქ?  
— ვერ გეტყვით, ფოსტას ველოდებით, იქნებ სამი დღეც მოგვიხდეს დარჩენა.  
— ჰოდა, — მეუბნება, — თუ კიდევ იფიქროთ შემოვლა, ნუ მოგერიდებთ, შემოგვივარეთ. ვატყობ, თქვენს საქმეში არა ვიშავთ, ურიგო კაცი არ უნდა იყოთ...  
— მამაკითხე, ვეუბნები, შეგაშინეთ...  
— ამიტომაც სჯობია, თუ მოხვალთ, ჯერ დიასახლისის შეატყობინეთ.

— ჰო, ის მინდოდა მეკითხა: თქვენ წელან ბოიარინია ახსენეთ, მოროზოვა. მაშ ისიც ბოიარების ჩამომავალი ვახლავთ?  
— ბოიარებისა თუ არა, — მეუბნება, — ბარემ მოდგმა აქვთ ასეთი: მისი მოტეხა შეიძლება... აკი მოტეხეთ კიდევ, მაგრამ მოდრეკა არა, — ხომ ნახეთ, არ იღრიკებთან ასეთები.

ამ სიტყვაზე დავეშვიდობეთ ერთმანეთს.  
V  
...დიდი ხანი აღარ დავალდა იმას მერე, მალე დალია სული, როგორ დასაფლავეს, არ ვიცი, რადგან მაშინ ბოქაულთან ვიყავი გამოძახებული. ოღონდ მეორე დღეს შევხვდი იმ გადასახლებულს; მივიდი იმასთან, — ვხედავ: ადამიანის ფერი არ ადევს...  
ხომ მაღალი კაცი იყო, სერიოზული სახისა, თანაც წინათ გახსნილი ჰქონდა სახე, ახლა კი ნადირსავით დამიწყო ცქერა. ჯერ ვითომ ხელი გამომიწოდა, მაგრამ მაშინვე უკან წაიღო და პირი იბრუნა. „არ შემიძლია, — მეუბნება, — ახლა შენი ყურება, წადი,

ძმაო, ღმერთი იწამე, გამეცალე!“ მითხრა ეს, თავი ჩაღუნა და წავიდა. მეც უკან გამოვტრიალდი ბინაზე. დარდმა ისე დამრია ხელი, რომ ორი დღე ლუკმა არ ჩამსვლია პირში. იმას მერემ მომერია ნადველი. ერთი სიტყვით, წამახდინა კაცი რაიზანცევი.  
მეორე დღეს ბოქაულმა დაგვიბარა და გვეუბნება: „ახლა შეგიძლიათ გაემგზავროთ: ქალაქი მოვიდა, მაგრამ დაიგვიანა“. ეტყობა, აქედანაც ისევ ჩვენ უნდა წავიყვანა ქალი, ოღონდ ღმერთმა შეიბრალა: თვითონ მოაშორა აქაურობას.

...მაგრამ ამით არ დამთავრებულა ამბავი, — ჯერ ბოლო ხად იყო თურმე. უკან რომ მივდიოდით, გზად ერთ სადგურზე შევიჩერეთ... შევედით შეგნით, იქ სუფრაა გაწყობილი, ზედ სამოვარი დგას, საუშმეა გაშლილი; სუფრას ერთი პატარა ტანის, ფაქიზად ჩაცმული მოხუცი ქალი უწის, დიასახლისიც დაუწყვევია ჩაიზე. მხიარული და მოლაპარაკე ჩანდა, სულ თავის საქმეებზე ემასლათებოდა დიასახლისს: „ჰოდა, შეგკრიბე ჩემი ხაბაქუბაკი, გავყიდე სახლი, რომელიც მემკვიდრეობით მერგო, და ჩემს მტრედთან წამოვედი. ჰო-ჰო, რას გაინარებს, კი გამიწყრება ჯერ, ვიცი, გამიჯავრდება, გამომთათხავს, — მაგრამ გულში მაინც გაუხარდება. მწერდა, არ ჩამოხვიდეო, არავითარ შემთხვევაში არ გაბედო წამოსვლაო. მაგრამ ეს არაფერია!“

ამის გაგონებაზე თითქო გულში რაღაცამ გამკრა. სამზარეულოში გამოვედი და მოსამსახურე გოგოს ვეკითხები: ვინაა ეს მოხუცებული ქალი-მეთქი. „ვინაა და, — მეუბნება, — თქვენ რომ ამას წინათ ყმაწვილი ქალი ჩაატარეთ, იმის დედაა“. ეს რომ მითხრა, წავბარბაცდი კაცი. შემატყო გოგომ, სახეზე შევიცვალე და მეკითხება: „რა იყო, ჯარისკაცი, რა დაგემართა?“

— ჩუმად, — ვეუბნები, — რა გავყირებს... მოვცდა ის ყმაწვილი ქალი.

ამის გაგონებაზე ამ გოგომ, — გოგო, კი, უნდა მოგვასხენოთ, ერთი კახა ვინმე იყო, გავმეღელე-გამომეღელეებთან დაეთრეოდა, — ხელი ხელს შემოკრა და ღრიალით გარეთ გავარდა. მეც დავავლე ჩემს ქულს ხელი და გამოვედი, — ეს კი გავიგონე, რომ ის მოხუცებული ქალი კვლავინდებურად ემასლათებოდა დიასახლისს. ისე შემეშინდა მაშინ იმ მოხუცი ქალისა, ისე შემეშინდა, რომ პირდაპირ ვერ გეტყვით ფეხით წამოვხეტე გზაზე, სანამ მერე ივანოვი არ დამეწია ურმით, და იმას არ დავუჯექი.

VI

...ასე გახლდათ საქმე!... მერე, ეტყობა, ბოქაულს დაუფსმენივარ, გადასახლებულებთან დაიარებოდაო, კოსტრომელ პოლკოვნიკსაც დავებეზღებინე, იმ ქალს ექომბგებოდაო, — ერთი სიტყვით, ერთი მეორეს წაემატა. ასე რომ ჩემს უფროსს ჩემი უნტერ-ოფიცრობაზე წარდგენაც აღარ უნდოდა. „შენ რა უნტერ-ოფიცერი ხარ, — მეუბნება, — ქალაჩუნა ყოფილხარ! შენისთანა სულელი კარცერში უნდა ჩააყუდოს კაცი-მას!“ მაგრამ მე იმ ხანებში ყველაფერზე გულაყრილი ვიყავ და არაფერი მენადვლებოდა.

ჯერ იქნა და ვერ დავიფიქრე ის ბრავიანი ქალი, ახლაც ხშირად თვალწინ მიდგას ხოლმე.

ვითომ რას უნდა ნიშნავდეს ეს? ნეტავ ვინ ამიხსნის! ხომ არ გძინავთ, ბატონო?

მე არ მეძინა... გულს მიღვედა უკუნი სიბნელი ამ ჩვენს ტყეში მიკარგულ ქოხში გამეფებული და ქარიშხლის ყრუ ქვითინის ხმაზე თვალწინ მიტრიალებდა გარდაცვლილი ქალის მწუხარე სახე...

თარგმანი რუსულად ქეზულაქისა





### სააგაიკორ ნასუდ დამაზებს

რადგან ტკბილია დღეს აგარაკი,  
ზღვისპირეთი თუ მინდორი მწვანე, —  
დაცარიელდა დედაქალაქი  
და... უთქვენობას განვიცდი მწარედ.

კაცნიც წასულან დასასვენებლად,  
მაგრამ ვერ გამჩნევ მე მათ სიმცირეს,  
მე ის მადარდებს და მახსენდება,  
რომ დღეს რუსთველზე არ დაცემციმებთ!

მართლა ამ პროსპექტს რა ემართება, —  
თითქოს მდინარეს მოაკლდა წყალი!  
როგორც ღამეში ციციანთელა  
თუ გაივლებს ჟამი-ჟამ ქალი.

ცხელა თბილისში. სუნთქვა გაჭირდა  
და კოჯრიდანაც არ ჰქრის ნიავი,  
თქვენი რომ აქ იყოთ, ქარს გააჩენდა  
თქვენი კაბების ერთად შრიალი!

...არა, არ გეტყვით ჩამოსვლას დრომდე,  
შემოდგომამდის კიდევ შორს არი.  
მე მინდა მხოლოდ იცოდეთ, გრძნობდეთ,  
რომ თქვენზე ფიქრობს თქვენი მგოსანი.

### ნივალთბ ნადირაბუ

### ბათუმის ბალთან

ბათუმის ბალი ზღვას გადასცქერის,  
ბათუმის ბალთან ზღვის შრიალია.  
ზღვაზე გიზგიზებს სხივთა ნამქერი,  
თუ ეს ავარდნილ ცეცხლის ალია?!

ზეცის კიდური ქცეულა ხანძრად,  
ზოგჯერ თოლია იღვებს ფრთებით.  
დღეს გაზაფხულმა ლაშქარი დაძრა,  
მწვანით წალეკა აჭარის მთები.

და ბალის ახლოს, ცისფერ ნაპირთან  
მიცურავს ნავი, სიმღერა ისმის.  
აქ ნეტარებას მე ვინ დამპირდა?  
ტალღა შხეფებდა სიხარულს ისერის.

ტალღების ქაფი იცრება ქვებში  
შორს დარჩა ზამთრის უამინდობა.  
და მღერის ჭაბუკ მენავის ხმებში  
ხალხის შრომა და ქვეყნის მშვიდობა.

ბათუმის ბალი ზღვას გადასცქერის  
ბათუმის ბალთან ზღვის შრიალია.  
ზღვაზე გიზგიზებს შუქის ნამქერი,  
თუ ეს ავარდნილ ცეცხლის ალია?!



ფოტოზე — კვერეთის დასასვენებელი სახლის საერთო ხედი.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა

### დასასვენებელი სახლი კვერეთში

საჩხერიდან 5 კილომეტრის დაშორებით კვერეთში  
აშენდა დასასვენებელი სახლი. აქ ა/წ 1 ივნისიდან  
დასვენებენ 300 ჭიათურელი და 50 ნიკოპოლელი მა-  
ღაროელი.

ეს სახლი აგებულია საკავშირო პროფსაბჭოს  
სახსრებით და მოწყობილია კომფორტაბელურად.  
აქ არსებულ მოგირდოვან წყაროების ბაზაზე დასა-  
სვენებელ სახლთან მოწყობილია სააბაზანო განყო-  
ფილება, სადაც სახსრების სნეულებებით დაავადე-  
ბულ მაღაროელებს სპეციალისტ ექიმების ზედამხედ-  
ველობით ჩაუტარებენ მკურნალობას.



### სცენის მაღალნიჭიერი ოსტაზები

ამას წინათ საქართველოს თეატრალურ საზოგა-  
დოებაში გაიმართა ჭიათურის სახელმწიფო თეატრის  
ორი მსახიობის, რესპუბლიკის დამსახურებული არ-  
ტისტების მიხეილ ვაშაძისა და გრიგოლ ტყაბლაძის  
შემოქმედებითი საღამო. 25 წელია, რაც ორივე მსახი-  
ობი პირნათლად ემსახურება საბჭოთა სცენას. ამ  
ხნის განმავლობაში მათ შექმნეს მრავალი დამაჯერე-  
ბელი და საინტერესო სახე.  
თვითულ მათგანს ახასიათებს გარკვეული ინდი-  
ვიდუალობა, უშუალობა და დიდი შინაგანი განცდა.  
მიხეილ ვაშაძისა და გრიგოლ ტყაბლაძის სახით  
ქართულ საბჭოთა თეატრს ჰყავს მაღალნიჭიერი  
სცენის ოსტატები.

რ. შორშია

### ნაზი ვილასონია

### გამიღეთ თქვენი გულის კაკაბი

გამიღეთ თქვენი გულის კარები  
ქვეყანავ, მზევ და ადამიანი,  
მე მისთვის გაგჩნდი: დიდ მდინარემდის  
ჩემი გულწრფელი გზებით ვიარო.

რომ გზებზე მქუხარ ეხოდ აკვილდნენ  
ზოგჯერ დარი და ზოგჯერ ავდრები,  
რომ გაზაფხულის მწვანე სარკმლიდან  
სიკვდილის დღემდე ვთვალო ჭადრები.

რომ თვალში ჩამჩრჩეს მზე და ზაფხული  
ამიღვარდნენ სულში მთიები

რომ განთიადის კვამლი ჩაფლული  
მინდვრებს წავართვა ლურჯი იები,

რომ ბლებს ავაძრო ნელლი ქერქები  
ჩამოგვდე, მოგწნათ მწყემსის აბგებო.  
რომ გამიტეხონ კოკა კენჭებით  
და სახლში მისვლა ვეღარ გავებლო...

რომ არ გამრიყოს ცხოვრებამ გაღმა  
დიდი სუნთქვის და შფოთვის მდომელი,  
გაგეჭებამდე მიყვარდე მაგრამ  
მინც დაგტოვო მიუწვდომელი.

### ხელოვანი ოქრომჭადელი

ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სოცი-  
ალისტური მუშენებლობის განყოფილების ერთ-ერთი  
სტენდი ასახავს ხალხური შემოქმედების აყვავებას  
საბჭოთა ხელისუფლების წლებში. აქ მწახველის  
ყურადღებას იქცევს მხცოვანი ხელოვანის ფილიპე  
ძაძაძის პორტრეტი და ახალი ექსპონატები, ლი-  
თონზე მხატვრული კვეთილობის ახალი ნაკეთობანი,  
რომლებშიც ჩაქსოვილია ის უდიდესი აღფრთოვა-  
ნება და სიხარული, რასაც ახალი ცხოვრება განაც-  
დევინებს ჩვენს ადამიანებს.

საბჭოთა ხელისუფლებამ სასიცოცხლოდ აამოქ-  
მედა საუკუნეთა მანძილზე მთვლემარე შემოქმედე-  
ბითი ძალები, ახალმა ცხოვრებამ ახალი ძალა შემა-  
ტა მხცოვან ხელოვანს, გამარავალფეროვანა მისი  
თემატკა. ეს ნათლად გამოვლინდა ხალხური შე-  
მოქმედების ნიმუშთა რესპუბლიკურ გამოფენაზე,  
რომელიც 1987 წელს მოეწყო. აქ წარმოდგენილ  
ექსპონატებს შორის საყოველთაო მოწონება დაიმსა-



ხურა ოქრომჭადით მოვარაყებულმა ვერცხლის  
დიდმა მედალიონმა, რომელზედაც სსრ კავშირის  
სახელმწიფო ღერბისა და მოძმე რესპუბლიკების  
დროშების ფონზე ამოკვეთილი იყო ი. ბ. სტალინის  
პორტრეტი. ეს პორტრეტი ფ. ძაძაძის ეკუთ-  
ვნოდა.

ამის შემდეგ, 1941 წლის სასოფლო-სამეურნეო  
გამოფენისათვის ფ. ძაძაძის მიერ დამზადებულ  
ვერცხლით მოჭედილ-მოსევადებულ ხანჯალს, ქარ-  
თული ქაპრის აღკაშვულობასა და მორთულობას,  
ჩოხის მასრებს იშვიათად თუ მოეპოვებოდა ბადალი  
ნამუშევრის სინატივით, კვეთილობის სიმეტრიულო-  
ბითა და გამოზომილობით.

მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა ფ. ძაძაძე  
კვლავ ახალგაზრდული ენერგიით ემსახურება სიერ-  
მიდანვე არჩეულ ხელოვნებას.

ფ. შვილაური



# ივანის კოვჩაძის ფილმები

## 6. შპალიძე

მიუხედავად მძიმე პირობებისა, იტალიაში ჩასახა და ვითარდება ახალი დემოკრატიული, პროგრესული კინემატოგრაფია. იტალიის კინოს მოწინავე მოღვაწეებმა ხალხის ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის თავდადებულ ბრძოლაში შექმნეს უბრალო ადამიანების სიყვარულით გამსჭვალული შესანიშნავი რეალისტური ნაწარმოებები.

იტალიის ახალგაზრდა პროგრესული კინემატოგრაფია იზრდება და იწრთობა რეპეტიულ ძალებზე მძიმე ბრძოლაში. თანამედროვე პროგრესულ იტალიურ კინოსტუდიებში რეალისტურმა მიმართულებამ უკვე შექმნა თავისი ტრადიცია, ჩამოაყალიბა თავისი სტილი.

პროგრესული კინოლოგების მუშაობა თავიანთი შემოქმედება მშრომელი ხალხის ცხოვრების ასახვას მიუძღვნეს, მათი ფილმების მთავარ გმირებზე დახლდნენ მუშები, მეთევზეები, ღარიბი გლეხები, პენსიონერები, უმუშევრები—უბრალო ადამიანები, რომლებიც საშინელ სიღარიბესა და გაჭირვებაში ცხოვრობენ.

საბჭოთა მსურველი კარგად იცნობს იტალიელ ნიჟერ, პროგრესულ რეჟისორების მთელ პლედას. ესენი არიან ვიტორიო და სიკა, ჯუზეპე დე სანტისი, ლუკინო ვისკონტი, პიეტრო ჯერმი, რენატო კასტელანი, კარლო ლიძანი, ალდო ვერასტო, ელუარდო დე ფილიპო, მარია კამერინი, რობერტო როსელინი, ლუიჯი პაპა და სხვ.

საბჭოთა მსურველი სიხარულით შეხვდა პროგრესულ იტალიელ კინემატოგრაფისტთა ისეთ შესანიშნავ ნაწარმოებებს როგორცაა „რომი — ღია ქალაქი“, „ველოსიპედების გამტაცებლები“, „ოცნებები გზებზე“, „ნეაპოლი მთლიონერთა ქალაქი“, „არ არის მშვიდობა ზეთისხილის ბაღებში“, „რომი 11 საათზე“, „სიცილიის ცის ქვეშ“, „იმედის გზა“, „ორი გროში იმედი“ და სხვ.

პროგრესულ მიმართულებას საფუძველი ჩაუყარა რეჟისორ რობერტო როსელინის შესანიშნავი სურათმა — „რომი — ღია ქალაქი“. ეს არის პირველი რეალისტური ფილმი, რომელიც ამაღლებულად მოგვითხრობს იტალიელი ხალხის გვირუკ ბრძოლაზე უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, მაგნიტარე პატრიოტების თავგანწირვასე სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

რეჟისორ მარია კამერინის მხატვრულ ფილმში „ოცნებები გზებზე“, მსურველებს თვალწინ იშლება თანამედროვე იტალიის უბრალო ადამიანების მძიმე ცხოვრება. საშინელმა გაჭირვებამ აიძულა უმუშევარი პაოლო მოეარა ავტომანქანა. გარაჟის დარაჯად პაოლოს საუკეთესო მეგობარი, ომის ინვალიდი ემილიო მუშაობს, მისი ნდობით ისარგებლა პაოლომ და გაიტაცა მანქანა.

პაოლო შეიგნებს მძიმე დანაშაულს, მიხედვით, რომ მის მაგივრად ემილიოს დახვან. ის მანქანით მიჰქრის გარაჟისაკენ. ირკვევა, რომ მანქანის მობარჯა ჯერ არავის გაუგია. ემილიო აპატიებს მეგობარს დანაშაულს და პირდება დაეხმაროს გარაჟში მანქანების მრეცხავად მოწყობაში. სურათი მაღალი რეჟისორული ოსტატობით არის დადგმული და მსურველი დაძაბული ყურადღებით უცქერის მას.

მაღალმხატვრული ოსტატობით და ღრმა იდეურობით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს კომუნისტ-რეჟისორის ჯუზეპე დე სანტისის მხატვრული ფილმი „რომი 11 საათზე“.

დე სანტისის საბჭოთა მსურველი კარგად იცნობს ფილმით „არ არის მშვიდობა ზეთისხილის ბაღებში“. რეჟისორი ამ სურათში მოგვითხრობს თავისი მშობლიური მხარის ჩოჩარის შესახებ, ასახავს მოსახლეობის საშინელ სიღარიბეს, მწყემსების მძიმე ცხოვრებას. სურათი ნათლად გვიჩვენებს, რომ არ არის მშვიდობა ზეთისხილის ბაღებში, იმიტომ, რომ არ არის ოქ სამართლიანობა. ფილმის მთელ მანძილზე ხაზგასმულია ის აზრი, რომ ინდივიდუალური ბრძოლა უსამართლობისა და დესპოტიზმის წინააღმდეგ უსარგებლოა. ბრძოლა წარმატებით დამთავრდება მშრომელთა მასების შეკავშირებისა და სოლიდარობის დროს.

ფილმში სიმართლით არის ნაჩვენები შეგნებულების ზრდა უბრალო ადამიანებში, რომლებიც ირავებთან უსამართლო სოციალური წყობილების წინააღმდეგ. მართალია, ამ ფილმში ხალხი ჯერ კიდევ ვერ მოქმედებს მაღალი შეგნებით და სავსებით ორგანიზებულად, მაგრამ ჩვენ ვხედავთ მის რწმენას და შეუკავებელ მისწრაფებას ნათელი მომავლისაკენ.

დე სანტისის ფილმს „არ არის მშვიდობა ზეთისხილის ბაღებში“ 1951 წელს კარლოვი ვარში გამართულ საერთაშორისო კინოფესტივალზე საპატიო დიპლომი მიენიჭა.

სურათში ლუჩიას როლს ასრულებს ახალგაზრდა მსახიობი ლუჩია ბოსე. მწყემს ფრანჩესკო დომინიჩის გმირულ სახეს ქმნის რაფ ვალონე. კულაკ ბანდიტის როლს თამაშობს ცნობილი იტალიელი მსახიობი ფოლკო დიული.

რეჟისორ დე სანტისის ახალი მხატვრული ფილმი „რომი 11 საათზე“ უდრის ემოციური ძალის ნაწარმოებია. მის სიუჟეტს საფუძველად უდევს ნამდვილი ამბავი, რომელიც მოხდა 1951 წლის 15 იანვარს რომში, სავოს ქუჩაზე № 31 სახლში.

ფილმზე მომუშავე მთელმა შემოქმედებითმა კოლექტივმა ნიჟერ რეჟისორ დე სანტისის ხელმძღვანელობით შექმნა ამაღლებული, რეალისტური ნაწარმოები, დაგვიხატა უმუშევართა მძიმე ტრაგედია.

ფილმის დასაწყისში ჩვენ ვხედავთ რომის ერთ-ერთ ქუჩას. ნელა იღვძებიან მიძინებული ქალაქი, ერთ-ერთი სახლის ალყაფის კართან პირველი გამოჩნდება ჯანეტა, მას მოჰყვებიან სხვა ქალიშვილები. ორსამდე მოხვედრის შემდეგ გაუჩინებელი დაბეჭდილი პატარა განცხადებას საფუძველზე გაზნეში იწყებოდნენ, რომ საჭირო იყო ერთი გამოცდილი მემანქანე, ყველა ფიქრობს მოეწყოს ერთადერთ თავისუფლად მემანქანე ქალის ადგილზე.

მაგრამ ცხოვრებისაგან განაწამებ ადამიანებს თავს დაატყდა საშინელი უბედურება. ძველმა ქაბემ ვერ გაუძლო შეკრებილთა სიმძიმეს, ჩამოინგრა და მოიყოლა მრავალი ქალიშვილი. დე სანტისი არ მორიდებ ეჩვენებინა შემადარწმუნებელი სანახაობა, რათა მსურველებისათვის გადაეშალა კაპიტალისტური წყობილების საშინელება.

მსურველებს არ შეუძლია დაშვებით ნახოს ამ უბრალო ადამიანების გაუგონარი ტანჯვა. დასახიზრებულებს საავადმყოფოშიც არ შეუძლიათ დარჩენა, საჭირო საქმიო დახმარების მიღება. მკურნალობისათვისაც ფულია საჭირო!

რეჟისორი დე სანტისის ახალი მხატვრული ფილმი „რომი 11 საათზე“ მწარე მოთხრობაა დღევანდელი იტალიის ცხოვრებაზე. სურათის წარმატებას ხელს უწყობს მსახიობთა შესანიშნავი თამაში. ფილმში მონაწილეობენ ცნობილი იტალიელი მსახიობები: ლეა პადოვანი, მასიმო ჯიროტო, კარლო დელ პოჯო, ლუჩია ბოსე, რაფ ვალონე, პაოლო სტოპა, ელენე ვარჯი და სხვ.

სურათში ჩვენ ვხედავთ მშრომელი ხალხის სულიერ სისხეტაკეს, მათ შვად ყოფნას ხელი გაუწოდონ დაჩაგრულ და ნაწამებ ადამიანებს.

სურათის მოქმედება სწარმოებს ერთი დღის განმავლობაში. მისი პირველი ნაწილი მიმდინარეობს ალყაფის კარბთან და კაბეზე, შემდგ კი უმთავრესად საავადმყოფოში. მაგრამ მსურველები ერთი წუთითაც არ განიცდის მოქმედების ადგილის ერთფეროვნებას, რაც რეჟისორ დე სანტისისა და ოპერატორ ოტელიო მარტელის მაღალ ოსტატობაზე ლაპარაკობს.

მსურველებზე განსაკუთრებულ მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებს სურათის ფინალი. ალყაფის კართან კვლავ გამოჩნდება პატარა ქერა ქალიშვილი ჯანეტა, რომელიც ჩვენ ვხედავთ სურათის დასაწყისში, იგი წის ძველ ადგილზე. მემანქანე ქალის ადგილი ნამ ისევ თავისუფალია! შეიძლება ის აიყვანონ სამუშაოდ.

ვის არის დამნაშავე სავოს ქუჩაზე მომხდარ კატასტროფაში? კაპიტალისტური წყობილება, რომელიც გამოიწვია საშინელი სიღარიბე და უმუშევართა — ასეთია ბუნებრივი დასუსტი, რაც თვით ფილმის შინაარსიდან გამომდინარეობს.

მსურველებზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს რეჟისორ რენატო კასტელანის ახალი მხატვრული ფილმი „რომი გროში იმედი“. სურათი დადგმულია ცხოვრების ღრმა ცოდნით და ამაღლებულად მოგვითხრობს უბრალო ადამიანების აუტანელ ცხოვრებაზე, უმუშევრობის საშინელებაზე.

ფილმი „იმედის გზა“ (რეჟისორი პიეტრო ჯერმი) მოგვითხრობს სიცილიელ უმუშევართა მძიმე მდგომარეობის შესახებ.

სიცილიის ერთ-ერთ სოფელში დაიხურა გოგირდის მაღარო და მუშები ქუჩაში დარჩნენ ულუკამაურად. ისინი მოგზაურობენ იტალიის სოფლებსა და ქალაქებში, ეძებენ სამუშაოს. ძნელია მსურველებმა აუღლებდნენ ნახოს ადამიანთა საშინელი წამება, თანამედროვე იტალიის ცხოვრების შეუფერავი სურათი.

ფილმი გვიჩვენებს იტალიელი ხალხის დაუცხრომელ სიყვარულს ცხოვრებისადმი, მის შრომისმოყვარეობას, სიმტკიცეს გაჭირვებაში.

ფილმში დიდი ოსტატობით ასრულებენ როლებს რაფ ვალონე (სარო კამერატო) და ელენე ვარჯი (მარბარა).

მსურველებმა მაღალი შეფასება მისცა ელენე ვარჯის თამაშს ფილმში „რომი 11 საათზე“. მსახიობი განსაკუთრებით ძლიერია სურათში — „იმედის გზა“. მის თამაშში მოცემულია უშუალოდ, უბრალოდ.

პიეტრო ჯერმის იტალიურ ფილმს „სიცილიის ცის ქვეშ“ საფუძველად უდევს ჯუზეპე გვიდო ლოსკიავოს რომანი „პატარა პრეტურა“, რომანი ნაწილობრივ ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. გამოჩნდილია იტალიელმა იურისტმა როსიკიავომ ახალგაზრდობისას თავისი კარგად კუნძულ სიცილიაზე დაიწყო, ლუჩიანომა პიეტრო ჯერმი მოქმედება ჩვენს დროში გადმოიტანა და ამით ოდნავდაც არ უღალატნია სიმართლისათვის. არაფერი შეცვლილა სიცილის ცხოვრებაში, იგი ძველებურადვე წარმოადგენს რეპეტივის დასაყრდენს. აქ კვლავ ბატონობს კაპიტალისტებისა და მემამულეთა ძალაუფლება.

ახალგაზრდა იურისტი გვიდო სკიავი, რომელიც სამუშაოდ მოხვდება სიცილიაში, ებრძვის ადგილობრივ მემამულეებს. მაგრამ მაღე რწმუნდება, რომ უძლურია ამ ბრძოლაში. სასოწარკვეთილებამდე მისული დაჭრილი გვიდო გადასწყვეტს წავიდეს სიცილიიდან. მაგრამ ახალგაზრდა პაოლინოს მკვლელობა ხელს ააღებინებს განზრახვას.

სკიავი ხალხს მიმართავს, ხალხში ეძებს სიმართლეს. აი ახალი, რაც განასხვავებს ძველისაგან დღევანდელ სიცილიას. ეს დაინახა პიეტრო ჯერმიმ და გახედულად უჩვენა ფილმში. სურათში ნაჩვენებია ხალხის ძალა, გაშიშვლებული ბანდიტიზმის სოციალური ფესვები.

ფილმში ახალგაზრდა მოსამართლის როლს შესანიშნავად ასრულებს ცნობილი იტალიელი მსახიობი მასიმო ჯიროტო.

1949 წელს გამოვიდა რეჟისორ ვიტორიო დე სიკას მხატვრული ფილმი „ველოსიპედების გამტაცებლები“. სურათი ამაღლებულად მოგვითხრობს უმუშევარ რიხის ცხოვრების შესახებ.

მსურველებს ღრმად აღუვებს გმირის ბედი. მისი მძიმე ცხოვრება. რიხს თითქმის ბედმა გაუღიმა და აფიშების გამკვერელად იწყებს მუშაობას, მაგრამ მუშაობის დაწყების პირველ დღესვე კარგავს ველოსიპედს და კვლავ უმუშევარი რჩება. სურათში უმუშევარ ანტონიო რიხის როლს ასრულებს ყოფილი მუშა ლამბერტო მაჯორინი. მსახიობი მთელი სიმლოერით გადმოგვცემს უმუშევრის მძიმე ცხოვრებას, რომელიც არავითხელ ყოფილა მისი ხედარი.

ყველა პროგრესულ ფილმში, რომელიც მიღწენილია უმუშევრობის პრობლემისადმი თანამედროვე იტალიაში, არის საერთო და დამახასიათებელი. ეს არის მრისხანე პროტესტი კაპიტალისტური წყობილების მძიმე, უუფლებო ცხოვრების წინააღმდეგ, ეს არის პროტესტი უბრალო ადამიანების გაჭირვების, ექსპლოატაციის წინააღმდეგ. ეს არის დაუცხრომელი მისწრაფება ნათელი მომავლისაკენ.

საბჭოთა მსურველი მაღალ შეფასებას აძლევს პროგრესულ იტალიურ ფილმებს. ახარებს მისი მიღწევები, რადგან მასში ხედავს დემოკრატიისა და მშვიდობისთვის მებრძოლ ხელშეწყობას, რომელიც დას მშვიდობის, მეგობრობის და ხალხთა ურთიერთგაგების მხარეზე.



კარლი ფილმინან „რომი 11 საათზე“. ლუჩია ბოსე და რაფ ვალონე.



# „კომედი ფრანსეზ“ მოსკოვი

მეორე ასტონიანი

ფრანგული კომედიის მსახიობთა ჩამოსვლამ დიდი სიხარული და აღფრთხილება გამოიწვია მოსკოველებში. ეს არც არის გასაკვირი. „კომედი ფრანსეზ“ ერთ-ერთი საუკეთესო და ამასთან უძველესი თეატრია მთელს ევროპაში.

თუ შეიძლება ვილაპარაკოთ დიდი ტრადიციების თეატრზე, ეს უპირველესად ფრანგული კომედიის შესახებ უნდა ითქვას. ორნახევარ საუკუნეზე მეტია რაც იგი შეუზღალავად იცავს მოლიერისა და ვოლტერის, ბომარშესა და ვიქტორ ჰიუგოს წმინდა და ჯანსაღ ხელოვნებას სწორედ იმ ქვეყანაში, რომელმაც ათასგვარი მოღერისტული მიმართულება და „იზმები“ შვა უკანასკნელი ასი წლის მანძილზე.

„კომედი ფრანსეზ“ დაარსდა 1680 წელს. მასში შევიდა პარიზის სამი თეატრის — „ბურგუნდიის ოტელის“ და ადრე შეერთებული მოლიერისა და მარეს თეატრების მსახიობთა უმრავლესობა. კომედი ფრანსეზს ფრანგები ხშირად „მოლიერის სახლს“ უწოდებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ „ტარტიუფის“ გენიალური ავტორი ვერ მოესწრო ამ თეატრის დაარსებას. ეს სახელი სწორად ასახავდა თეატრის პროფილს, არა მარტო იმის გამო, რომ მისი პირველი რეპერტუარი უმთავრესად შედგებოდა მოლიერის კომედიებისაგან, არამედ იმიტომაც, რომ იმ შინაგან ბრძოლას, რომელიც თეატრში ხდებოდა მე-17 საუკუნის დამლევის, სათავეში უდგნენ დიდი კომედიოგრაფის ერთგული მოწაფეები: ლაგრანჟი და მიშელ ბარონი. სწორედ მათ, ძველი მანერული და დეკლამაციური სკოლის წარმომადგენლებთან ბრძოლაში, შესძლეს დამეცივდრებით თეატრში მოლიერის დრამატურგიის რეალისტური და მამხილებელი ტენდენციები. ამავე დროს მათ ორგანიზულად შეითვისეს ის ამაღლებული პოეტური გზნება და მეტყველების ღრმა მუსიკალობა, რაც რასინის მოწაფეებს ახასიათებდათ.

„კომედი ფრანსეზის“ პირველი გამოჩენილი ტრაგიკოსები იყვნენ მიშელ ბარონი და მისი თანამიმდევარი, შესანიშნავი მსახიობი ქალი ადრიენა ლეკუერერი, რომელსაც თავყანს სცემდა დიდი ვოლტერი.

არისტოკრატიული კლასიციზმის გაყინულ აქტიორულ კანონებს მათ დაუბირისპირეს კორნელისა და რასინის ტრაგიკულ სახეთა ღრმა ლირიული გახსნა და თამაშის შინაგანი ემოციურობა. ფრანგული კომედიის თეატრი არ მდგარა განზე იმ დიდი სოციალური ბრძოლისაგან, რომელიც წარმოებდა მე-17 და მე-18 საუკუნეების საფრანგეთში.

მთელი მე-18 საუკუნის განმავლობაში, როდესაც

ხდებოდა მესამე წოდების იდეოლოგიური შეიარაღება რევოლუციისათვის, „კომედი ფრანსეზ“ დიდ ადგილს უთმობდა ფრანგი განმანათლებლების ნაწარმოებებს.

ამ თეატრის სცენიდან ჰქუხდნენ ვოლტერის მგზნებარე ფილიპიკები პოლიტიკური დესპოტიზმისა და კლერიკალური ფანატიზმის წინააღმდეგ. დიდი ფრანგი განმანათლებლის ტრაგედიალური როლებს ამ დროს ასრულებდა შესანიშნავი მსახიობი ლეკენი, რომელიც, თანამედროვეთა სიტყვით, ცდილობდა თავის თამაშში გადმოეცა „გრძნობათა პირველადი სიმართლე“.


ფრანგული კომედიის სცენაზევე შეისხა ფრთები განმანათლებლურმა დრამამ, რომლის აღმოცენება დიდროს უკვდავ სახელთან არის დაკავშირებული. განსაკუთრებული ადგილი ფრანგული კომედიის ისტორიაში უკავიათ ბომარშეს პიესებს.

„ფიგაროს ქორწინების“ პრემიერა შესდგა ზუსტად 170 წლის წინათ — 1784 წლის 27 აპრილს. თეატრის დასის მიერ ზედზედ შესრულებული „ფიგაროს“ სამოცდარვავე წარმოდგენა გადაიტაცა ნამდვილ პოლიტიკურ დემონსტრაციად ძველი ფეოდალური საზოგადოების წინააღმდეგ.

საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის წლებში „კომედი ფრანსეზ“ ორად გაჰყო თეატრში ატეხილმა შინაგანმა დაგამ, რომელიც იმ დროინდელი სოციალური ბრძოლის ანარქულ წარმოდგენდა. აქტიორთა იმ წყებას, რომელმაც გარკვევით დაიკავა რევოლუციის მხარე, სათავეში ედგა დიდი ფრანგი ტრაგიკოსი ტალმა. უკანასკნელის შემოქმედებაში ფრანგულმა ტრაგედიამ თავისი აქტიორული შესრულების ზენიტს მიაღწია. ტალმამ საბოლოოდ დასძლია არისტოკრატიული კლასიციზმის მკვდარი კანონები. ჰეროიკული რეალიზმის ცოცხალი ფერებით აამეტყველა მან კორნელისა და რასინის გმირთა მაღალი მოქალაქეობრივი და ჰუმანისტური იდეალები. ტალმას სახელთანა დაკავშირებული შექსპირის პირველი დადგმები ფრანგული თეატრის სცენაზე.

მე-19 საუკუნეში „კომედი ფრანსეზის“ განვითარება რეალიზმისაკენ განსაკუთრებული სიხალდით გამოიმკვდინა კომედიური მსახიობების შემოქმედებაში. ამ მხრივ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში სახელი გაითქვეს ფრანსუა გომ და კოკლენმა (უფროსმა). დიდი წარმატება ხვდა მოლიერის, ლესაჟის და ბომარშეს მხიარულ მსახურთა შემსრულებელ კოკლენს რუსეთში, სადაც იგი ხშირად ჩამოდიოდა გასული საუკუნის 80-ან და 90-ან წლებში. კოკლენი ცნობილია აგრეთვე სირანო დებრჟერაკის როლის შესრულებით, რომელიც მან თავისი აქტიორული მოღვაწეობის ბოლო წლებში შექმნა.

მე-19 საუკუნის დამლევის და მე-20-ის დასაწყისში რუსეთის მაყურებელი გაეცნო ფრანგული კომედიის ტრაგედული მსახიობების მუნე-ნიულის და სარაბერნარის შემოქმედებას. რუსული კრიტიკა მაღალ შეფასებას აძლევდა ფრანგი მსახიობების აქტიორულ ოსტატობას, მაგრამ ამასთან ერთად სამართლიანად აღნიშნავდა სტილიზაციისა და დეკადენსის ელემენტებს მათს შესრულებაში. მოღერნიზმისა და დეკადენსის საფრთხე მართლაც მწვავედ იდგა ამ დროს „კომედი ფრანსეზის“ მსახიობთა წი-




კომედი ფრანსეზის შენობა. 1790 წელი.

ნაშე. მაგრამ თეატრმა შესძლო არ გადაეხვია თავისი ისტორიული გზიდან. მოლიერისა და ვოლტერის რეალისტურ-დემოკრატიულმა ტრადიციებმა საბოლოო გამარჯვება ჰპოვეს ფრანგული კომედიის სცენაზე ჩვენს დროში, ამიტომ მოხდა, რომ დღეს „კომედი ფრანსეზ“ საბჭოთა მაყურებლის წინაშე წასდგა, როგორც ფრანგული ნაციონალური ხელოვნების შეუზღალავი კერა.

ფრანგული კომედიის დასმა მოსკოველებს უჩვენა მოლიერის „ტარტიუფი“ და „გაანაურებული მდაბიო“, კორნელის „სიდი“ და ჟიულ რენარის ერთ-ერთი მოქმედებანი კომედია „წითელი ბიჭი“.

„კომედი ფრანსეზის“ სამივე დადგმაში მოსკოველი მაყურებელი მოხიზლა სპექტაკლის მდიდრულმა და ამავე დროს უმწიკვლო გემოვნებით შესრულებულმა მხატვრულმა გაფორმებამ. ის დიდი ყურადღება,



სცენა სპექტაკლიდან „სიდი“. მსახიობები უან იონელი და ანდრე ფალკონი.


ფრანგი მსახიობები მოსკოვის ქუჩებში.



რომელსაც თეატრი აქცევს დეკორაციებსა და კოსტუმებს, (აღსანიშნავია, რომ ფრანგები ხშირად თავის აფიშებსა და პროგრამებში თავივე აცხადებენ მხატვრისა და კოსტიუმერის სახელებს, ხოლო შემდეგ დამდგმელი რეჟისორისა) აიხსნება „კომედი ფრანსეზის“ საერთო მიზანდასახულობით — შექმნას სპექტაკლი — სანახაობა, რომ მაყურებელი თეატრიდან გამოვიდეს არა მარტო დაფიქრებული და აღფრთხილებული, არამედ აღტაცებულიც ხელოვნების მშვენიერებით.

საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ „მხატვის“, ვანტანგოვის და მოსკოვის სხვა თეატრთა სპექტაკლების ნახვა კარგი პროფესიული გაკვეთილი იქნება ფრანგი აქტიორებისათვის, ისევე, როგორც მათი აქტიორული ხელოვნება აღძრავს გარკვეულ ინტერესს საბჭოთა სცენის ოსტატებში.





ფოტოზე: სცენა ოპერა „ბოგდან ხმელნიცკის“ მესამე მოქმედებიდან.

### „ბოგდან ხმელნიცკი“

წ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტივი უკრაინელ ამხანაგებთან ერთად სიყვარულით შეუდგა დანკევიჩის ოპერა „ბოგდან ხმელნიცკი“-ზე მუშაობას. ამას წინათ თეატრმა თბილისელ მყურებელს უჩვენა ეს სპექტაკლი.

სპექტაკლი დადგა ტ. შვედენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის კიევის სახელმწიფო თეატრის რეჟისორმა, უკრაინის სსრ დამსახურებულმა არტისტმა დ. სმოლიჩმა, რომელმაც ოპერა წარმოგვიდგინა, როგორც ღრმა პატრიოტული, ისტორიულ-ეპიკური ნაწარმოები, უკრაინული ეროვნული ფაქტურით განმსჭვალული ერთიანი მონუმენტური სპექტაკლი. რეჟისორული ნამუშევარი გვადიდებს ოპერის სიუჟეტური ხაზის მკაფიო გავლებით და ცალკეული დეტალების დამუშავებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ოპერის მესამე და მეოთხე მოქმედებები.

სპექტაკლი მხატვრულად გააფორმა უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პ. ზლოჩევსკიმ. მის ნამუშევარში განსაკუთრებით აღსანიშნავია დანბრის ნაპირზე დადგმული ბანაის პეიზაჟი და კარგად დამუშავებული კოსტუმები.

დიდი მუშაობა ჩაატარა საქ. სსრ სახ. არტისტმა, ოპერის მუსიკალური დადგმის ავტორმა, დირიჟორმა ი. დიმიტრიადემ. კ. დანკევიჩის ეს ოპერა უადრესად დრამატული ხასიათისა და რთულია, როგორც მოცულობით, ისე ცალკეული პარტიების ხასიათებით (ოპერაში 25 პარტია); ეს კი ოპერის მუსიკალური დამდგმელისაგან დიდ შრომას მოითხოვს. ი. დიმიტრიადის სახსხელოდ უნდა ითქვას, რომ მან კარგად გაართვა თავი ამოცანას.

კარგადაა დადგმული ცეკვები. რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა წ. კიკალიშვილმა მოახერხა უკრაინული ლაზითი გადმოცემა მგზნებარე ტემპერამენტით უკრაინული ცეკვების ხასიათი. შემსრულებელთა შორის გამოირჩევა ბალეტის ახალგაზრდა სოლისტი ვ. გუნაშვილი.

სპექტაკლში ბოგდანის პარტიას ასრულებს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი პეტრე ამირანაშვილი. მსახიობი კარგად ჩაწვდა უკრაინელი სახალხო გმირის, დიდი გეტმანის ხასიათს და გულწრფელი, სკადა თამაშით წარმოგვიდგინა ეს შესანიშნავი სახე. გამოცდილი ვოკალით კარგად ფლობს ხმას და დიდი დრამატულობითა და გულწრფელი ემოციით ასრულებს პარტიას.

რამდენიმე წლის შესვენების შემდეგ კვლავ მოგვევლინა სცენაზე რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. მჭედლიძე, რომელიც პოლონეკი მქსიმ კრივონოსის პარტიას ასრულებს. მომღერალს ახასიათებს კარგი დიქცია, დახვეწილი ფრაზა. მის მიერ შესრულებული როლი საინტერესოა სცენურადაც.

ტემპერამენტით და კარგი ვოკალური შესრულებით გამოირჩევა რესპ. დამსახ. მსახიობი გრ. გეგუჩაძე (პოლონეკი ბოგუნა). მომღერალმა ამ პარტიაში დასძლია ის ერთგვარი სქემატურობა, რომელიც მას საერთოდ ზღუდავს სცენურად. მან განსაკუთრებით ძლიერად ჩაატარა სცენა მესამე მოქმედებაში. კარგია ამ პარტიაში რესპუბლიკის სახ. არტისტი ნ. ბელაქელი.

დიაკვან გავრილას ეპიზოდურ როლში საინტერესო სახე შექმნა დამსახურებულმა არტისტმა ვ. ხომაშურიძემ. მომღერალს ემარჯვება სახასიათო ვოკალური პარტიების შესრულება.

სპექტაკლ ს წარმატებას ხელს უწყობენ სახ. არტისტი ს. გოსტენინა (ელენე), დამსახ. არტისტი ვ. შმალცევი (ვარვარა), ლ. გიორგაძე (სალომეა), ა. ლიტოვსკი (ლიხოვუბი), პ. თომაძე (ტური) და სხვები.

ამ დადგმით წ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ქართველი და უკრაინელი ხალხის კულტურული დაახლოების საქმეში და კიდევ ერთი შესანიშნავი სპექტაკლით გაამდიდრა თავისი რეპერტუარი.

დიდ ადამიანებს, ჩვეულებრივ, დიდი დაბრკოლებების გადალახვა უხდებათ და მათი ხასიათი ბრძოლაში იჭრითობა და კაჟდება. მაგრამ არის სახელო, რომლის იქით ტვირთი აუტანელი ხდება თვით ყველაზე ასოვანი სულის ადამიანისთვის. ნინოშვილს არ უგეგმია დედის აღზრდა, რომელიც ადამიანს საუკეთესო ზნეობრივ საგზაოს აძლევს ცხოვრების სახელოთ ბილიკების გასაგეგმად. იმ დღიდან, როდესაც პატარა ეგნატეს მამიდამისმა ხელში ქალაქის ნაფლეთზე დაწერილი ანბანი მისცა და ფეხები დელეში ჩააყოფინა, რათა „წყალივით წერაკითხვა ესწავლა“, იმ დღიდან, როდესაც მისი გვამი, კუბოს უქონლობის გამო, მთლიანი ხისგან გამოჭრილ ნამორში ჩაასვენეს, მისი ბიოგრაფია რელიგიური მოწამის ცხოვრების აღწერას დაემსგავსებოდა, თუ ის ათეისტი და მატერიალისტი არ ყოფილიყო.

სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც ეგნატე ნინოშვილს დიდი ბრძოლა მოუხდა, რათა შესაფერი ადგილი დაეჭირა ქართულ ლიტერატურაში. მკითხველი საზოგადოების საუკეთესო ნაწილი, აგრეთვე გამოჩენილი მოღვაწეები და მწერლები, გიორგი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერეთელი, პეტრე უმიკაშვილი, თედო სახოკია და სხვები აღტაცებით შეხვდნენ მისი პირველი მოთხრობების გამოქვეყნებას. თავის ბუბლიცისტურ წერილებში მან ახალი თაობის პოლიტიკური მრწამსი გამოსთქვა და ის შესაძლო დასის ერთერთ ბელადად იქნა გამოცხადებული. ცხოველი ინტერესი ნინოშვილის შემოქმედებისადმი შემდეგაც არ განუღებულა. განსაკუთრებით ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მან ხელახალი აღმოჩინება განიცადა და, შეიძლება ითქვას, რომ ნინოშვილი დღეს ერთერთი ყველაზე საყვარელი და პოპულარული მწერალია საქართველოში. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ რევოლუციის წინადროინდელი მაღალი საზოგადოების და ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელიც ცხოვრებაშიც და ხელოვნებაშიც ფერუმარის უფრო აფასებდა, ვიდრე ბუნებრივ სილამაზეს, გულგრილად ან ათეალისწინებით შეხვდა ეგნატე ნინოშვილის გამოსვლას და მათს წრეში „პალიასტიმის ტბის“, „სიმონას“ და „პარტახის“ ავტორი ნაკლებ ფასობდა, ვიდრე ზოგიერთი ბელეტრისტი, რომლის სახელი დღეს საბოლოოდ დავიწყებულია.

ეს გლუხკაცობის უღარიბესი ფენიდან გამოსული მწერალი გლუხკაცს უფრო მიუყვებოდა, უფრო ობიექტურად ხატავდა, ვიდრე მრავალი არისტოკრატი და ინტელიგენტი მწერალი, რომელნიც ან გლუხკაცობის იდეალიზაციას ახდენდნენ და მასში მხოლოდ ყოველგვარ სათნოებათა განხორციელებას ეძებდნენ, ან სოფლის მშრომელში ვერაფერს ხედავდნენ გარდა გონებრივი სიჩლუნგისა. ამიტომ არის, რომ გოგია უიშვილები, სიმონა ძალაძეები და ჯერანა ტყერტიყეები უფრო ხორცშესხმული არიან, უფრო ნამდვილი, უფრო ადამიანურად გასაგებნი, ვიდრე ტექნათა მოტოფიალები მთელი შექმნილი ტიპები.

თავმოყვარე და მებრძოლი გლუხების გვერდით ნინოშვილმა დაბეჭდვითი გლუხებიც გამოიყვანა. მეამბოხეების გვერდით — მოალაბტევიც. ის არ დაერიდა მკითხველისათვის თავისდროინდელი გლუხკაცობის ენებრივი შეზღუდულობა, ცრუმორწმუნეობა, შურიანობა. გაუტანლობა ეჩვენებინა. მაგრამ მან დაგვანახა აგრეთვე, რომ გლუხკაცობა ერთადერთი საღი საზოგადოებრივი ძალა იყო ქართულ სოფელში, ვინაიდან ვერც ტარიელ მულავაძის მსგავსი არისტოკრატიები, ვერც დავით დროძის მსგავსი ვაჭრები, ვერც მოსე მწერ-

ლის მსგავსი ცრუ ინტელიგენტები ვერ უზრუნველყოფდნენ ქართველი ერის ნორმალურ განვითარებას. ხოლო რაც შეეხება ქალაქის მუშათა კლასს, ნინოშვილმა ვერ მოასწრო მისი მხატვრულად ასახვა. როგორც ეტყობა, ის თავის ბუბლიცისტურ ნაწერებში აპირებდა კაპიტალიზმის განვითარების და პროლეტარიატის როლის საკითხს დაბრუნებოდა.

თუ ეგნატე ნინოშვილი საერთოდ თავისუფალი იყო იდეალიზაციის სენისაგან, როგორც ეტყობა, ქალები მას უფრო ნათივი და ძვირფასი მასალისგან შექმნილ არსებებად მიაჩნდა. მის მიერ ასახული ქალები, უმეტეს ნაწილად, მოხდენილი გარეგნობის და ნაზი სულის პატრონები არიან, ისინი ადვილად იღუპებიან ტლანქი და ეკონისტური მამაკაცების საზოგადოებაში. მანას, დარიკოს, ქრისტინეს, დესპინეს, ლიზას (იმავე მელანის) სახეები რაღაც ტრაგიკული პოეზიის ბურუსში არიან გახვეული, მაგრამ იმავე დროს ისინი ძალიან რელიგიურად დგანან მკითხველის წინაშე. ასეთი სახეები შექმნა შექმნილი მხოლოდ უბიწო სულის მხატვარს, რომლისთვისაც ქალი უდიდეს საიდუმლოებას წარმოადგენს.

რაღაც ტრაგიკული ელფერი აქვს ეგნატე ნინოშვილის პირად რომანსაც. 1892 წლის ახალწელწელად დღეს ის გურიის სოფელ ხიდისთავში გაეცნო თავისი მეგობრების ბესარიონ და გერონტი კალანდაძეების დას ნადასის, რომელიც, როგორც ეტყობა, თავისი გარეგნობით და სულიერი კულტურით ყველაზე მეტად შეეფერებოდა მის იდეალურ წარმოდგენას სატრფოსა და მეუღლეზე. არსებობს ნინოშვილის ორი წერილი ნადასი კალანდაძისადმი მიმართული, მაგრამ არ დაჩენილა ქალის პასუხი, მხოლოდ, როგორც თვით ნინოშვილის მეორე წერილიდან ირკვევა, მას ეგნატესთვის უარი უთქვამს მასზე გათხოვლობა, ვინაიდან უკვე ჰყოლია საქმარი, რომელიც ბელეტრისტი კარგი ნაცნობი ყოფილა.

ეგნატე ნინოშვილის ეს ორი წერილი, პირველი — ძალიან ლაპიდარული, ხოლო მეორე ძალიან ვრცელი, საუკეთესო მასალას იძლევა მისი ხასიათის გასაგებად. პირველ ნაბიჯს ის თამამად და უყოყმანოდ სდგამს, ახალდაცნობილ ახალგაზრდა ქალს თავის გულსა და ხელს თავაზობს და ამასთანავე სთხოვს პასუხი ერთს დღეზე მეტ არ დაუტოვებინოს. როცა პასუხი იგვიანებს, მას სინანული და სინდისის ქენჯნა იპყრობს. ის წერილს სწერს ბესარიონ და გერონტი კალანდაძეებს, შეეცდი, დანაშაული ჩავიდინე, რომ თქვენს დას სიყვარული გამოვეცხადე, ხელი ამიღია ამ ბოღისაგან. ბოლოს, თითქმის ერთი თვის დაგვიანებით, ქალის პასუხი მოდის. ნინოშვილი იმავე დღეს მეორე წერილს უგზავნის მას. ესაა ყველაზე უცნაური წერილი, რომელიც ოდესმე შეეყვარებულ ვაჟს ახალგაზრდა ქალისთვის გაუგზავნია. ესაა ნამდვილი წენობრივი თვითგვემა, ყველა შესაძლებელი და შეუძლებელი ცოდვების აღსარება, მხოლოდ წარმოთქმული არა ქრისტიანულ საღისარებოში, არამედ სამსხვერპლოსთან, სადაც ადამიანის გული ანთია.

სწორი უნდა იყოს ფსიქოლოგიური დაკვირვება, რომ სიყვარული ადამიანს ფიზიკურად ალამაზებს. ყოველ შემთხვევაში, შეყვარებული ადამიანი ჩვეულებრივ, ცდილობს თავის სატრფოს შელამაზებულ ნიღაბში, ხელსაყრელ განათებაში ეჩვენოს. ეგნატე ნინოშვილი კი ნადასი კალანდაძეს ისეთ ავტობოტრეტს უნატავს რომ მისი დანახვა შეუფოთებდა უსახელოდ შეყვარებულ და თავგანწირულ ქალსაც. ის ამ ქალს უმტიციებს, თქვენზე ბევრად ხნირ-





# უიარაღო

გარდაცვალებიდან  
23 წლისთავის გამო

1912 წელს აღმანახ „გარდემლში“ ერთი მეტად საინტერესო მოთხრობა დაიბეჭდა. მოთხრობის სათაური იყო „მამელუკი“, ხოლო კიდევ უფრო უცნაური მისი ავტორის ფსევდონიმი — უიარაღო. მოთხრობას მკითხველთა საზოგადოებაში დიდი წარმატება ხვდა და ლიტერატურულმა კრიტიკამაც მაღალი შეფასება მისცა. 1916 წლის „სახალხო ფურცლის“ სახალწლო მიმომხილველი გულმსახივრით აღნიშნავდა, რომ მას შემდეგ უიარაღოს არაფერი გამოუქვეყნებია. „მამელუკის ავტორისაგან კიდევ უნდა მოველოდეთ საგულისხმო მოთხრობებსა და რომანებსო“.

იმ ხანებში ბევრმა არც კი იცოდა რომ „მამელუკის“ ავტორი უიარაღო, იყო იგივე „თ-ლი“ „ზომბის“, „უძალის“, „ცნობის ფურცლის“, „სახალხო გაზეთის“, „ჯეჯელი“ და სხვათა თანამშრომელი; ავტორი ქართულ პრესაში ცნობილი მოთხრობების და ნოველების: „მშვიდობით“, „ჩემი რა ბრალა“, „უსიამოვნო შეხვედრა“, „მე და ბიძაჩემი“, „მოხუცებულნი და დეკამერონი“, „მღვდელი და დიაკვანი“, „გრცელი რომანისა — მამიებელი“... ამათ შესახებ ქართულ პრესაში მოიპოვება ცალკეული შეფასება და გარკვეული აზრი, თუმცა მათი ავტორის ვინაობა დღემდე უცნობი და შესწავლელია.

„მამელუკის“ ავტორი — კონდრატე დავითის-ძე თათარიშვილი დაიბადა 1872 წლის 14 სექტემბერს, ზუგდიდის მაზრის სოფ. აბასთუმანში. 1894 წელს დაამთავრა თბილისის სახ. სემინარია და სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა. თავისი ბელეტრისტული ქმნილებებით ის ხდება ხალხის ცხოვრების ნამდვილი მხატვარი, ბევრს სწავლობს ხალხისაგან. „ჩვენი ხალხი ბრძენი, ჰკვიანი, ნიჭიერი და დიდი შემოქმედი ყოფილა“, ამბობს იგი.

1905 წლის რევოლუციაში აქტიური მონაწილეობისათვის მეფის მთავრობამ მის წინააღმდეგ მკაცრ რეპრესიებს მიმართა. ერთხანს არალეგალურ მდგომარეობაში მყოფი კ. თათარიშვილი იძულებული შეიქნა საზღვარგარეთ გაქცეულიყო.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დაპყრობის პირველ წლებშივე იგი სამშობლოს უბრუნდება და იწყებს მუშაობას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს მუზეუმში, როგორც გეოლოგიის ლექტორი და კაბინეტის გამგე. ამ სამუშაოს ის სიკვდილამდე არ მოსცილება და მნიშვნელოვანი სამეცნიერო შრომებით გამოაქვეყნა. კიდევ ბევრის გაკეთების მოიხმედ, ის უეცრად გარდაიცვალა 1929 წლის 9 მაისს, ქ. თბილისში.

კ. თათარიშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა სრულ უფლებას გვაძლევს იგი დავაყენოთ თავის თანამედროვე ცნობილი ქართველი პროზაიკოსების გვერდით. ამის თქმის უფლებას გვაძლევს პირველი რიგში ფართოდ განმარტებული „მამელუკი“, მოთხრობა „მშვიდობით“ და ვრცელი რომანი „მამიებელი“.

კ. თათარიშვილს ახასიათებდა წერის ნათელი, რეალისტური მანერა, აზრის სინათლე, მძაფრი ფერები და მარჯვე დიალოგები; მან იცოდა ხასიათების მონუმენტურად გამოკვეთა. მისი შემოქმედება — ჩვენი ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფურცელია. ერთგვარი დაუღვრლობის შედეგია უთუოდ ჩვენი ლიტერატურაში ის საგრძნობი ხარვეზი, რომ უიარაღოს ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელიც სულ ცოტა ორ მოზრდილ ტომს შეადგენს დღემდე გამოუცემელია. ეს მწერალი ღირსია იმისა, რომ მისი თხზულებების სრული კრებული ქართველი მკითხველის წიგნის თაროს ამშვენებდეს.

## ს. ცაიშვილი

ვარ, დღეს-ხვალეობით ჭლეკით დაავადებას მოველი, ვამივით უხასიათო ვარ, აღამიანს იმეათად შევეწყობი, თუ ვინმეს დაუფრთხვობდი, გაივლის ერთი კვირა, რაღაც ემშაკი შემინდება და სამუდამოდ წაეჩხუბები; ჩემს მეუღლეს არაფერი ელის გარდა წამებისა და გულის გვირგვინისა; ჩემი პირველი წერილი გრძნობით დათრობამ დამაწერინა, ახლა, როდესაც გამოვფხიზლდი, ეხედავ, რომ მე თქვენი შეცდენა და დაღუპვა მინდოდა, როგორც ლერმონტოვის დემონმა თამარი შეცდენა და დაღუპაო, დანაშაული იყო ისიც, რომ ჩემს პირველ წერილს ჩემი ლიტერატურული ფსევდონიმი მოვაწერე და არა ნამდვილი გვარი, ჰა, მე მწერალი ნინოშვილი გაბედნიერებთ და სიყვარულს გიცხადებთ-მეთქი, რაც შეეხება თქვენს არჩეულს, არ ვიცი ის ვინ არის, მაგრამ ჩემს მეგობრებში არც ერთი არაა ისეთი, რომელიც ჩემზე მეტად ღირსი არ იყოს თქვენი სიყვარული-საო.

ბოლოს, როგორც ეტყობა, ეგნატე ნინოშვილში მაინც სატრფოს მიერ უარყოფილი მამაკაცის თვამოყვარეობამ გაიღვიძა: ის ქალს კატეგორიულად

უარს ეუბნება მის მიერ შეთავაზებულ და-ძმურ სიყვარულზე და თავის წერილს რუსთველის სიტყვებით ამთავრებს: გასრულდა მათი ამბავი ვითა სიზმარი ღამისა.

როგორც ეგნატე ნინოშვილის მეგობრების მოგონებებიდან და მისი პირადი მიწერ-მოწერიდან ჩანს, ის თავმოყვარე და თავმდაბალი იყო ერთსა და იმავე დროს. ის თავის მეგობრებს სწერს, „სიმონაში“ სრულყოფილად ვერ აგსახე გურიის ხალხის მდგომარეობა, „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ საესეა ნაკლებოვანებით, „გოგია უიშვილი“ ყველაზე სუსტია ჩემს ნაწერებში, ხოლო „პარტახის“ და „განკარულების“ დაბეჭდვა არც კი ღირს.

მომდევნო თაობები არ იზიარებენ ეგნატე ნინოშვილის თვითდაფასებას. ისინი მასში ხედავენ უდიდეს ქართველ პროზაიკოსს, უდიდეს ჰუმანისტს და ცხოვრების რეფორმატორს, რომელსაც უსამართლო და გულცივმა საზოგადოებამ ვერც აღამიანი შეაძულა და ვერც უფრო პარმონიული წესწყობილების რწმენა დააკარგვინა. მან ბოლომდე დიდი გული შეინარჩუნა ჩავარდნილ მკერდს ქვეშ.

# ბოს ჭაბუკვაძე

მ. ჩხიძე

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, გეოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ბუნების მრავალფეროვან მოვლენათა შორის ერთ-ერთ ყველაზე მეტად საინტერესოთაგანს, თავისი სიდიადითა და მშვენიერებით, მზის სრული და ბუნებრივი წარმოადგენს.

ჩვენ დროში მზის დაბნელება არავისთვის მოულოდნელი აღარაა. ის დიდი ხნით ადრე, წინასწარ არის გამოანგარიშებული, თუ როდის, სად როგორი სახე ექნება დაბნელებას. ამის შესახებ გამოიკვება სპეციალური მასობრივი ხასიათის ბროშურები, იწერება გაზეთებში და ცხადდება რადიოთი, მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ მზის დაბნელების ყოველგვარი პირობების ზუსტი გამოთვლა უბრალო, მარტივი მექანიკური საქმე იყო! აი, რას ამბობს ამის შესახებ მზის დაბნელების თეორიის უდიდესი სპეციალისტი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი ა. ა. მიხაილოვი: „საკმარისია ითქვას, რომ 1945 წლის 9 ივლისის დაბნელების დაწვრილებითი წინასწარმეტყველებისათვის, მხოლოდ საბჭოთა კავშირის ტერიტორიისათვის, ჩვენ დაგვირდა 200 გვერდი დაგვეფარა წერილად ნაწიცი ციფრებით, რომელთა რიცხვი 300 ათასს აღემატებოდა, სამაგიეროდ ცნობილი შეიქნა, სად, როდის და როგორ იქნებოდა ხილული ეს დაბნელება“.

მთვარე, მზე-დედამიწის შემავრთებელ სწორზე მათ შორის ჩამოღებება, შესაძლებელია მზის სრული დაბნელება. რადგან მთვარე დედამიწის გარშემო და დედამიწა მზის გარშემო ელიპსებზე მოძრაობენ, ამიტომ მთვარემდე და მზემდე მანძილი ყოველთვის ერთნაირი არაა, რის გამოც მათი ხილული სიდიდეები ცოკათი ცვალებადია. ამის შედეგია მზის ე. წ. რგოლი ისე ბური და ბუნებრივი. ეს მზის ხედა, როცა მზე ჩვევან უახლოესი მდებარეობა უჭირავს, ხოლო მთვარეს უშორესი, და ამავე დროს დაბნელების პირობებიც არის შექმნილი. ამ დროს მთვარის ხილული სიდიდე უფრო მცირეა მზისაზე და მის რგოლს მთლიანად ვეღარ ვაჩვენებ, არამედ რჩება მზის დისკოს ვიწრო რგოლისებური ზოლი მთვარისაგან დაუფარავი.

არ წარმოადგენს საიდუმლოებას არც მზის დაბნელების გამოწვევი მიზეზი. საბჭოთა კავშირში ყველამ, — მუშამ თუ კომპიურნემ, მოხუცმა თუ ახალგაზრდამ იცის, რომ დედამიწა და მთვარე გაცივებულ ცის სხეულებს წარმოადგენენ, მოკლებულნი არიან საკუთარ სინათლეს და განათებულია მხოლოდ მზის სხივების მიერ. მთვარე დედამიწის თანამგზავრია და მას ვარს უფლის, დედამიწა კი წარიტაცებს თანამგზავრ მთვარეს და მზის ირგვლივ გარემოიქცევა. ამიტომ დროგამოშვებით ისეთი მომენტი დგება, როცა მზე, დედამიწა და მთვარე ისეთ ურთიერთმდებარეობას დაიჭერენ, რომ მთვარე მზესა და დედამიწას შორის ჩამოადგება. ამ დროს მთვარე გადაიღობება დედამიწისაკენ მომავალ მზის სხივებს და მზის დაბნელებას იწყებს (იმ დროს კი, როცა დედამიწა მოექცევა მზესა და მთვარის შორის, მთვარის დაბნელება მოხდება).


ნაწილობრივი და ბუნებრივი მზის ხედა, როცა მთვარის დისკო ზუსტად კი არ დაემთხვევა მზის დისკოს (მოცემული ადგილისათვის), არამედ ცოკათი ზევიდან ან ქვევიდან გადაუფარავს მზის კაშკაშა ზედაპირს.

წლევანდელი, 80 ივნისის, მზის სრული დაბნელების საერთო სახე ასეთია: დაბნელება იწყება ჩრდილო ამერიკის მატერიკის ცენტრალურ ადგილებში. აქედან მთვარის ჩრდილი მიემართება ჩრდილო აღმოსავლეთით ზემოტის და ლაბარდორის გავლით, გადის გერმანიის დაბნელების მანძილზე, მცირეით მოიყოლებს ისლანდიის სამხრეთ საპაროვებს, ევროპაში შემოდის ნორვეგიით ბერგენის მახლობლად, გადის სამხრეთ ნორვეგიასა და სამხრეთ შვეიციაზე, ჰკვეთს ბალტიის ზღვას და კლაიპედის მახლობლად შემოდის საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე: გადის ლიტვის, ბელარუსის, უკრაინის სსრ-სა და კავკასიაზე, ბაქოს მახლობლად გადის კასპიის ზღვის სამხრეთ ნაწილზე, საიდანაც გადადის ირანში, შემდეგ ავღანისტანის გავლით ინდოეთში უახლოვდება ქ. დელის და სტოვეს დედამიწის ზედაპირს. მთელ ამ მანძილს, დაახლოებით 13-300 კილომეტრს, მთვარის ჩრდილი 169 წუთში გაიარებს.

დედამიწიდან მზემდე, საშუალოდ, 150 მილიონი კილომეტრია, ხოლო დედამიწიდან მთვარემდე 384 ათასი კილომეტრი, ე. ი. ჩვენგან მზე 400 ჯერ უფრო შორსაა, ვიდრე მთვარე. მეორე მხრივ, მზის დამეტარი 400-ჯერ დიდია მთვარის დამეტარზე. აი ამ შეფარდებათა შემთხვევითი ტოლობითა გამოწვეული ის, რომ მზის და მთვარის ხილული (დედამიწიდან) სიდიდეები დაახლოებით ერთნაირია. ამიტომ, როცა

საქართველოს ტერიტორიაზე მზის სრული დაბნელების ზოლის სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი შემდეგ ადგილებზე გადის: ქლუბორი, იალბუზი და მთა შხარა, ქიორა, გლოლა და კურორტი შოვი (ონის რაიონი), ქესელთა, ცოვოთი და წრუ (ჯავის რაიონი), ლლაგ-გუდისი, საკანაფო, ზონქარი და ბენდერი (სტალინის რაიონი), კოჩუი, არმაზი, ზემო და ქვემო ბოლი და ლენინგორი (ლენინგორის რაიონი), ძველი და ახალი მურგული, ქვემო შუახევი და მჭადჯვარი (დუშეთის რაიონი), ჯიღური, გაილანი, არაშენა და

(დასასრული მე-20 გვ.)





# ბოჭინიკი კვლავ მსოფლიო ჩემპიონია

ა. ბუსლაევი, ბ. ნადარეიშვილი

1946 წელს მოულოდნელად გარდაცვალება ჰქონდა მსოფლიო ჩემპიონი ალიოხინი. მსოფლიო დარჩა უჩემპიონოდ. საერთაშორისო საქადრაკო ფედერაციის გადაწყვეტილებით 1948 წელს მოეწყო მსოფლიოს ხუთი უძლიერესი მოქადრაკის ხუთ-წრიანი მატჩი - ტურნირი. მონაწილეობდნენ გროსმეისტერები: მ. ბოტვინიკი, ვ. სმისლოვი, პ. კერესი (სამივე საბჭოთა კავშირიდან) ს. რეზენსი (აშშ) და ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი მ. ეივე (ჰოლანდია). მატჩ-ტურნირში დიდ გამარჯვებას მიაღწია საბჭოთა საქადრაკო სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენელმა მიხეილ ბოტვინიკმა და მსოფლიო ჩემპიონის საბატო ტიტული მოიპოვა.

საერთაშორისო საქადრაკო ფედერაციის გადაწყვეტილებით მსოფლიო პირველობა თამაშდება ყოველ სამ წელში ერთხელ. ამისათვის ეწყობა სპეციალური გადასარჩევი ტურნირები, ამ ტურნირში გამარჯვებულს ენიჭება ჩემპიონთან შეხვედრის უფლება. ეს უფლება პირველად მოიპოვა საბჭოთა გროსმეისტერმა დ. ბროსტინმა, რომელმაც 1951 წელს ბოტვინიკთან მატჩი ყაიბით დაამთავრა 12:12; დადგენილი წესის მიხედვით მსოფლიოს ჩემპიონობა მ. ბოტვინიკს დარჩა.

ბოტვინიკი ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორია. 1953 წელს შევიდა გამართულ მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ტურნირში, მ. ბოტვინიკთან შეხვედრის უფლება მოიპო-

ვა საბჭოთა გროსმეისტერმა ვ. სმისლოვმა. ვ. სმისლოვი საბჭოთა საქადრაკო სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია. პროფესიით იგი მომღერალია.

მატჩის დაწყებამდე ბოტვინიკისა და სმისლოვის შეხვედრების საერთო ანგარიში იყო: 12,5:7,5 ბოტვინიკის სასარგებლოდ.

მსოფლიოს პირველობის მატჩში ერთმანეთს შეხვედნენ საბჭოთა საქადრაკო სკოლის სახელგანთქანი წარმომადგენლები მ. ბოტვინიკი და ვ. სმისლოვი.

მ. ბოტვინიკის ყველაზე დიდი თავისმცემლებიც კი ვერ გაითვალისწინებდნენ, რომ ოთხი პარტიის შემდეგ ანგარიში იქნებოდა 3<sup>1</sup>/<sub>2</sub>:1<sup>1</sup>/<sub>2</sub> მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ. მეხუთე და მეექვსე პარტიები ყაიბით დამთავრდა. მატჩის პირველი მეოთხედის შედეგი იყო: 4<sup>1</sup>/<sub>2</sub>:1<sup>1</sup>/<sub>2</sub> მ. ბოტვინიკის სასარგებლოდ.

მაგრამ მოულოდნელი ამბები კიდევ წინ იყო; მატჩის მომდევნო ხუთ პარტიაში ვ. სმისლოვმა დააგროვა 4<sup>1</sup>/<sub>2</sub> ქულა, მ. ბოტვინიკმა კი მხოლოდ 1<sup>1</sup>/<sub>2</sub> ქულა. ვ. სმისლოვმა ერთი ქულით გაუსწრო მსოფლიო ჩემპიონს. მე-12 პარტია მ. ბოტვინიკმა მოიგო და მატჩის პირველი ნახევარი დამთავრდა ყაიბით — 6:6.

მატჩის მეორე ნახევარი კვლავ მსოფლიო ჩემპიონის უპირატესობით მიმდინარეობდა. მე-18 პარტიის შემდეგ ანგარიში გახდა — 10:8 მ. ბოტ-

ვინიკის სასარგებლოდ. თითქმის მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო. ვ. სმისლოვს რომ მსოფლიო ჩემპიონობა მოეპოვებინა, დარჩენილი 6 პარტიიდან 4<sup>1</sup>/<sub>2</sub> ქულა უნდა დაეგროვებინა. მ. ბოტვინიკს კი მხოლოდ 2 ქულა ყოფნდა ჩემპიონის წოდების შენარჩუნებისათვის.

და ისევ შეუძლებელი შესძლო ვ. სმისლოვმა. ენერგიულად ჩაატარა შეჯიბრების ფინიში და 5 შესაძლებლობიდან 3<sup>1</sup>/<sub>2</sub> ქულა შეაგროვა. ასე რომ, უკანასკნელი პარტიის წინ მატჩის ანგარიში იყო 11<sup>1</sup>/<sub>2</sub>:11<sup>1</sup>/<sub>2</sub>.


მე-24 პარტია დიდი ინტერესით და დაძაბულობით მიმდინარეობდა... მსოფლიო ჩემპიონმა შუა თამაშში პოზიციური უპირატესობას მიაღწია.

ვ. სმისლოვი დარწმუნდა, რომ მოგებაზე თამაში არაფერს მისცემდა მას და მოწინააღმდეგეს ყაიბით შესთავაზა. მსოფლიო ჩემპიონმა მიიღო ეს წინადადება.

მსოფლიოს ორი უძლიერესი მატჩი: რაკის შეჯიბრება დამთავრდა ყაიბით — 12:12.

მატჩის მთელმა რიგმა პარტიებმა დიდად გაამდიდრა დებიუტთა თეორია. უნდა აღინიშნოს მსოფლიო ჩემპიონისა და მისი მოწინააღმდეგის დიდი სპორტული ამტანიანობა, მატჩის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი ის არის, რომ დაფნა ისევ საბჭოთა მოქადრაკეს, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საქადრაკო სკოლის წარმომადგენელს ეკუთვნის.

## კ რ მ ს ვ ო რ დ ი



პირიზონტალურად:

5. მიწაში სამალავად გათხრილი თავშესაფარი.
7. თბილისელი აშული.
9. თანავარსკვლავედი.
11. უდიდესი კუნძული ონიის კუნძულების ჯგუფში.
12. სოფელი სურამის მდამოებში.
13. საღვინე ჭურჭელი.
14. საბჭოთა დრამატურგი.
19. მთე-რი ალბანეთში.
22. მთლიანი ქვის უძველესი ნაგებობა.
23. ქართული ხალხური ჩასაბერი საკრავი.
24. კავკასიის საბჭო, ვეჩე უკრაინაში.
25. ვაჟა-ფშაველას პოემის გმირი.
26. რეკლამა.
27. ფეხსანი ჯარის ოთხუთხოვანი განლაგება.
32. არწივის სახის და ლომის ტანის მქონე ქვის გამოსახულებანი ვითურ შენობებზე.
34. გამოჩენილი საბჭოთა მხატვარი.
35. არეულობა.
38. ორგანული საღებავი — გამოიყენება მედიცინაში.
39. მარდი და ძლიერი.
40. სოკოების გამრავლების ორგანო.
43. სტენის ნაწილი.
44. აშშ-ის სატელეტი სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში.
45. ესკიმოსების ნავი.
46. ძველი ირანული რელივიის წიგნების კრებული.

ვერტიკალურად:

1. ქალაქი ესტონეთის სსრ-ში.
2. უცნობი ავტორი.
3. ორთქლმავლის სამარავე განყოფილება.
4. სახელდასახლო ჩანახაზი.
6. უძველესი ქალაქი — სახელმწიფო მცირე აზიაში.
8. დალაი-ლამას რეზიდენცია.
10. ჰაეოგრაფიული კრებული.
13. მუსიკალური ნაწარმოების ფორმა.
15. აშშ-ის შტატი.
16. უწყლო შენაერთი.
17. ბეწვეულის ოსტატი.
18. სანგარში დატანებული სასროლი ხერხი.
20. მეკობრე.
21. ადგილი საჯარო გამოსვლებისათვის.
28. ვულკანი ჩრდ. ევროპაში.
29. ხის ჯიში.
30. ძველი თბილისის უბანი.
31. ტბა ალბანეთში.
33. ჩრდილო ამერიკელ ინდოელების ნადავლი — მტრისთვის პირსახეზე აძრობილი თმიანი კანი.
36. სოფელი უკრაინაში.
37. შრიფტის სახე.
41. დასავლეთ ციმბირის მხარე.
42. ზეთოვანი მცენარე.
43. შემოსავლის სახე.

რედაქტორი — გრ. აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია: შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მე. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, დ. დოლიძე, მ. სააკაშვილი, ი. ციციშვილი, ვ. კელიძე, უ. ჯაფარიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენანოვის პრ., № 91. ტელ. 3-95-38 | ფაქსი 3 მან. | გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინეოგრაფიაში

ბეჭდვით დასაბეჭდად 7/VI-54 წ. გამომც. № 73 ქალ. ზომა 70x108<sup>1</sup>/<sub>2</sub>, ნაბეჭდი ფურც. 3<sup>1</sup>/<sub>2</sub>, ტირაჟი — 15.000 შეკვეთის № 352 უფ 04505

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дროш“ (на грузинском языке)

ბეჭდვითი სიტყვის კომპინატი თბილისი, მარჯანიშვილის ქ., № 5.





ამ დილით ჩვეულებრივზე ადრე გამოიღვიძა გოგომ და ეზოში ჩაირბინა. დღეს განსაკუთრებით უხარია მანქანაში ჩაჯდომა. ეს ავტო სულ მალე წყნეთში მიიყვანს პატარა მოაგარაკეს. აი, უკვე ერთი საათია კარებისკენ იყურება: „როდისღა გამოვლენ მამა და დედა?“

„ოცდა ორმოცით ნოლია ჩემს სასარგებლოდ“, ახსენებს გია თავის „მოწინააღმდეგეს“, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ანგარიშით კმაყოფილი არ არის და მორიგ „შეტევაზე“ გადადის.

ფოტო ო.თ. თურქიასი



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

დიდ სამზადისშია პატარა მანანა, ხვალ სააგარაკოდ უნდა წაიყვანონ მშობლებმა, მას კი თავის მხრივ დედოფალა მიჰყავს, ამიტომ წინდაწინ უუთოებს კაბებს. რამდენი ვინმე შეხედებათ გზაში და სირცხვილია დედოფალას დაჭმუჭნილი ტანისამოსი ეცვას.



საქართველოს  
საბავშვო  
ბიბლიოთეკა  
თბილისი



ფანი 3 მამ.

695/71

ГОСПУБЛИЧ Г. КЕ

2 12 09 7

ეროვნული  
გიზლითი

